

1960/5



სახქმთა სამართალი




19

თბილისი

60





საბჭოთა სამართალი № 2

მარტი—აპრილი
1960 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ახსნაბუღი იურიდიული კომისიის
ო რ თ ვ ი უ რ ი ო რ გ ა ნ ო

ზ ი ნ ა ა რ ს ი

8060

მ. ო წ ი ნ ა ე ე — ვ. ი. ლენინი — საბჭოთა სახელმწიფოსა და სოცია-	
ლისტური კანონიერების შესახებ	3
გ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე — საბჭოების საქმიანობა — ახალი ამოცანების დონეზე	11
გ. უ ვ ა ნ ი ა — ნეიტრალიტეტის ცნება და ნეიტრალიტეტის პოლიტიკა	
თანამედროვე საერთაშორისო სამართალში	20

ქართული სამართლის ისტორიიდან

მ. ლ ე კ ვ ე ი შ ვ ი ლ ი — მოსამართლეთა დანიშვნის წესი და უფლება—	
მოვალეობა გვიანფეოდალურ საქართველოში	27
ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მასალები	34

წინადადებათა ახალი კანონმდებლობისათვის

ვ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი — მისაღება თუ არა დოცენტ ბ. ფურცხვანიძის	
წინადადებათა?	41
ვ. ნ ე ი ძ ე — შენიშვნები შრომის კანონმდებლობის „საფუძვლების“ შესახებ	47
თ. ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი — სარჩელის შეცვლის საკითხისათვის	50

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

ა. ი ო ბ ი ძ ე — როგორ ვახორციელებთ სახალხო სასამართლოს მუ-	
შაობის გარდაქმნას	55
შ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი — სოციალისტური კანონიერების განმტკიცების	
აუცილებელი პირობა	59
გ. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი — დავიკვთ სასამართლოს კერძო დადგენილება-	
თა გასაჩივრების წესები	61
მ. ნ ა ნ ი კ ი შ ვ ი ლ ი — ადვოკატის რეპლიკა	63
ზ. მ ე ს ე ნ გ ი ს ე რ ი — როცა კრიტიკიდან დასკვნები არ გამოაქვთ	65

ნარკვევი

მ. თ ო ფ უ რ ი ძ ე — საფლავის ქვა უწარწერთ	68
ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა	75

პრიტიკა და ბიულიოგრაფია

გ. თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი — მონოგრაფია საბჭოთა მემკვიდრეობის სა-	
მართლის შესახებ	79
ი უ რ ი დ ი უ ლ ი კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს	83
წ ე რ ი ლ ე ბ ი რ ე დ ა ქ ც ი ა ს	84
ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო პ რ ა ქ ტ ი კ ა	85
ქ რ ო ნ ი კ ა	88

Передовая — В. И. Ленин о Советском государстве и социалистической законности	80
Г. Дзоценидзе — Деятельность Советов на уровень новых задач	11
Г. Жвания — Понятие нейтралитета и политика нейтралитета в современном международном праве	20

ИЗ ИСТОРИИ ПРАВА ГРУЗИИ

М. Леквешвили — Порядок назначения и право-обязанности судей в позднефеодальной Грузии	27
Материалы грузинской юридической терминологии	34

ПРЕДЛОЖЕНИЯ ПО НОВОМУ
ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

В. Макашвили — Приемлемы ли предложения доцента Б. Пурцхванидзе?	41
Е. Неидзе — Замечания об «Основах» законодательства о труде	47
Т. Лилуашвили — К вопросу об изменении иска	50

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ
СУДА И ПРОКУРАТУРЫ

А. Иобидзе — Как перестраиваем работу народного суда	55
Ш. Гелашвили — Необходимое условие укрепления социалистической законности	59
Г. Девдарiani — Соблюдать порядок обжалования частных определений судов	61
М. Наникишвили — Реплика адвоката	63
З. Месенгисер — Когда из критики не делают выводов	65

ОЧЕРК

М. Топуридзе — Надгробный камень без надписи	68
Информация	75

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. Тархнишвили — Монография о Советском наследственном праве	79
Юридическая консультация	83
Письма в редакцию	84
Судебная практика	85
Хроника	88

3. ი. ლენინი—საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური კანონიერების შესახებ

შესრულდა 90 წელი მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის, გენიალური მოაზროვნის და რევოლუციონერის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადებიდან. ამ თარიღს საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის მშრომელები, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ როგორც დიდ დღესასწაულს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავი აღინიშნება ლენინიზმის ტრიუმფის პირობებში, პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების ვითარებაში. მიმდინარე წელს ვ. ი. ლენინის დაბადების თარიღი აღინიშნება საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შეწყვეტის, მშვიდობისათვის მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის აქტიური ბრძოლის ვითარებაში, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის ბრძნული, ლენინური საგარეო პოლიტიკის შედეგია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალიზმმა და გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა. დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც მარტო საბჭოთა კავშირი ეწეოდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას — სოციალიზმი უკვე გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა. მსოფლიო მოსახლეობის ერთი მესამედი, ხოლო ევროპისა და აზიის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ჩამოშორდა კაპიტალისტურ სისტემას და ადგა სოციალისტური განვითარების გზას.

საბჭოთა ხალხის გამორჩეული შრომის შედეგად, კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება და ამადღა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, აზიის ქვეყნებში: ინდოეთში, ბირმაში, ინდონეზიასა და ავღანისტანში, აგრეთვე საფრანგეთში საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ისტორიულმა ვიზიტმა, რაც ამ უკანასკნელ დროს მოეწყო, თვალნათლივ დაგვანახა, თუ რა პოპულარობასა და აღიარებას პოულობს მსოფლიოს ხალხებს შორის საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები, საყოველთაო და სრული განიარაღების იდეა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1960 წლის 15 იანვარს მიღებული კანონი „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ახალი მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს პარლამენტებისა და მთავრობებისადმი, ახალი უდიდესი წვლილია საერთაშორისო ვითარების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

უდიდესი და ფასდაუდებელია კაცობრიობის ისტორიაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში ვ. ი. ლენინის ღვაწლი. მან მთელი თა-

ვისი მოღვაწეობა, როგორც უდიდესმა თეორეტიკოსმა და ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელმა, აავო მარქსიზმის ურყევ განიტიხებურ საფუძველზე.

ლენინის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან ბრწყინვალედ დაიცვა მარქსიზმი მისი მტრებისაგან, გაანადგურა ოპორტუნიზმი და როგორც უბადლო შემოქმედმა, შემდგომ განავითარა მარქსის და ენგელსის მოძღვრება. ვ. ი. ლენინმა, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის გამოცდილების საფუძველზე გაამდიდრა მარქსისტული მეცნიერება სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით, დაამუშავა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ძირითადი პრობლემები.

ლენინმა, როგორც უდიდესმა მარქსისტმა, მეცნიერულად განაზოგადა ყველაფერი ის, რაც მოგვცა იმპერიალიზმის ეპოქამ, მან ახალი ისტორიული მოვლენების საფუძველზე განავითარა და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა მარქსიზმის ყველა შემადგენელი ნაწილი — ფილოსოფია, ეკონომიური მოძღვრება, მეცნიერული სოციალიზმი. ლენინმა შეაიარაღა რუსეთის მუშათა კლასი და მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობა სოციალისტური რევოლუციის ახალი, დასრულებული თეორიით, წამოაყენა დებულება პროლეტარიატის ჰეგემონიისა და მისი მოკავშირის შესახებ, განავითარა საერთოდ სახელმწიფოსა და კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული თეორია, შექმნა მოძღვრება ახალი ტიპის პარტიაზე და შეიმუშავა მისი სტრატეგია და ტაქტიკა. ლენინის მიერ შექმნილმა და გამობრძმედილმა კომუნისტურმა პარტიამ, ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა დარაზმეს რუსეთის მუშათა კლასი, 1917 წლის ოქტომბერში დაამხეს ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება და დაამყარეს მუშათა და გლეხთა წყობილება — საბჭოთა ხელისუფლება.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციით დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა — კაპიტალიზმის დამარცხებებისა და სოციალიზმის გამარჯვების ერა. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღიდან ვ. ი. ლენინის მთელი საქმიანობა მიმართული იყო პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისა და მისი ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის — კომუნისტური პარტიის მჭიდროდ დარაზმვისაკენ. ლენინი მტკიცედ და შეუთრგებლად იბრძოდა ტროცკისტებისა და პარტიის ყველა სხვა ჯურის მტრების წინააღმდეგ. ლენინის ყოველდღიურ საზრუნავ საგანს წარმოადგენდა მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლა, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა და მისი განმტკიცება მარქსიზმ-ლენინიზმის საბოლოო იდეალის — კომუნიზმის გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

სოციალისტური რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისათვის, ახალი უკლასო საზოგადოების მშენებლობისათვის, ლენინს აუცილებლად მიაჩნდა პროლეტარული სახელმწიფოს ორგანიზაცია, მისი ყოველმხრივ განვითარება და განმტკიცება.

თავის უკვდავ ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ ვ. ი. ლენინი წერდა: „პროლეტარიატისათვის აუცილებელია სახელმწიფო ძალა-უფლება, ძალის ცენტრალიზებული ორგანიზაცია, ძალდატანების ორგანიზაცია ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვისათვისაც და სოციალისტური მეურნეობის „მოწესრიგების“ საქმეში მოსახლეობის უზარმაზარი მასის, გლეხობის,

წერილი ბურჟუაზიისა და ნახევრად პროლეტარების მიმართ ხელმძღვანელობის გასაწევრად¹“.

ვ. ი. ლენინმა მარქსისტული მეცნიერების ღრმა ანალიზის შედეგად ყოველმხრივ გამოიკვლია საკითხი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის აუცილებლობისა და ახალი, სოციალისტური სახელმწიფოს აპარატის შექმნის შესახებ.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ყოველგვარი პოლიტიკური რევოლუციის ძირითად საკითხს წარმოადგენს საკითხი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ. იგი აღნიშნავდა, რომ თუ ბურჟუაზიულ რევოლუციაში საკითხი ეხება მხოლოდ ერთი ექსპლოატატორული სახელმწიფო ფორმის (ფეოდალური) მეორე ექსპლოატატორული სახელმწიფო ფორმით (ბურჟუაზიული) შეცვლას, ბურჟუაზიული მონარქიის ბურჟუაზიული რესპუბლიკით შეცვლას, სოციალისტური რევოლუცია მთლიანად სპობს ძველი ტიპის სახელმწიფოს და ქმნის ახალი, მაღალი ტიპის სახელმწიფოს, პროლეტარული დიქტატურის ხელისუფლებას მისი ახალი ფორმებითა და ხელისუფლების ახალი ორგანოებით, როგორც ცენტრში ისე ადგილებზე.

მიაჩნდა, რა აუცილებლად ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფო აპარატის დამსხვრევა, ლენინი ამბობდა: „მაგრამ თუ პროლეტარიატს ესაჭიროება სახელმწიფო, როგორც ძალდატანების განსაკუთრებული ორგანიზაცია ბურჟუაზიის წინააღმდეგ, აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, შესაძლებელია თუ არა ასეთი ორგანიზაციის შექმნა ისე, თუ წინასწარ არ იქნა მოსპობილი, არ იქნა დამსხვრეული ის სახელმწიფო მანქანა, რომელიც ბურჟუაზიის თავისთვის შეუქმნია? ამ დასკვნამდე პირდაპირ მივყევართ „კომუნისტურ მანიფესტს“ და ამ დასკვნაზე ლაბარაკობს მარქსი, როდესაც აჯამებს 1848—1851 წლების რევოლუციის გამოცდილების შედეგებს“.

მხოლოდ ვ. ი. ლენინს ეკუთვნის „საბჭოების“ როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის ფორმის მეცნიერული აღმოჩენა. განაზოგადა რა რუსეთის ორი — 1905 და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამოცდილება და რუსეთის მამინდელი პირობები, თავის ცნობილ „აპრილის თეზისებში“ ლენინი იმ გენიალურ დასკვნამდე მივიდა, რომ მუშათა კლასის დიქტატურის ყველაზე უფრო უკეთეს და მიზანშეწონილ სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენს მუშათა და გლეხთა დებუტატების საბჭოების რესპუბლიკა.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ყველა ერები აუცილებლად მივლენ კომუნისტურ მანქანამდე, მაგრამ თვითეული მათგანი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით, რომ თვითეული ერი თავისი ქვეყნის გარდაქმნას კომუნისტურის საწყისებზე მოახდენს საკუთარი თავისებურების მიხედვით. ლენინი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ყოველგვარი შაბლონის, დოგმატიზმის, მითუმეტეს მამინ, როდესაც საქმე სოციალისტურ რევოლუციას ეხებოდა. თავის კლასიკურ ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ ლენინი წერდა: „კაპიტალიზმიდან კომუნისტურზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვლად ერთი იქნება: პროლეტარიატის დიქტატურა“.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 496-497.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 497.

³ ვ. ი. ლენინი, ტ. 25, გვ. 508.

ვ. ი. ლენინის ამ დებულების უღაო დადასტურებას წარმოადგენს შემოქმედების კლასის დიქტატურის განხორციელება საბჭოთა კავშირში — საბჭოთა რესპუბლიკის ფორმის სახით, ხოლო სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში — ჩინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთში, ალბანეთში და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში — სახალხო, დემოკრატიული რესპუბლიკების ფორმით.

ლენინური დებულება პროლეტარიატის დიქტატურის ფორმების მრავალფეროვნობის შესახებ ეხება არა მხოლოდ მმართველობის ფორმებს, არამედ ეხება თვით სახელმწიფოებრივ წყობას. ოქტომბრის რევოლუციამდე ლენინი, იცავდა რა კომუნისტური პარტიის პოზიციას, წინააღმდეგი იყო ფედერაციის, როგორც სახელმწიფო წყობის ფორმისა და მხარს უჭერდა პოლიტიკურ ცენტრალიზმს. მაგრამ, ამასთან ერთად, გარკვეულ პირობებში მას დასაშვებად მიანდა ზოგიერთი სახელმწიფოების ფედერაცია.

რუსეთის ნაციონალური პირობების, ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის გათვალისწინებით, ვ. ი. ლენინმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების უმაღლეს წამოაყენა გეგმა საბჭოთა სახელმწიფოს ფედერაციულ პრინციპებზე მოწყობის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დეკრეტში ხაზი ქონდა გასმული მას, რომ ოქტომბრის რევოლუციის მიერ საქვეყნოდ გამოცხადებული ეროვნული პოლიტიკის განხორციელება, უზრუნველყოფს რუსეთის ხალხთა შორის მტკიცე კავშირს. სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობის ტრიბუნლიდან ლენინმა თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა: „ჩვენში, რუსეთში, საშინაო პოლიტიკის სფეროში ამჟამად საბოლოოდ აღიარებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, როგორც რუსეთში მოსახლე სხვადასხვა ერის თავისუფალ რესპუბლიკათა ფედერაციის, ახალი სახელმწიფო წყობილება“¹.

ამავე გამოსვლაში ლენინმა გენიალურად დაასაბუთა თავისუფალი საბჭოთა რესპუბლიკის ფედერაციის უპირატესობა რუსეთის სინამდვილეში და დასძინა, რომ: „რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად, გაიზრდება ეს ფედერაცია, იგი უძლეველია“². ამრიგად ვ. ი. ლენინის სახელთანაა დაკავშირებული სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის — ეროვნული საკითხის მარქსისტული გადაწყვეტა.

განუხრელად ახორციელებდა რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი შეაკავშირა ერთ მთლიან, განუყოფელ ოჯახად. ჩვენი დიადი საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს მსოფლიო-ისტორიულ მონაპოვარს წარმოადგენს ხალხთა ნამდვილი, უანგარო მეგობრობა. რომლის მსგავსი არ არის კაპიტალიზმის სამყაროში და არც შეიძლება იყოს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავენ ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის. „თავის ეროვნულ პოლიტიკაში, — ნათქვამია პარტიის XX ყრილობის რეზოლუციაში, — პარტია ეყრდნობოდა და ეყრდნობა ლენინურ დებულებას, რომ სოციალიზმი არა თუ არ სპობს ეროვნულ განსხვავებებსა და თავი-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 560

² ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 562.

სებურებებს, არამედ, პირიქით, უზრუნველყოფს ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარებასა და აყვავებას. ამიტომ კვლავაც უადრესი ყურადღებით უნდა ითვალისწინებდეს ამ თავისებურებებს მთელ თავის პრაქტიკულ მუშაობაში“.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, დაამსხვრია რა ძველი რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატი, შექმნა სოციალისტური სახელმწიფო. სოციალისტური სახელმწიფოს აპარატი შეიქმნა მუშების, გლეხებისა და მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისაგან. მუშურ-გლეხური სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ საბჭოები, რომლებიც აღმოცენდნენ და განმტკიცდნენ კაპიტალისტებისა და მემამულეთა წესწყობილების დამსობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შედეგად.


საბჭოთა ხელისფულების არსს ვ. ი. ლენინი სწორედ იმაში ხედავდა, რომ საბჭოები წარმოადგენენ მშრომელთა ყველაზე უფრო მასობრივ ორგანიზაციას, მშრომელთა სახელმწიფოს მუდმივ და ერთადერთ პოლიტიკურ საფუძველს.

ლენინი არაჩვეულებრივი შორსმკვრეტელობით ხედავდა რა გარდამავალ პერიოდში მამინდელი რუსეთის ეკონომიურ თავისებურებას, გვასწავლიდა, რომ გარდამავალი პერიოდის საზოგადოების ძირითადი კლასების — მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის — ამ ორი მეგობრული კლასის ურღვევი კავშირი წარმოადგენს იმ საზოგადოებრივ ძალას, რომელიც გარდუვალად მიიყვანს ქვეყანას კომუნისმის გამარჯვებამდე. ამრიგად, მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას ლენინი განიხილავდა, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის ერთადერთ გადამწყვეტ ძალას.

ვ. ი. ლენინი უდიდეს როლს ანიჭებდა ახალი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში მშრომელთა მასების მონაწილეობას. მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე მას შეუძლებლად მიაჩნდა სოციალიზმის მშენებლობა, კომუნისმის გამარჯვება. 1919 წლის 20 იანვარს პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ჩეორე ყრილობაზე თავის მოხსენებაში ლენინი ამბობდა: „იმ უდიდეს გადატრიალებასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა ისტორიაში, როდესაც პროლეტარიატმა ხელთ აიღო სახელმწიფო ძალაუფლება, პროფესიული კავშირები უდიდეს გარდატეხას განიცდიან მთელ თავიანთ მოღვაწეობაში, ისინი ახალი საზოგადოების მთავარი შემქმნელნი ხდებიან. რადგან ამ საზოგადოების შემქმნელნი მხოლოდ მრავალმილიონიანი მასები შეიძლება იყვნენ. როგორც ბატონყმობის ეპოქაში ასეულები იყვნენ ეს შემქმნელნი, როგორც კაპიტალიზმის ეპოქაში ათასები და ათეული ათასები ამენებდნენ სახელმწიფოს, ისე ახალი სოციალისტური გადატრიალება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ ათეული მილიონები მიიღებენ აქტიურ, უშუალო პრაქტიკულ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში!“.

ვ. ი. ლენინის ამ ბრძნული ძითითებებიდან გამომდინარეობს კომუნისტური პარტიის მიერ შემდგომში გატარებული ღონისძიებანი მშრომელთა ფართო მასების სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ჩაბმისათვის, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ ხელისუფლების ორგანოების — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოების და ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში უშუალოდ მონაწილეობს მშრომელთა მიერ წარგზავნილი 1.810.359 დეპუტატი და მილიონობით სხვა მოქალაქე. ასევე ასეუ-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 28, გვ. 537.



ლი ათასი სახალხო მსაჯული აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებაში.

ლენინის მითითებათა უშუალო განხორციელებას წარმოადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 15 ივლისის ბრძანებულება „პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა დებულების დამტკიცების შესახებ“. ამ დებულებით მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფესიული კავშირების როლი და გაფართოვდა მათი უფლებები წარმოების წართვაში, მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ლენინური ცენტრალური კომიტეტის შემდგომ დადგენილებებს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამადლების შესახებ.

პარტიისა და მთავრობის ახალი ღონისძიებები ითვალისწინებენ ყველა მოქალაქის მიზიდვას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში მონაწილეობისათვის. პარტიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ბევრი ფუნქცია, რომლებსაც ახლა სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ, თანდათანობით უნდა გადავიდეს და უკვე გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში, რომლებიც მოწოდებული არიან შეასრულონ სულ უფრო დიდი როლი მასების კომუნისტურ აღზრდაში, საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვაში, ანტისაზოგადოებრივი საქციელისა და დანაშაულობათა თავიდან აცილებასა და აღკვეთაში.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის მიზნით მთელ საბჭოთა კავშირში, სკკ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილების შესაბამისად, მოეწყო ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები. რომლებიც აერთიანებენ მილიონობით საბჭოთა მშრომელს. მარტო საქართველოს რესპუბლიკაში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობაში მონაწილეობს 35 ათას ეაცზე მეტი.

საზოგადოებრივი ზემოქმედების გზით მოქალაქეთა აღზრდისა და კოლექტივში ყოველი ანტისაზოგადოებრივი საქციელისადმი შეუთრგებლობის ვითარების შექმნის მიზნით, საგრძნობლად ამაღლდა ამხანაგური სასამართლოების როლი. ამხანაგური სასამართლოების სანიმუშო დებულების პროექტით, რომელიც საყოველთაო განსახილველად გამოქვეყნდა გასული წლის 23 ოქტომბერს, შესამჩნევად ფართოვდება ამხანაგური სასამართლოების უფლებები.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული და სხვა ღონისძიებანი, მიმართული საბჭოთა საზოგადოებრიობის როლის ამადლებისაკენ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში, პრაქტიკული განხორციელებაა ლენინის მითითებებისა იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით, იგი ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, როცა მათ შეუძლიათ ყველაფერზე იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად სჩადიან“.

უდიდეს ყურადღებას აქცევდა ლენინი სოციალისტური კანონიერების საქმეს. ლენინი, განურჩევლად პიროვნებისა, ყველასაგან მოითხოვდა საბჭოთა კა-

ნონების მტკიცედ შესრულებას და მიუთითებდა, რომ „სულ მცირეოდენი უკანონობა, საბჭოთა წესრიგის სულ მცირეოდენი დარღვევა უკვე ის ხერხე-ლია, რომელსაც დაუყოვნებლივ გამოიყენებენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები“.

ვ. ი. ლენინის სახელთანაა დაკავშირებული პირველი საბჭოთა კოდექსების დამუშავება და მიღება. ლენინი იყო მთავარი ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იმ დიდი საკოდიფიკაციო მუშაობისა, რომელიც განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კოდიფიკაციისათვის ლენინის მოძღვრებას დანაშაულისა, ბრალისა და სასჯელის შესახებ, იძულებისა და დაჯერების ზომების თანაფარდობის და პიროვნების უფლებათა გარანტირების შესახებ. ლენინის დებულებები, რომლებიც შეეხებოდნენ სამოქალაქო ომის პერიოდს და უცხო სახელმწიფოთა ინტერვენციას, გამოყენებულ უნდა იქნას არა მექანიკურად, არამედ შემოქმედებითად, საბჭოთა კავშირის დღევანდელი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის, სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მშრომელთა მატერიალური პირობებისა და შეგნებულობის დონის გათვალისწინებით.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ ახალი კანონების გამოცემის დროს საჭიროა ყოველმხრივ გათვალისწინებულ იქნას არა მარტო ობიექტური პირობები და შესაძლებლობანი, არამედ სუბიექტური ფაქტორი, კერძოდ, მასების შეგნებულობის დონე. ლენინი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ კომუნისტურ პარტიას შეუძლია მართოს მხოლოდ მაშინ, როცა ის სწორად ასახავს მას, რასაც გრძნობს ხალხი.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის მტკიცედ და ურყევად განხორციელებით სულ უფრო და უფრო ფართოვდება საბჭოთა კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები, მათ შორის საკანონმდებლო უფლებებიც. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1957 წლის 12 თებერვალს მიიღო კანონი მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო უფლებების გაფართოების შესახებ. ამ კანონის თანახმად სსრ კავშირის გამგებლობას მიეკუთვნება მარტოდენ სასამართლო წყობილების და სასამართლო წარმოების და აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დადგენა.

სამოქალაქო სამართლის, სამოქალაქო საპროცესო, სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სხვა კოდექსების და აგრეთვე სასამართლო წყობილების კანონის მიღება მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოების კომპეტენციას შეადგენს. აღნიშნული კანონი მთლიანად და სავსებით გამომდინარეობს ლენინის მოძღვრებიდან. თავისი სტატიის პირვანდელ მონახაზში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ცენტრალიზმი, ნამდვილად დემოკრატიული აზრით გაგებულა, ჭეულისხმობს ისტორიის მიერ პირველად შექმნილ შესაძლებლობას არა მარტო ადგილობრივი თავისებურებების, არამედ ადგილობრივი თაოსნობის, ადგილობრივი ინიცია-



ტივის საერთო მიზნისაკენ მიმართული მოძრაობის სხვადასხვაგვარი გზებისა, წესებისა და საშუალებების სრული და შეუფერხებელი განვითარებისათვის¹.

მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო უფლებების გაფართოება სრულებითაც არ ეწინააღმდეგება სოციალისტური კანონმდებლობისა და კანონიერების ერთიანობის ლენინურ პრინციპს. ეს პრინციპი იყო და კვლავაც რჩება ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპად საბჭოთა სამართალში. საბჭოთა კანონმდებლობა ყოველთვის გამოხატავდა და კვლავაც გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის ნებასურვილს. კომუნისტური პარტიის ერთიან პოლიტიკას, საერთო-საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის ერთიანობა დამყარებულია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ერთიანობაზე და საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლების ერთიანობაზე.

დიდა ლენინმა დაამუშავა სახელმწიფო მმართველობის და საბჭოთა აპარატის მუშაობის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც დღევანდელ პირობებშიც არ დაუკარგავთ თავისი უდიდესი სასიცოცხლო მნიშვნელობა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი, დემოკრატიული ცენტრალიზმი, მჭიდრო კავშირი მშრომელ მასებთან, მათი აქტიური მონაწილეობა სახელმწიფო მართვა-გამგებლობაში, საბჭოთა დაწესებულებების საქმიანობაზე მასების კონტროლი, ხალხის კეთილდღეობისათვის ყოველდღიური ზრუნვა, სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობის იმ საფუძველს წარმოადგენს, რომელზედაც ვ. ი. ლენინი მიგვიითითებდა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სახელმწიფო აპარატის სრულყოფისათვის უკანასკნელ წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად, კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა ჩვენი სახელმწიფო მმართველობის აპარატი, საგრძნობლად გაუმჯობესდა მისი მუშაობა და კავშირი მასებთან.

საბჭოთა ხალხი, დიდა კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობით, მთავაგონებელი ვ. ი. ლენინის უკუდავობიდან იდეებით გაბედულად მიდის წინ, კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 239.

საბჭოების საქმიანობა—ახალი ამოსანების ღონეზე

ბ. ქოჩინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

საბჭოთა ხალხმა წარმატებით ააშენა სოციალიზმი და მტკიცედ შესდგა ფეხი განვითარების ახალ საფეხურზე — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის გზაზე.

ჩვენი ქვეყნის მიღწევებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე თუ ტრანსპორტზე, მეცნიერებაში თუ ტექნიკაში ახლა ყველაზე დაუძინებელი მტრებიც კი აღიარებენ.

საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ იმის შეგნებით, რომ მათ პირველებმა ჩაუყარეს საძირკველი კომუნიზმის ნათელ შენობას და უდიდესი უნთუზიაშითა და თავდადებით ამოჰყავთ ამ დიადი შენობის კედლები, იმით, რომ ისინი ცხოვრობენ და შემოქმედებით შრომას ეწევიან ქვეყანაში, რომელსაც წინ მიუძღვის საიმედო მესაქე, დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია — ყველა ჩვენი გამარჯვებისა და მიღწევის ავტორი და სულისჩამდგმელი.

სოციალისტური სახელმწიფოს გრანდიოზულ მიღწევებში უდიდესი დამსახურება მიუძღვით მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, რომლებიც აღმოცენდნენ და განმტკიცდნენ „მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების შედეგად“. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-3 მუხლით „მთელი ძალაუფლება სსრ კავშირში ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომლებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით“.

საბჭოები დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია, ისინი შეიქმნენ და განმტკიცდნენ მხოლოდ იმის შედეგად, რომ ისინი წარმოადგენენ მშრომელების ყველაზე დემოკრატიულ, ყველაზე პროგრესულ ფორმას, ხალხთან, მასებთან ყველაზე ახლო მდგომ ორგანოს.

ვ. ი. ლენინი ზიტყვაში დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების შესახებ 1917 წლის 4 ივნისს ამბობდა: „საბჭოები—ეს არის დაწესებულება, რომელიც არც ერთს ჩვეულებრივი ტიპის ბურჟუაზიულ-პარლამენტურ სახელმწიფოში აო არსებობს და ბურჟუაზიული მთავრობის გვერდით არ შეიძლება არსებობდეს. ეს არის სახელმწიფოს ის ახალი, უფრო დემოკრატიული ტიპი, რომელსაც ჩვენს პარტიულ რეზოლუციებში ჩვენ ვუწოდებთ გლეხურ-პროლეტარული დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც ერთადერთი ძალაუფლება მუშების და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოების ხელში იქნებოდა“.

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში პარლამენტები ხალხისაგან არ არიან დამოკიდებულნი, მათ ირჩევენ ყოველგვარი მაქინაციების, მოტყუების, შანტაჟის, მოსყიდვის საშუალებით, რის გამოც პარლამენტთა შემადგენლობაში მხოლოდ მმართველი კლასების — კაპიტალისტთა წარმომადგენლები ხვდებიან,

რომლებიც ემსახურებიან იმპერიალიზმის ღვთაებას — ოქროს. ამისგან განსხვავებით, საბჭოები ნამდვილად ხალხური, დემოკრატიული ორგანოებია, რომლებსაც ირჩევენ მშრომელები — მუშები, კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია და, რომლებიც მხოლოდ ხალხის, სამშობლოს ინტერესებს ემსახურებიან. „საბჭოები, სხვათა შორის, სწორედ იმიტომ წარმოადგენენ დემოკრატიზმის განუზომლად უფრო მაღალ ფორმას და ტიპს, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — რომ ისინი აერთიანებენ და აბამენ რა პოლიტიკაში მუშათა და გლეხთა მასას. იძლევიან „ხალხთან“ ყველაზე ახლო მდგომ (იმ აზრით, როგორც მარქსი ლაპარაკობდა 1871 წელს ნამდვილად სახალხო რევოლუციაზე), მასების პოლიტიკური, კლასობრივი სიმწიფის განვითარებისა და ზრდის ყველაზე მგრძნობიარე ბარომეტრს“.

სწორედ ამიტომ წარმოიშვა საბჭოები, როგორც 1905 წლის რევოლუციამ, ისე 1917 წლის თებერვლისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამაც. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ყველა ჯურის მტრებისა და მოწინააღმდეგეების პასუხად, რომლებიც ამტკიცებდნენ, თითქოს საბჭოები უღელეურნი აღმოჩნდებოდნენ და შექმნისთანავე დაიღუპებოდნენ, ვ. ი. ლენინი 1917 წლის 2 დეკემბერს გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე ამბობდა: „ამხანაგებო, აქ ამბობდნენ, რევოლუციის ახალმა ტალღამ შეიძლება აღგავოს საბჭოებით, მე ვამბობ: ეს არ მოხდება. მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ საბჭოები არასოდეს არ დაიღუპებიან; 25 ოქტომბრის რევოლუციამ დაგვიმტკიცა ეს. საბჭოები არასოდეს არ დაიღუპებიან, იმიტომ, რომ ისინი შეიქმნენ ჯერ კიდევ 1905 წლის პირველი რევოლუციის დროს. შეიქმნენ თებერვლის რევოლუციის შემდეგაც და ეს მოხდა არა ვისიმე პირადი წამოწყებით, არამედ ძირიდან, ხალხის მასების ნებით. აქ არ შეიძლება არავითარი შეზღუდვა, არავითარი ფორმალობა იმიტომ, რომ საბჭოები შეიქმნა ხალხის ნებით და ხალხს შეუძლია ყოველ წუთში გაიწვიოს თავისი წარმომადგენლები, საბჭოები ყოველგვარ პარლამენტებზე, ყოველგვარ დამფუძნებელ კრებებზე მაღლა დგანან“.

ცხოვრებამ ბრწყინვალედ დაადასტურა დიდი ლენინის ეს გენიალური წინასწარჭკრეტა, საბჭოები არა თუ დაიღუპნენ, არამედ იმდენად განმტკიცდნენ და ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციებად იქცნენ, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით რაზმავენ მილიონობით მშრომელმა პარტიის ყველა გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის.

არ ძრის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ისეთი უბანი, სადაც თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვათ საბჭოებს, ჩვენს ქვეყანას არ მოუპოვებია არც ერთი გამარჯვება, რომელშიც თავისი დიდი წვლილი არ შეეტანათ საბჭოებს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ხელმძღვანელობენ მმართველობის მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მოქმედებას, კულტურულ, პოლიტიკურ და სამეურნეო მშენებლობას თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე, აწესებენ ადგილობრივ ბიუჯეტს, უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, კანონების შესრულებას და მოქალაქეთა უფლებების დაცვას,

¹ ვ. ი. ლენინი ტ. 28, გვ. 358.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 416-417.

ხელს უწყობენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, იღებენ გადაწყვეტილებებს და იძლევიან განკარგულებებს იმ უფლებათა ფარგლებში, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ.

საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მ. ი. კალინინი ამბობდა, რომ უკვე თვით დებუტატების რაოდენობა, რომლებიც გაფანტული არიან მთელ საბჭოთა კავშირში — მოსკოვიდან დაწყებული მის შორეულ კუთხეებამდე — გვიჩვენებს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მათი საშუალებით შეუძლია გაატაროს და ატარებს კიდევ ნამდვილად დიდ ღონისძიებებს, რადგან ეს ფაქტი, არსებითად რომ ვთქვათ, ჩვენი ქვეყნის მთელ მოსახლეობას მოიცავს; მოსახლეობა — რომელმაც დებუტატები აირჩია, უშუალო კავშირში იმყოფება მათთან. ეს კავშირი უწყვეტ ჯაჭვად მოედინება დაბლიდან ბოლომდე და საბჭოთა ხელისუფლებას ნამდვილად მშრომელთა ხელისუფლებად ხდისო. და განა მართლაც ასე არაა? მართო საქართველოში მშრომელთა დებუტატების საბჭოებში არჩეულ დებუტატთა რაოდენობა ორმოცდაერთიათასამდე აღწევს. ყოველი ასი მცხოვრებიდან ერთი კაცი არჩეულია მშრომელთა დებუტატების ამა თუ იმ საბჭოში.

კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას უთმობდა და უთმობს მშრომელთა დებუტატების საბჭოებს, სისტემატურად ზრუნავს მათი როლისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, მათი ფუნქციების გაფართოებისათვის. უდიდესი როლი შეასრულა ამ საქმეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 22 იანვრის დადგენილებამ— „საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისა და მასებთან მათი კავშირის გაძლიერების შესახებ“. საბჭოების მუშაობას დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ XX და განსაკუთრებით XXI ყრილობაზე. ნ. ს. ხრუშჩოვი XXI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამბობდა:

„ჩვენი საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე კიდევ უფრო იზრდება მშრომელთა დებუტატების საბჭოების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების როლი, რომლებმაც მთელი თავიანთი მუშაობა უნდა ააგონ მასების აქტივობაზე დაყრდნობით, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოების, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისა და ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცების საფუძველზე...“

უფრო წარმატებით რომ შეძლონ განახორციელონ თავიანთი როლი, საბჭოები მოვალენი არიან გადაჭრით აღკვეთონ საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ელემენტები, მეტი ზრუნვა გამოიჩინონ მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის“.

ხელმძღვანელობდნენ რა ამ მითითებით, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დებუტატების საბჭოებმა, დაწყებული უმაღლესი საბჭოდან და დამთავრებული სასოფლო საბჭოთი, უკანასკნელ წლებში მკვეთრად გააუმჯობესეს მუშაობა.

საგრძობლად გამოცოცხლდა უმაღლესი საბჭოს დებუტატების, უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობა. დებუტატები მუდმივ კონტაქტში არიან ამომრჩევლებთან, ხალხთან, აბარებენ მათ ანგარიშებს, მონაწილეობენ სხვადასხვა საკითხების მომზადებაში. ბევრი საკითხი შეისწავლეს და დააყენეს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, მისი პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების განსახილველად უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა.

უფრო მოქნილი, ოპერატიული და შედეგიანი გახდა ადგილობრივი საბ-

კოების მუშაობა. ისინი ეფექტურად წყვეტენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებს, უკეთ ხელმძღვანელობენ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, გააფართოეს და განამტკიცეს კავშირი მასებთან, მეტწილად დაწესებულ ვადებში იწვევენ სესიებს. დიდი მუშაობა გასწიეს რესპუბლიკის რაიონულმა, სასოფლო და სადაბო საბჭოებმა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების საქმეში, რაც 1958 წელს მახარაძელთა ინიციატივით იქნა დაწყებული. გასულ წლებში, რესპუბლიკაში ადგილობრივი სახსრებით და კოლმეურნეთა და სოფლის მცხოვრებთა შრომითი მონაწილეობით აშენდა ასობით სკოლა, კლუბი, საავადმყოფო, აფთიაქი, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, საბავშვო ბაღი, აგურის, კირის, კრამიტის, ხეცის სახერხი ქარხნები. განხორციელდა მრავალი დასახლებული პუნქტის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოები, შეკეთდა ასობით კილომეტრი სიგრძის გზა, ელექტროფიცირებულ და რადიოფიცირებულ იქნა მრავალი სოფელი. ყველა ამ სამუშაოთა შესრულებაში უდიდესი როლი ითამაშეს სასოფლო, სადაბო, რაიონულმა საბჭოებმა, მათმა მუდმივმა კომისიებმა, დეპუტატებმა. მაგრამ ამ მხრივ რესპუბლიკის ბევრ რაიონში ჯერ კიდევ საგრძნობი ჩამორჩენა გვაქვს.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთ საბჭოს ჯერაც არ გარდაუქმნია ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმების აუცილებლად შესრულება. ზოგიერთი რაიონული და სასოფლო საბჭო და მათი აღმასკომი, კულტურულ-საგანმანათლებლო და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიები არ სწავლობენ და არ იხილავენ სამწლიანი გეგმის შესრულების მდგომარეობას.

ჯერ კიდევ ფართოდ არ არის დარაზმული მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში აქტიური შრომითი მონაწილეობისათვის. საკმარისად არ ეწყობა შაბათობები და მშრომელთა მასობრივი გასვლა მშენებლობებზე. ზოგან სამუშაოებს დაქირავებულნი მუშახელით აწარმოებენ, რაც ზრდის მშენებლობის ღირებულებას.

ზოგიერთ მშენებლობაზე მოწესრიგებული არ არის შრომის ორგანიზაცია; საკმარისი რაოდენობით არ აქვთ სამშენებლო მასალები; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ადგილობრივი საშენი მასალების საწარმოთა გაფართოებისა და ახალი საწარმოების მოწყობის საქმეს, მაშინ, როცა საშენ მასალათა წარმოების ამჟამად არსებული დონე მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

საქართველოს სსრ მშენებლობისა და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროები და მათი სამშენებლო ორგანიზაციები სათანადო დახმარებას არ უწევენ ადგილზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის განხორციელებაში. 1960 წელი — სამწლიანი გეგმის უკანასკნელი წელია. რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ, რათა აუცილებლივ დაამთავრონ გეგმით გათვალისწინებული ყველა ობიექტის მშენებლობა.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანიზაციული მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა არის საბჭოს სესია. სესია, — დეპუტატთა საერთო კრება, — სწყვეტს მის კომპეტენციაში შემავალ ყველა საჭირობოროტო და სასიცოცხლო საკითხს. მისი მოწვევის ვადები გათვალისწინებულია საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით.

სესიის დროულად და მომზადებულად ჩატარება მთლიანად დამოკიდებუ-

ლია აღმასრულებელ კომიტეტზე. სესიებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიადებინონ დეპუტატებს, მუდმივი კომისიებსა და აქტივს. რესპუბლიკის საბჭოების უმრავლესობა მტკიცედ იცავს სესიების მოწვევის კონსტიტუციით დადგენილ ვადებს. კარგად ამზადებს საკითხებს, რომელთა განხილვაშიც ფართოდ მონაწილეობენ დეპუტატები და საბჭოს აქტივი. მაგალითად, ასპინძის, ახალციხის, ლანჩხუთის, მცხეთის, ზესტაფონის, თელავის რაისაბჭოებს წლის მანძილზე ჩატარებული აქვთ 6 — 7 სესია. განსახილველი საკითხების მომზადებაში ფართოდ მონაწილეობდნენ დეპუტატები და აქტივი. მიღებული დადგენილებები საქმიანია. მაგრამ, რიგ რაიონში კიდევ არაა დამაკმაყოფილებლად ტარდება სესიები, მათში არასაკმაროდ მონაწილეობენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი. სესიებზე არ არის გაწეული კრიტიკა და თვითკრიტიკა, ზოგ შემთხვევაში სესიები იღებენ თათბირის ხასიათს, სადაც საკითხები ნაჩქარევად წყდება, რის შედეგადაც მიღებული გადაწყვეტილებები ზოგადი, დეკლარაციული ხასიათისაა. ლაგოდეხის, ყაზბეგის და წალკის რაიონული და ახალქალაქის, ტყიბულისა და წულუკიძის საქალაქო საბჭოები არღვევენ სესიების მოწვევის ვადებს. სესიების მოწვევის ვადები დაარღვიეს აგრეთვე ბოლნისის, გურჯაანის, ზუგდიდის, ლენტეხისა და წალენჯიხის რაისაბჭოებმა, თბილისის სამგორის რაიონის, მარნეულის, ხაშურის და სხვა რაიონების სასოფლო საბჭოებმა.

ყოველი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მუშავეს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ სესიების მოწვევის ვადების დარღვევა წარმოადგენს კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის დარღვევას, რადგან საბჭო კოლექტიური ხელმძღვანელობის უმაღლესი ორგანოა მის სამოქმედო ტერიტორიაზე. დღეს, როცა პარტია ყოველხმრივ ავითარებს დემოკრატიას, ამადღებს საბჭოების როლს, ზრდის მათ ფუნქციებს, დემოკრატიზმის პრინციპების დარღვევის ყოველგვარი გამოვლინება დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. სესიების რეგულარულად, კონსტიტუციით დათვალსწინებულ ვადებში მოწვევა, მათზე აქტუალური, კარგად მომზადებული საკითხების გატანა, შესაძლებლობას მოგვცემს ფართოდ ჩავაბათ დეპუტატები სახელმწიფოებრივ მმართველობაში, დავუახლოვოთ ხელისუფლების ორგანოები მასებს, გადავკრათ საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის საჭირო დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

თუ სესიაზე ესა თუ ის საკითხი მოუმზადებლად დაისვა და მშრალად იქნა განხილული, თუ მის განხილვაში მონაწილეობა არ მიიღეს დეპუტატებმა, ასეთ განხილვას არავითარი ფასი არ ექნება. გასულ წელს ხაშურის რაისაბჭოს მეორე სესიაზე საკითხის — „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ — განხილვაში 9 კაცმა მიიღო მონაწილეობა, მათგან დეპუტატი მხოლოდ 3 იყო. ამავე რაისაბჭოს მესამე სესიაზე საკითხის — „რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის ზვებისა და ხიდბოგირების მშენებლობის და შეკეთების მიმდინარეობის შესახებ“ განხილვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 4 კაცმა, მათგან 2 დეპუტატმა; ლაგოდეხის რაისაბჭოს გასული წლის 25 დეკემბრის სესიაზე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში, როგორცაა რაიონის კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობა, მონაწილეობა მიიღო 6 კაცმა, მათ შორის მხოლოდ ერთმა დეპუტატმა. დეპუტატების აქტივობა სესი-

ეგზე საკითხების განხილვის დროს დაბალია აგრეთვე ბოლნისის, ხობისა და ზოგიერთ სხვა საბჭოში.

საბჭოების მთავარ მამოძრავებელ ძალას, მის სასიცოცხლო ძარღვს წარმოადგენს დეპუტატი — ხალხის რჩეული, ხალხის მსახური. ხალხი საბჭოების დეპუტატებად ირჩევს იმათ, ვინც თავდადებული მუშაობით შეიქმნა ავტორიტეტი, თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა. დეპუტატს ჩვენში დიდი უფლებები აქვს. მას შეუძლია ამომრჩეველთა სახელით და მათი ინტერესების შესაბამისად დასვას სესიის ან აღმასკომის განსახილველად ესა თუ ის საჭირო საკითხი, აგრეთვე მიმართოს საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სახელმწიფო ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელებს იმ საკითხებზე, რომლებიც დააყენეს მის წინაშე ამომრჩეველებმა და მიაღწიოს მათ დადებითად გადაჭრას.

დეპუტატის ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სესიისა და მისი ორგანოების მუშაობაში. ამასთან ერთად, დეპუტატს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის ხალხმა აირჩია და მისი მსახურია. ამისათვის მან თავისი ყოველდღიური მოღვაწეობის ცენტრად საარჩევნო ოლქი უნდა გაიხადოს. აქ იგი სისტემატურად უნდა ხვდებოდეს თავის ამომრჩეველებს, აცნობდეს მათ პარტიის და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებს, მოსახლეობამდე დაყავდეს საბჭოს გადაწყვეტილებანი და დარახმოს მშრომელები მათ შესასრულებლად. იგი ვალდებულია იყოს მაგალითის მიმცემი მუშაობაში, თვითონ იცავდეს სოციალისტურ კანონებს და მოითხოვდეს სხვებისაგანაც მათ დაცვას. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაამართლებს ის ხალხის ნდობას, პარტიის ნდობას. იმისათვის, რომ მან შეასრულოს დეპუტატის მაღალი მოვალეობა, საჭიროა, რომ მუდმივად ხალხში იყოს, ცხოვრობდეს მათი ცხოვრებით, იგებდეს მათ გასაჭირს და იბრძოდეს ყოველი შემჩნეული ნაკლის, ხარვეზის, დარღვევის აღმოსაფხვრელად.

იმ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, რომელიც დაუსახა საბჭოებს პარტიამ, საგრძნობლად გაუმჯობესდა დეპუტატების მიერ ამომრჩეველებსათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეც. გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა 80,2 პროცენტმა ჩააბარა ანგარიშები ამომრჩეველებს. ჰაპინძის, ახალციხის, ლანჩხუთის, საჩხერისა და ცხაკაიას რაიონებში დეპუტატთა 98-100 პროცენტმა ჩააბარა ანგარიშები ამომრჩეველებს. ანგარიშების ჩაბარების დროს ამომრჩეველებმა შეიტანეს მთელი რიგი წინადადებები, რომელთა უმეტესობაც დეპუტატების ინიციატივით და აღმასკომების დახმარებით მიღებულ იქნა. მაგალითად, ჰაპინძის რაისაბჭოს დეპუტატს მ. გიგაშვილს ამომრჩეველებმა სთხოვეს დახმარებოდა მდინარე ოშორაზე ხიდის აგებაში. დეპუტატმა ამომრჩეველთა ეს წინადადება დასვა რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე და ამის შედეგად აგებულ იქნა ახალი ხიდი. ამომრჩეველთა თხოვნის შესაბამისად ახალციხის რაისაბჭოს დეპუტატ გ. კაპანაძის თაოსნობით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით ქ. ახალციხეში განხორციელდა ჯავახიშვილის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები, რამაც საქალაქო საბჭოს 35.000 მანეთის ეკონომია მისცა. ყვარლის რაისაბჭოს დეპუტატმა ნ. ხატიაშვილმა ამომრჩეველთა დავალების შესაბამისად, სათანადო ორგანოების დახმარებით, მოახდინა სოფელ საბუეს ელექტროფიცირება და რადიოფიცირება.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან დეპუტატები, რომლებსაც სრულებით არ ჩაუბარებიათ ანგარიშები ამომრჩეველებისათვის საპეციალური შეხსენების შემ-

დევაც კი. მთლიანად რესპუბლიკაში გასულ წელს ადგილობრივი საბჭოების 7.846 დეპუტატს, ანუ დეპუტატთა 19,8 პროცენტს არჩევნების შემდეგ არც ერთხელ არ ჩაუბარებია ანგარიში ამომრჩევლებსათვის. ზოგ რაიონში ეს პროცენტი უფრო დიდია, ხოლო რიგ საბჭოში უფრო მეტიც, არც ერთი დეპუტატი არც ერთხელ არ შეხვედრია ამომრჩევლებს. მაგალითად, ბათუმის საქალაქო, გუდაუთის რაიონის ახალი ათონის სადაბო და წითელწყაროს რაიონის საბათლოს სასოფლო საბჭოების არც ერთი დეპუტატი ერთხელაც კი არ შეხვედრია ამომრჩევლებს. თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებიდან მხოლოდ 10,5 პროცენტმა ჩააბარა ამომრჩევლებს ანგარიში, სოხუმის საქალაქო საბჭოსი — 18 პროცენტმა, ახალქალაქის რაისაბჭოსი 19,4 პროცენტმა, ქ. თბილისის რაიონული საბჭოების 1.376 დეპუტატიდან ანგარიშით ამომრჩევლების წინაშე მხოლოდ 323 დეპუტატი გამოვიდა. ასეთივე მდგომარეობაა ზუგდიდის საქალაქო, წალკის, გეგუჭკორის, ახალქალაქის, თიანეთისა და სხვა რაიონებში.

ნამდვილი დემოკრატიზმის გამოვლინების ერთ-ერთი დამადასტურებელია საბჭოთა კანონით დაწესებული ამომრჩეველთა უფლება — აირჩიონ ახალი დეპუტატი გასული დეპუტატის ნაცვლად. ეს გასაგებია. თუ დეპუტატი რაიმე მიზეზით გავიდა მოცემულ საბჭოდან, იმ ოლქის ამომრჩევლებს, სადაც ეს დეპუტატი იყო არჩეული, აღარ ეყოლებათ თავისი წარმომადგენელი საბჭოში. სწორედ ამის გამო დააკანონა უმაღლესმა საბჭომ გასული დეპუტატის ნაცვლად ახალი დეპუტატის არჩევნები, რათა არ დარღვეულიყო დემოკრატია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ კიდევ არ იყენებენ ამ კანონს.

გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოებიდან გავიდა 721 დეპუტატი, ხოლო მათ ნაცვლად არჩეულ იქნა მხოლოდ 7. მაგალითად, ზუგდიდის რაიონის სასოფლო საბჭოებიდან გავიდა 32 დეპუტატი, გორის რაიონის სასოფლო საბჭოებიდან — 23, ხობის რაიონის სასოფლო საბჭოებიდან — 13 და ა. შ. მაგრამ ამ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გასული დეპუტატების ნაცვლად არცერთ საარჩევნო ოლქში არჩევნები არ ჩაუტარებიათ. გარდა იმისა, რომ გასული დეპუტატის ოლქში შემავალ ამომრჩევლებს აღარ ჰყავთ საბჭოში თავიანთი წარმომადგენელი, მოხდა დემოკრატიული პრინციპის მეორე დარღვევაც — საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელებად დაშვებულ იქნენ არა დეპუტატები.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა მუდმივმა კომისიებმა, რომლებიც შექმნილი არიან ყველა საბჭოსთან. კომისიები აქტიურად მონაწილეობენ სესიაზე განსახილველ საკითხთა შესწავლასა და მომზადებაში, სწავლობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგების საჭირობოროტო საკითხებს, აყენებენ მათ საბჭოს სესიის, აღმასკომის განსახილველად.

ამყამად ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილია 5.100-ზე მეტი კომისია, რომელშიც ჩაბმულია ადგილობრივი საბჭოების 31.810 დეპუტატი და 40.300 აქტივისტი. გასულ წელს ამ კომისიების მიერ მომზადებული და სესიებსა და აღმასკომების სხდომაზე დასმული იყო 15 ათასამდე საკითხი.


ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის სასოფლო საბჭოს 5 მუდმივ კომისიას გასულ წელს შესწავლილი, მომზადებული და სესიასა და აღმასკომის სხდომაზე განსახილველად გატანილი აქვს ორმოცზე მეტი საკითხი. კარგად მუშაობს თელავის რაისაბჭოს გამწვანების და ტყის გაშენების მუდმივი კომისია,

რომლის ინიციატივით და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით დაიწყო გზების პირებზე, სკვერებში და ბაღებში დაირგო 100 ათასზე მეტი ნერგი; ზუგდიდის რაიონის ნარაზენის სასოფლო საბჭოს საგზაო მშენებლობის მუდმივი კომისიის ინიციატივით შეკეთებული იქნა ადგილობრივი გზები და გაკეთდა 2 ახალი ხიდი მდინარე სკაიაზე. ასევე კარგად მუშაობენ სხვა მუდმივი კომისიებიც, მაგრამ, ამჟამინათნა, მუდმივი კომისიების ნაწილი ჯერ კიდევ უმოქმედობს. მაგალითად, მარნეულის რაიონულ საბჭოსთან შექმნილ 8 კომისიას გასულ წელს არაფერი გაუკეთებია. ასეთივე მდგომარეობაა ხაშურის რაიონის ტეზერისა და ქვიშხეთის, აგრეთვე ბოგდანოვკისა და ზესტაფონის რაიონული, ბოლნისის, დმანისის, თიანეთის სასოფლო და რიგ სხვა რაიონულ, საქალაქო და სასოფლო საბჭოში.

დიდ მუშაობას ეწევიან ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და მათი განყოფილებები, რომლებიც პერიოდულად აბარებენ ანგარიშებს თავისი მუშაობის შესახებ. როგორც საბჭოების სესიებს, ისე მოსახლეობასაც. ამ მხრივ კარგად იმუშავეს ახალციხის რაიონში. სადაც გასულ წელს მოსახლეობის წინაშე ანგარიშებით გამოვიდნენ რაიონული საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექტორი, აღმასკომის განყოფილებები, ელიაწმინდის სასოფლო საბჭოს აღმასკომი. მოსახლეობის კრებები ორგანიზებულად და მომზადებულად ჩატარდა, მშრომლებმა შეიტანეს მრავალი მნიშვნელოვანი წინადადება, მიუთითეს აღმასკომს, მის განყოფილებებს მუშაობაში არსებულ ცალკეულ ნაკლოვანებებზე. მაგრამ სამწუხაროდ აღმასკომების ნაწილი არა თუ მოსახლეობას, სესიებსაც კი არ აბარებს ანგარიშებს. მაგალითად, გასულ წელს რესპუბლიკის 66 რაიონული საბჭოს აღმასკომიდან საბჭოს სესიებს ანგარიში ჩააბარა მხოლოდ ნახევარმა — 33 აღმასკომმა. გასულ წელს ანგარიშები სრულიად არ ჩაუბარებიათ ზუგდიდის, ბოგდანოვკის, მარნეულის, დმანისის და აჭარის ასსრ შემავალ და სხვა რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი იღებს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს — აწესებს კანონით გათვალისწინებულ ნორმაზე მეტ ფულად ჯარიმებს, რიგი დანაშაულისათვის დამნაშავეს აძლევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, იღებს თავის თავზე სასამართლო-პროკურატურის ორგანოების ზედამხედველობას, ითვისებს სასამართლოს ფუნქციებს, არღვევს კოლექტივობის პრინციპს და ზოგჯერ გადაწყვეტილებას იღებს კანონით დაწესებული ქვორუმის დარღვევით და ა. შ.

რაიონული საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო უბანია მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვა. ჩვენი ქვეყნის მშრომლები საბჭოებში გზავნიან ათასობით განცხადებასა და საჩივარს, რომელშიაც აყენებენ მრავალ საკითხს, ამხელენ ამა თუ იმ საწარმოს თუ დაწესებულების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, შეაქვთ მრავალი წინადადება, აყენებენ საჭირობოროტო საკითხებს, შედიან აგრეთვე სხვადასხვა სახის თხოვნებით, საჩივრებით. საბჭოებსა და აღმასკომებში მოქალაქენი პირადადაც მიდიან ამა თუ იმ საკითხზე. ყოველი საბჭოთა მუშაკის ვალია გულდასმით, ყურადღებით განიხილოს მათთან შესული თითოეული წერილი, დროზე, საამისოდ განკუთვნილ დღეებსა და საათებში მიიღოს მთხოვნელები, გულისყურით მოუსმინოს მათ. არ შეიძლება წერილებისა და საჩივრების განხილვის გაჭინაურების, მათდამი ბიუროკრატიულად მიდგომის მოთმენა. ჩვენი ქვეყნის



ყველა ორგანო და, მათ შორის საბჭოთა ორგანო და დაწესებულება, მიერ არის არჩეული, მას ემსახურება, მის საკეთილდღეოდ არსებობს და დაუშვებელია, რომ თანამდებობის ცალკეულმა პირებმა ყური არ დაუგდონ ხალხის ხმას, არ მოუსმინონ მას და არ მიიღონ ზომები ამა თუ იმ — თხოვნა იქნება ეს თუ საჩივარი — გადასაწყვეტად. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი წერილის, განცხადების, საჩივრის უკან ცოცხალი ადამიანია, რომელიც ელის სამართლიან პასუხს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველა თხოვნის, საჩივრის დაკმაყოფილება, მოქალაქის მიერ წამოყენებული ყველა წინადადების მიღება, მაგრამ საბჭოთა მუშაკის ვალი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გააგებინოს ყოველ ცალკეულ მოქალაქეს მისი წინადადების, თხოვნისა თუ საჩივრის უსაფუძვლობა, უკანონობა, დაარწმუნოს, რომ მისი თხოვნის შესრულება შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში მოქალაქე აღარ დაიწყებს ხელახალ ჩივილს. საბჭოთა ორგანოები ძირითადად ასეც იქცევიან, მაგრამ სამუშაოდ ჯერ კიდევ ვხვდებით ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, მოქალაქეთა თხოვნის უპასუხოდ დატოვების შემთხვევებს.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა სულ უფრო და უფრო აფართოებენ ადგილობრივი ორგანოების, მათ შორის საბჭოების უფლებებს, ამალეებენ მათ ავტორიტეტს, აკისრებენ მათ სულ მეტ და მეტ საკითხთა გადაჭრას. ამით კიდევ უფრო მტკიცდება დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპი, ხორციელდება კომუნისტური მშენებლობისადმი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის სწორი შეხამება მშრომელთა მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის მაქსიმალურ განვითარებასთან.

კომუნისტური პარტია მუდამ ხელმძღვანელობს დიდი ლენინის ანდერძით: „იმისათვის, რომ მოემსახუროს მასას და გამოხატოს მისი სწორად გაგებული ინტერესები, მოწინავე რაზმმა, ორგანიზაციამ, მთელი თავის მუშაობა უნდა გადაიტანოს მასაში, მიიზიდოს მისგან გამოუკლებელივე ყველა საუკეთესო ძალა, ყოველ ნაბიჯზე შეამოწმოს, ზედმიწევნით და ობიექტურად, არსებობს თუ არა კავშირი მასებთან, ცოცხალია თუ არა ეს კავშირი. ასე, და მხოლოდ ასე ზრდის და ანათლებს მასას მოწინავე რაზმი, გამოხატავს მის ინტერესებს, ასწავლის მას დარაზმვას, წარმართავს მასის მთელ საქმიანობას შეგნებული კლასობრივი პოლიტიკის გზით“.

საბჭოების, მათი აღმასკომების, ყოველი დებუტატის ვალია არასოდეს დაივიწყონ კომუნისტური პარტიის გენიალური ბელადის დიდი ლენინის ეს მითითება, ყოველთვის იყონ მასებთან, მტკიცე კავშირის ამყარებდნენ მშრომლებთან, თავდადებულად ასრულებდნენ კომუნისტური პარტიის ყველა დავალებას, ყველა მითითებას. მხოლოდ მაშინ შესძლებენ ისინი დაკისრებული პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, ხალხის ნდობის გამართლებას.

ნეიგკალიგავის ცნება და ნეიგკალიგავის პოლიტიკა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში


დოც. ბ. შვანიძე

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ნეიტრალიტეტს უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სახელმწიფოთა პრაქტიკაში იგი ნიშნავს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების ერთ-ერთი ურთულესი კომპლექსის მოქმედებას, რომელიც მრავალ წინააღმდეგობასა და დავას წარმოშობს, ერთის მხრივ, მეომარ და, მეორეს მხრივ, ომში არმონაწილე სახელმწიფოებს შორის; ამის გამო, საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაშიც ნეიტრალიტეტის პრობლემა მოიცავს მრავალ, ჯერ კიდევ გადაუჭრელ და სადავო საკითხს.

სახელმწიფოს ნეიტრალიტეტში იგულისხმება გარკვეული უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფოსი, რომელიც ამა თუ იმ ომში არ მონაწილეობს. შესაბამისად ამისა, ნეიტრალიტეტის სამართალი იმ ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც აწესრიგებენ ომში არმონაწილე სახელმწიფოს ურთიერთობას მეომარ სახელმწიფოებთან. ამ ურთიერთობის მოწესრიგება იმაში გამოიხატება, რომ ნეიტრალიტეტის ნორმები განსაზღვრავენ, ერთის მხრივ, ომში არმონაწილე სახელმწიფოსა და, მეორეს მხრივ, მეომარი სახელმწიფოს უფლება-მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ ომის მდგომარეობის არსებობასთან დაკავშირებით.

ამგვარად, ნეიტრალიტეტის ცნება ზოგადად დაკავშირებულია ომის მდგომარეობასთან. მაგრამ არსებობს ერთი გამონაკლისი, როდესაც ნეიტრალიტეტს გააჩნია, ასე ვთქვათ, მშვიდობიანობის დროის ასპექტიც. ნეიტრალიტეტის ამ თავისებურ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფოს მუდმივი ნეიტრალიტეტი; იგი მოიცავს ისეთ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებსაც, რომლებიც მუდმივად ნეიტრალურ სახელმწიფოს აკისრებენ გარკვეულ მოვალეობებს და ანიჭებენ გარკვეულ უფლებებს მშვიდობიანობის დროს.

მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ის, რომ მშვიდობიანობის დროს მუდმივად ნეიტრალურმა სახელმწიფომ არ უნდა იკისროს ისეთი საერთაშორისო ვალდებულებანი, რომელთა შესრულება ომის შემთხვევაში იძულებულს გახდიდა მას ხელი აეღო ნეიტრალიტეტზე ან თუნდაც საფრთხეში ჩააყენებდა მის ნეიტრალიტეტს. ასეთი ვალდებულებანი იქნებოდა, მაგალითად, მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ ურთიერთდახმარების ხელშეკრულებების დადება ამა თუ იმ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკში შესვლა; უშიშროების, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სხვა ამგვარი გარანტიის მატება რომელიმე სახელმწიფოსათვის; თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების მოწყობის უფლების მინიჭება უცხო სახელმწიფოსათვის ან სხვა ისეთი ვალდებულებების აღება, რომე-



ლიც შეუთავსებელია ნეიტრალიტეტის სამართალთან; პროტექტორატის დაწესება უცხო სახელმწიფოს მიმართ, თუ ამ უკანასკნელს მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი არ გააჩნია, და ა. შ.

მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოს მშვიდობიანობის დროის უფლებათა მოსთხოვოს გარანტ-სახელმწიფოებს მისი სტატუსის დაცვა (თუ იგი გარანტირებულია) და ყველა სხვა სახელმწიფოს — ამ სტატუსის პატივისცემა, რაც სხვა სახელმწიფოებისათვის წარმოადგენს მშვიდობიანობის დროის მოვალეობას მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოს წინაშე, ისევე, როგორც მათ უფლებას შეადგენს — მოითხოვონ მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოსგან ზემოაღნიშნული მოვალეობის შესრულება.

ამგვარად, მუდმივი ნეიტრალიტეტი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ის ნეიტრალიტეტი, რომელსაც სახელმწიფო იცავს ამა თუ იმ ომში და რომელსაც უწოდებენ ევენტუალურ ნეიტრალიტეტს. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ევენტუალური ნეიტრალიტეტი არაა დაკავშირებული მშვიდობიანობის დროის რაიმე საერთაშორისო უფლება-მოვალეობებთან: იგი წარმოიშობა მესამე სახელმწიფოებს შორის ომის მდგომარეობასთან ერთად და დასრულება ამ ომის დამთავრებით, ანდა მაშინ, როდესაც ეს სახელმწიფო თავად ხდება ამ ომის მონაწილე¹.

ამ განსხვავების გამო ზოგიერთი ავტორი სახელმწიფოს მუდმივ ნეიტრალიტეტს მთლიანად აშორებს ნეიტრალიტეტის პრობლემას საერთოდ და განიხილავს მას სუვერენული სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი სუბიექტობის ასპექტში როგორც საერთაშორისო უფლებათმცოდნეობის შესაძლებელი ერთ-ერთ სახეობას.² საკითხის ამგვარ დაყენებას ჩვენ უარყოფთ და; პირიქით, მიგვაჩნია, რომ ნეიტრალიტეტის ზოგადი ცნება, თვით ცნების ბუნებიდან გამომდინარე, უნდა მოიცავდეს როგორც ევენტუალურ, ასევე მუდმივ ნეიტრალიტეტს.

ამ გაგებით ნეიტრალიტეტი უნდა განიხილოს როგორც ომში არმონაწილე სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც განისაზღვრება მეომარ სახელმწიფოებთან მისი ურთიერთობის მომწესრიგებელი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით და რომელიც მუდმივი სტატუსის პირობებში მოიცავს აგრეთვე მშვიდობიანობის დროის მოვალეობას, რომ სახელმწიფომ არ იკის-

¹ ჩვენ არ ვეხებით ევენტუალურსა და მუდმივ ნეიტრალიტეტს შორის განსხვავების ისეთ მომენტებს, როგორცაა, მაგალითად, ის, რომ სახელმწიფო ევენტუალურ ნეიტრალიტეტს იცავს ერთ ომში და ამავე დროს შეიძლება მეომარ სახელმწიფოს წარმოადგენდეს, ასე ეტყვათ, პარალელურად წარმოებულ ომში. ამისაგან განსხვავებით, მუდმივი ნეიტრალიტეტი საყოველთაო ხასიათისაა.

² იხ., მაგალითად, Ch. C. Fenwick, *Internal law*, New York — London, 1924 წ. გვ. 87. საერთაშორისო სამართლის ბურჟუაზიული თეორიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი მუდმივ ნეიტრალიტეტს აყენებს იმავე სიბრტყეში, რომელშიც საერთაშორისო ვასალტეტსა და პროტექტორატს, და ყველა ამას თვლის სახელმწიფოს „კვალიფიცირებულ წევრობად საერთაშორისო საზოგადოებაში“.

როს სხვა სახელმწიფოს დაცვის ვალდებულება არ დაუშვას თავისი ტერიტორიის გამოყენება სხვა სახელმწიფოს მიერ სამხედრო მიზნით.

ჩვენ აქ არ შევეხებით საწინააღმდეგო თვალსაზრისს, რომელიც ისე შორს მიდის, რომ არა მარტო უარყოფს ნეიტრალიტეტის მშვიდობიანობის დროის ასპექტს, არამედ პრაქტიკულ განსხვავებას არ ხედავს ევენტუალურსა და მუდმივ ნეიტრალიტეტს შორის და ამ უკანასკნელს იურიდიულ მნიშვნელობასაც უკარგავს¹. მაგრამ, მეორეს მხრივ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საერთაშორისო სამართლის საბჭოთა ლიტერატურაში უკანასკნელ დროს გამოთქმულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ არა მარტო მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი, არამედ საერთოდ ნეიტრალიტეტის თანამედროვე ცნება მოიცავს სახელმწიფოს მშვიდობიანობის დროის განსაზღვრულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

ამ შეხედულების მომხრეთ მხედველობაში აქვთ ე. წ. ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელსაც დღეს, სახელმწიფოთა ორი ბანაკის არსებობის პირობებში, ოფიციალურად აცხადებს მრავალი სახელმწიფოს მთავრობა, მათ შორის ინდოეთის, ბირმის, ინდონეზიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ავღანისტანის, შვეციის, ფინეთის და სხვ. მთავრობანი, და რომელსაც უაღრესად დადებითი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

პროფ. ლ. ა. მოჯორიანის სტატიებში² ნეიტრალიტეტის ზოგადი ცნება მოიცავს სახელმწიფოს მოვალეობებს, დაკავშირებულ მშვიდობიანობის დროსთან ისე, რომ მითითებული არაა მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსზე. მაგალითად, ლ. მოჯორიანი წერს:


„იურიდიულ ენაზე სიტყვა „ნეიტრალიტეტი“ განისაზღვრება იმ სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც არ მონაწილეობს სხვა რომელიმე ქვეყნებს შორის წარმოებულ ომში, ხოლო მშვიდობიანობის დროს — იმ სახელმწიფოსი, რომელიც არ მონაწილეობს სამხედრო ბლოკებში და რომელსაც ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობა აქვს ყველა ქვეყანასთან³. ამ დებულების დასამტკიცებლად ავტორი მიუთითებს მრავალი სახელმწიფოს მაგალითზე, რომლებიც ახორციელებენ არსებულ სამხედრო კავშირებში არმონაწილეობის პოლიტიკას.

აქედან უთუოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ამა თუ იმ ომში სახელმწიფოს მიერ (რომელსაც მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი არა აქვს) ნეიტრალიტეტის დაცვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ამ სახელმწიფოს არმონაწილეობა მშვიდობიანობის დროს სამხედრო კავშირებში და მისი ნორ-

1. იხ., მაგ., E. Castren, The present law of war and neutrality, Helsinki, 1954, გვ. 423; Max Hageman, Die neue Tendenz der Neutralität und die völkerrechtliche Stellung der Schweiz, Basel, 1945, გვ. 79—80.

2. იხ. Идея нейтралитета в наши дни („Новое время“, 1956, № 8, გვ. 12); მისივე: Политика подлинного нейтралитета — важный фактор борьбы народов за мир и независимость, М., 1956, გვ. 4; Политика нейтралитета и ее значение в расширении зоны мира (Международно-правовые формы мирного сосуществования государств и наций, М., 1957, გვ. 59).

3. Л. Моджорян. Идея нейтралитета... გვ. 12.



მალური მშვიდობიანი ურთიერთობანი ყველა ქვეყანასთან. ამას, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით:

ჯერ ერთი, სახელმწიფოს ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობანი ყველა ქვეყანასთან — მეტისმეტად ზოგადი, თანაც პოლიტიკური კატეგორიის ცნებაა იმისათვის, რომ იგი ნიშნავდეს სახელმწიფოს კონკრეტულ საერთაშორისო-სამართლებრივ მდგომარეობას; ყოველ შემთხვევაში, სახსებით ცხადია, რომ იგი სრულებით არ გულისხმობს ამ სახელმწიფოს იურიდიულ ვალდებულებას ნეიტრალური დარჩეს ყველა ომში სხვა სახელმწიფოებს შორის.

მეორე: მშვიდობიანობის დროს სახელმწიფოს არმონაწილეობა სამხედრო კავშირებში, მართალია, განაპირობებს მის გარკვეულ საერთაშორისო-სამართლებრივ მდგომარეობას, მაგრამ იგიც არ გულისხმობს მის იურიდიულ ვალდებულებას ნეიტრალიტეტი დაიცვას ყოველგვარ ომში, რომელიც შესაძლოა სხვა სახელმწიფოებს შორის ატყდეს. სახელმწიფო ამ შემთხვევაში ინარჩუნებს უფლებას არ ჩაერიოს ამა თუ იმ სამხედრო კავშირის მიერ წამოწყებულ ომში, მაგრამ ესაა სახელმწიფოს უფლება და არა ვალდებულება, მათი გაიგივება კი დაუშვებელია.

მაგალითისათვის მივუთითებთ შვეიციაზე. შვეიცია არ მონაწილეობს სახელმწიფოთა სამხედრო კავშირებში; უფრო მეტი: ნაპოლეონის ომების შემდეგ მას მონაწილეობა არ მიუღია არცერთ ომში და ახლაც იმას აცხადებს, რომ მომავალშიც დაიცავს თავის ნეიტრალიტეტს. ამგვარად, შვეიცია ტრადიციულად ნეიტრალური სახელმწიფოა. მიუხედავად ამისა, შვეიციას ნაკისრი არა აქვს საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულება, რომ იგი ნეიტრალური იქნება ყოველ ომში სხვა სახელმწიფოებს შორის: არ არსებობს არც სათანადო საერთაშორისო ხელშეკრულება, არც სათანადო სახელმწიფო კანონი შვეიციაში. გარდა ამისა, რაკი შვეიციას ხელი აქვს მოწერილი 1815 წლის 20 მარტის დეკლარაციაზე, ხოლო 1817 წელს შეუერთდა 1815 წლის 20 ნოემბრის აქტს, ამიტომ იგი წარმოადგენს შვეიცარიის მუდმივი ნეიტრალიტეტის ერთ-ერთ გარანტს, ე. ი. შვეიციას ნაკისრი აქვს ვალდებულება იძულებას მიმართოს, თვით სამხედრო ძალის გამოყენებამდე, იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც დაარღვევს შვეიცარიის სტატუსს.

ყოველივე ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ არ არსებობს უშუალო სამართლებრივი კავშირი, ერთის მხრივ, სამხედრო კავშირებში სახელმწიფოს არმონაწილეობას შორის მშვიდობიანობის დროს და, მეორეს მხრივ, ყოველგვარ ომში მის არმონაწილეობას შორის; პირველი არ განაპირობებს მეორეს სამართლის თვალსაზრისით. ასეთი სამართლებრივი კავშირი არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს აქვს მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი.

ასეთი დასკვნა მარტოოდენ ფორმალურ-ლოგიკური ხასიათის კი არაა, არამედ დასტურდება საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკით. შესაძლებელია გაკეთდეს აგრეთვე პირუკუ დასკვნა, სახელდობრ ის, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა სამხედრო კავშირში და მითუმეტეს ზასა და სხვა სახელმწიფოებს შორის არასავსებით ნორმალური მშვიდობიანი ურთიერთობის არსებობა სრულებითაც არ წარმოშობს იურიდიულ აუცილებლობას, რომ ეს სახელმწიფო ყოველი ომის მონაწილე გახდეს, ე. ი. არ დაიცვას ნეიტრალიტეტი ომში, რომელიც მის მოკავშირე ქვეყნებს არ ეხება.

ის გარემოება, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსის გარეშე ნეიტრალიტეტის პოლიტიკა არ უკავშირდება ნეიტრალიტეტის სამართლებრივ ცნებას; სრულიად არ ამცირებს ამ პოლიტიკისა და მისი საერთაშორისო-სამართლებრივი შედეგების დიდ პოზიტიურ მნიშვნელობას. ეჭვი არაა, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა საერთაშორისო მშვიდობის ერთ-ერთი ფაქტორია. საკმარისია გავიხსენოთ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების 1955 წლის უენევის თათბირზე საბჭოთა დელეგაციის წინადადება — განხილული ყოფილიყო საკითხი იმ ქვეყნებისათვის მხარდაჭერის შესახებ, რომლებსაც სურთ ან რომლებიც მოისურვებენ გაატარონ ნეიტრალიტეტისა და სამხედრო ბლოკებში არმონაწილეობის პოლიტიკა.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მთუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის (რომელიც შედგა მოსკოვში 1957 წ. 14-16 ნოემბერს) ისტორიული მნიშვნელობის დეკლარაციაში¹, თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ ძალებს შორის, რომლებიც საერთაშორისო მშვიდობის საქმეს იცავენ, აღნიშნა აგრეთვე იმ ქვეყნების ხალხები, რომელთაც ნეიტრალიტეტი აქვთ გამოცხადებული.

მართლაც, თანამედროვე საერთაშორისო სამართალში შეიძლება დამკვიდრებულად იქნეს აღიარებული ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მიერ მშვიდობიანობის დროს ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გამოცხადება ნიშნავს მოცემული სახელმწიფოს უარყოფით დამოკიდებულებას არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში მონაწილეობისადმი, რითაც გარკვეული გარანტია იქმნება იმისათვის, რომ ეს სახელმწიფო ნეიტრალური დარჩეს ორ ბანაკს შორის ომის შემთხვევაშიც.

თავის მხრივ ასეთი რეალური ვარაუდი იმის მომასწავებელია, რომ იმპერიალისტურ აგრესიულ წრეებს არ ექნებათ ამგვარი სახელმწიფოს გამოყენების იმედი ომში, რაც ასუსტებს მათ მიერ ომის გაჩაღების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ომის მომზადების პროცესში ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფოს უარი მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ბლოკებში იმას ნიშნავს, რომ მისი რესურსები არ ხმარდება გამალბებულ შეიარაღებას, მის ტერიტორიაზე არ იქმნება ამ ბლოკების სამხედრო ბაზები, მისი დიპლომატია, მისი ოფიციალური იდეოლოგია განზე დგას „ცივი ომისა“ და საომარი ისტერიის გარღვევებისაგან. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ახალი ომის გაჩაღების შანსებს და საგრძნობლად აფართოებს „მშვიდობის ზონას“.

ადვილი გასაგებია, რომ ზემომოყვანილი მომენტები, დაკავშირებულნი სახელმწიფოს მიერ ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გამოცხადებასთან მშვიდობიანობის დროს, პოლიტიკური ხასიათისანი არიან და უშუალოდ არ განაპირობებენ ნეიტრალიტეტს, როგორც სახელმწიფოს არმონაწილეობას ომში, მის მიუკერძოებლობას მეომარ მხარეთა მიმართ, მაგრამ ისინი შეიცავენ სწორედ გარკვეულ პოლიტიკურ წანამძღვრებს ნეიტრალიტეტისათვის ამ სიტყვის იურიდიული მნიშვნელობით. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ სწორი არაა გადაჭარბებით იქნეს შეფასებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკის დადებითი მნიშვნელობა, როგორც ეს პროფ. ლ. მოჯორიანის სტატიებში იგრძნობა, რა-

1. см. Международные отношения и внешняя политика СССР (Сборник документов), М., 1957, 407.

საც ყურადღება მიაქცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. ა. კოროვინმა¹.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკის წარმოდგენა ნეიტრალიტეტის საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულების სახით რამდენადმე ამცირებს მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსის ქვედით პოლიტიკურ მნიშვნელობას, რადგან მხოლოდ ასეთი სტატუსის ჩარჩოებში უკავშირდება ერთმანეთს სახელმწიფოს არმონაწილეობა სამხედრო ბლოკებში მშვიდობიანობის დროს და მისი ნეიტრალიტეტი ომის პირობებში.

ნეიტრალიტეტის ზემოთ ჩამოყალიბებული ცნებიდან გამომდინარე ადგილი აღარ რჩება არასწორი შეხედულებისათვის, თითქოს ნეიტრალიტეტს სამართალი ომის სამართლის ნაწილი იყოს. რამდენადაც ნეიტრალიტეტის სამართალი აწესრიგებს ურთიერთობებს, ერთს მხრივ, ომში არმონაწილე სახელმწიფოებსა და, მეორეს მხრივ, მეომარ სახელმწიფოებს შორის, იგი, რა თქმა უნდა, ორგანულად უკავშირდება ომის სამართალს, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი, განსაკუთრებული დარგია საერთაშორისო სამართლისა.

საერთაშორისო სამართლის ტრადიციული სისტემა ჰუგო გრიციუსიდან მოყოლებული ოპენჰაიმ-ლაუტერბახტამდე საერთაშორისო სამართალს ჰყოფდა ორ ძირითად ნაწილად: მშვიდობის სამართალი და ომის სამართალი. ამავე დროს ამ სისტემის მიხედვით ნეიტრალიტეტის საკითხები ძირითადად ომის სამართლის ნაწილში იხილებოდა, რაც უთუოდ მოძველებულად უნდა ჩაითვალოს ისევე, როგორც ხსენებული ტრადიციული სისტემა.

მეორეს მხრივ, ნეიტრალიტეტის საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტიტუტის ორგანული კავშირი ომთან და აქედან გამომდინარე, ომის სამართალთან სრულებით არ ამცირებს ნეიტრალიტეტის პრობლემის აქტუალობას. მართალია, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ძირითადად ემსახურება სახელმწიფოთა ნორმალურ, მშვიდობიან ურთიერთობებს, ე. ი. ურთიერთობებს, რომლებიც ემყარება სუვერენული თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლიანობის, ერთა თვითგამორკვევის და სხვა დემოკრატიულ პრინციპებს, მართალია, იგი უპირველეს ყოვლისა ორი სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის სამართალია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ვერ უგულებელყოფს იმ საერთაშორისო-სამართლებრივ საკითხებს, რომლებიც ომთანაა დაკავშირებული, რადგან ომი ჯერჯერობით არა მარტო შესაძლებლობად რჩება, არამედ ხშირად რეალურ ფაქტსაც წარმოადგენს.

ჯერ ერთი, როდესაც ნეიტრალური სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივ სტატუსზეა ლაპარაკი სხვა სახელმწიფოთა შორის ომის მდგომარეობასთან დაკავშირებით, იგულისხმება არა მარტო საყოველთაო ომი, რომელმაც შესაძლოა მოიცვას მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო, არამედ ყოველგვარი ომი, ე. ი. ომი თუნდაც ორ სახელმწიფოს შორის დაგარდა ამისა, აგრეთვე სამოქალაქო ომი ამა თუ იმ ქვეყანაში.

მეორე: ცნობილია, რომ მსოფლიოს ხალხთა მართლმეგნება აგრესიულ ომს უმძიმეს საერთაშორისო დელიქტად სთვლის და თანამედროვე საერთაშორისო სამართალში აგრესიული ომი კანონგარეშედ არის გამოცხადებული. მიუხედა-

¹ იხ. კურს. «Международная жизнь», 1957, № 12, გვ. 148.

ვად ამისა, ასეთი ომის მცირეოდენი შესაძლებლობაც კი თავისთავად განაპირობებს ცალკეული სახელმწიფოების ნეიტრალიტეტის აუცილებლობას, რადგან სავალდებულო არაა და შეუძლებელიც კია ვივარაუდოთ, რომ აგრესიული ომის შემთხვევაში აბსოლუტურად ყველა სახელმწიფო გახდება ომის მონაწილე.

ამ ვარაუდს ადასტურებს და ნეიტრალიტეტის საჭიროებაზე მეტყველებს მოქმედი საერთაშორისო სამართალიც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ძალაშია ჰააგის 1907 წლის ორი კონვენცია: V კონვენცია „ნეიტრალური სახელმწიფოებისა და პირების უფლება-მოვალეობათა შესახებ სახმელეთო ომის შემთხვევაში“ და XIII კონვენცია „ნეიტრალური სახელმწიფოების უფლება-მოვალეობათა შესახებ საზღვაო ომის შემთხვევაში“; კერძოდ, ორივე კონვენცია იცნო საბჭოთა კავშირმა 1955 წლის 7 მარტის ნოტიო¹; ნეიტრალურ სახელმწიფოებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჟენევის 1949 წლის კონვენციები ომის მსხვერპლთა დაცვის თაობაზე, რომელთა მონაწილე საბჭოთა კავშირიც არის.

მესამე: ნეიტრალიტეტის პრობლემის აქტუალურ მნიშვნელობაზე მეტყველებს აგრეთვე სახელმწიფოს მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი, რომელიც დღესდღეობით აქვს შვეიცარიას, ავსტრიასა და ჩვენის აზრით, აგრეთვე კამბოჯას. ის ფაქტი, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ამ ინსტიტუტს თითქმის 150 წლის ისტორია გააჩნია და რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდმა სახელმწიფოებმა კვლავ გამოიყენეს იგი, როგორც ავსტრიის რთული პრობლემის დამოკრახიანი გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება, უეჭველს ჰდის ნეიტრალიტეტის სიცოცხლისუნარიანობას და მის მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში.

მეოთხე: ის, რაც უკვე ითქვა ფართოდ გავრცელებული ნეიტრალიტეტის პოლიტიკის ირგვლივ, სახელდობრ იმის შესახებ, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა შეიცავს პოლიტიკურ წანამძღვრებს ნეიტრალიტეტის იურიდიული სტატუსის შესაძლებლობისათვის, უფლებას გვაძლევს დავინახოთ კავშირი ნეიტრალიტეტის პოლიტიკასა და ნეიტრალიტეტის საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტიტუტს შორის. უფრო მეტიც: შეიძლება ითქვას, რომ განსაზღვრულ ვალდებულებებს, რომლებსაც ნეიტრალიტეტის პოლიტიკის ოფიციალური გამოცხადებისას ესა თუ ის მთავრობა ნებაცოფლობით კისრულობს, გააჩნიათ ტენდენცია დამკვიდრდნენ როგორც საერთაშორისო სამართლის ადა-თური ნორმები².

მეხუთე: აგრესიული ომის შემთხვევაში ცალკეული სახელმწიფოების მიერ ნეიტრალიტეტის დაცვა უთუოდ შესაძლებელია და სავარაუდოცაა არა მარტო მაშინ, როცა აგრესიას უპირისპირდება სახელმწიფოთა ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვა თუნდაც რეგიონული კავშირის საფუძველზე, არამედ მაშინაც, როცა აგრესორის წინააღმდეგ ხორციელდება საყოველთაო ხასიათის სამხედრო სანქციები კოლექტიური უშიშროების ისეთი ორგანიზაციის მიერ, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

1. იხ. Международное право в избранных документах, т. II, М., 1957 გვ. 247.

2 საბჭოთა იურიტი ა. გალინა უფრო რადიკალურ დასკვნებს აკეთებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც პროფ. მოჯორიანის პოზიციას მაინც არ ემთხვევა.

მოსამართლათა დანიშვნის წესი და უზღუდავ- მოვალეობა გვიანყოფალო საქართველოში

მ. ლეკვიანიძე.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მდივანბეგები სამეფო მმართველობის ცენტრალური აპარატის, მეფის კარის მოხელეები იყვნენ. მდივანბეგთა უფლებამოსილება მეფის ხელისუფლების ძლიერებით იყო განპირობებული. სახელმწიფო კარის სხვა მოხელეები: სასლთუხუცესი, ეშიკაღასბაში და სხვა, ცალკეულ ფეოდალებსაც ჰყავდათ; მდივანბეგის სახელო კი მხოლოდ მეფის, სახელმწიფოს კარზე არსებობდა. ინგლისელი მეცნიერი ალენი ცდებდა, როდესაც თავის წიგნში ქართველი ერის ისტორიის შესახებ წერს, რომ მეფის გარდა მდივანბეგები „ტერიტორიულ პრინციპსაც“, ე. ი. მსხვილ ფეოდალებსაც ჰყავდათ¹.

მდივანბეგებს საქართველოში მეფე ნიშნავდა. მეფე ერეკლეს ბოძების სიგელში ვკითხულობთ: „ჩვენ მეფემან ყოვლისა საქართველოსამან და სხუათა მეორემან ირაკლიმ გიბოძეთ შენ, ბრწყინვალეს თეადას, ბართაშვილს საამის შვილს ყორიასაულბაშს ზაალს მდივანბეგობა. როგორადაც მდივანბეგის წესი არის, ისე უნდა სისწოროთ სამართლობდე“².

მდივანბეგის სახელოს მიცემა ზოგჯერ თხოვნის საფუძველზე ხდებოდა.

ჩვენს მიერ დამოწმებულია 1797 წლის საბუთი, სადაც მეფე ერეკლე ვახუშტი ჯავახიშვილს მდივანბეგობას უბოძებს: „წყალობითა ღვთისათა, ჩვენ, მეფემან ქართველთამან და მეფემან კახთმან და სხუათა მეორემან ირაკლიმ თხოვისაებრ შენისა ვინებეთ წყალობა და გიბოძეთ მდივანბეგობა შენ, ჯავახიშვილს ვახუშტის, ასე რომელ ძველად მდივანბეგობა თქვენს ოჯახში ყოფილიყო და აწ ჩვენც წყალობა გიყავით ყოვლის მისის სამართლიანის სარგოთი...“³. ეს საბუთი ჩვენთვის სხვა მხრივაც არის საინტერესო. ამ სიგელით მტკიცდება, რომ მდივანბეგობა საქართველოში იმეკვიდრებოდათი სახელო იყო და განსაზღვრულ ოჯახებში მამიდან შვილზე გადადიოდა.


ასე მაგალითად, ჯერ კიდევ როსტომ მეფის დროს, 1634 წელს, ერთერთ საბუთში ვხვდებით მდივანბეგ ყაფლან ბართაშვილს⁴. ამ მდივანბეგის ერთერთი შვილი ვახტანგი, მამის სიკვდილის შემდეგ იღებს მის სახელოს — მდივანბეგობას. შაჰნავაზ მეფე ვახტანგ ორბელიშვილისადმი მიმართულ სიგელში წერდა: „მამათქვენსაც ჰქონებოდა ჩვენისა საბატონოს ქართლის

¹ Allen, A history of the Georgian people 1932, გვ. 280.

² მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 1958 წ. გვ. 52.

³ საქ. მუზეუმის II დ. ფონდი, საბ. 1140.

⁴ საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 231



მდივანბეგობა, შენც ისე მოგეცითო“¹. მაგრამ მდივანბეგი ვახტანგი უშუალოდ მამის სიკვდილის შემდგომ კი არ იღებს მის სახელოს, არამედ ხუთი წლის შემდეგ. ასევე მისი შვილი ერასტიც, ჯერ ბოქაულთუხუცესად ჩანს, ხოლო 1704 წლიდან მდივანბეგობის სახელოს ეპატრონება.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მდივანბეგებს შორის მრავლად ვხვდებით ბარათაშვილების და ორბელიანების საგვარეულოს წარმომადგენლებს; ბარათაშვილის გვარიც აგრეთვე ორბელიანთა შტოს ეკუთვნოდა. „მდივანბეგთა და მდივანთა სიაში“ ჩამოთვლილი მდივანბეგები: იოანე, რევაზი, პაპუნა და მზეჭაბუკი ორბელიანის გვარს ატარებდნენ, ხოლო მდივანბეგი ზაალი კი ბარათაშვილი იყო.

როგორც ვხედავთ, XVII საუკუნეში და XVIII საუკუნის მთელ მანძილზე მდივანბეგის ერთერთი თანამდებობა მემკვიდრეობის ძალით მსხვილ და წარჩინებულ ფეოდალთა გვარს — ორბელიანებს ეკავათ. მდივანბეგის სახელოს მფლობელებად გვევლინებიან აგრეთვე სხვა დიდ ფეოდალთა საგვარეულოს წარმომადგენლებიც.

არავის ერისთავის შვილები მდივანბეგის ინსტიტუტის დაარსების დროიდან მოსამართლის სახელოს მფლობელებად გამოდიოდნენ. არსებულ მასალებით მტკიცდება, რომ ერისთავის საგვარეულოს წევრებს აღნიშნული სახელო XVIII საუკუნის მთელ პერიოდში საგვარეულო თანამდებობად ჰქონდათ. ჩვენ მოგვეპოვება თავად იოანე ერისთავის შესახებ შემორჩენილი ცნობა; დეპუტატების ყრილობისადმი მიმართულ თხოვნაში ჩაწერილია:

«А что они есть действительные

князья (ლაპარაკია ერისთავებზე მ. ლ.) то доказывается еще тем, что прадед его Сардон и дед Бежан во время грузинских царей были мдиванбегами, в каковом звании бывали одни только князья»².

მოყვანილიდან მთელი სიტხადით ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მდივანბეგის სახელო, როგორც წესი, ქართლისა და კახეთის გავლენიან ფეოდალთა საგვარეულო თანამდებობას წარმოადგენდა. საქართველოს სინამდვილეში თანამდებობის გადაცემა მემკვიდრეობით სამეფოს ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით იყო განპირობებული.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ საერთო წესიდან გვხვდება გამონაკლისებიც. შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ მდივანბეგის სახელო გადასცემოდა იმ პირს, რომელიც გარდაცვალებულის მემკვიდრე არ იყო და მისი ოჯახი მხოლოდ პირველად იღებდა მდივანბეგობას. იესე ოსესშვილის ოჯახს მეფე ერეკლემდე მდივანბეგის სახელო არ სჭერია, ხოლო ირაკიმ 1776 წელს მას მდივანბეგის თანამდებობა მისცა: „29 აგვისტოს მოციქულები ებოძა... ამ ხელად სამართალში დაჯედ, ერთის მდივანბეგის ჯამაგირი მომიცია“³. მაგრამ ეტყობა იესე მსაჯულს არა ჰქონდა იმედი, რომ მისი გარდაცვალების შემდეგაც მდივანბეგის სახელო მის ოჯახს დარჩებოდა „ჩემს უკან ამას (იგულისხმებოდა მდივანბეგობა — მ. ლ.) კი მისცემენ ჩემს შვილებს და მდივანბეგობას ვინ მისცემსო“ — სწერდა იგი⁴.

² А. Хаханов, Грузинские дворянские акты и родословные росписи, стр. 5.

³ თავგადასავალი იესე ოსესშვილისა, ს. კაკაბაძის გამოც. გვ. 109.

⁴ იქვე.

¹ საქართველოს სიძველენი ტ. 11 გვ. 137.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდივანბეგებს უვადოთ ნიშნავდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, მეფეს ყოველთვის რჩებოდა უფლება წაერთმია მდივანბეგისათვის სახელო რაიმე დანაშაულის ჩადენისა თუ სხვა მოსაზრების გამო. უნდა ვიფიქროთ, რომ მდივანბეგთა გადაყენება იხვევ როგორც მათი დანიშვნა, მეფის უშუალო კომპეტენციას შეადგენდა. ამასვე აღნიშნავს დავით ბატონიშვილი თავის „მიმოხილვაში“: რაიმე დარღვევისათვის მდივანბეგები მეფის უკმაყოფილებას დაიმსახურებენ, მაგრამ მეფის გარდა მათთვის სახელოს წართმევა არავის არ შეუძლიაო¹.

მდივანბეგის სახელო მნიშვნელოვან და საპატივსაცემო თანამდებობად ითვლებოდა: აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე კათოლიკე ბერი მდივანბეგ ბარძიშს ერისთავის ძმას დიდ და გავლენიან პირად სთვლიდა და ამ გარემოებას იგი მდივანბეგის სახელოს ფლობას უკავშირებდა. მისიონერი ბარძიშის შესახებ წერდა: „ამჟამად ეს პფლოზს და მასთანავე არის მდივანბეგი, რის გამო აწინდელ მეფის შემდეგ ეს პირველი პირი არისო“². მსაჯული იესე თავის თავგადასავალში გადმოგვცემს: „პატივს მცემდა მეფე, დიდებულნი, თანასწორნი და ყოველნი ესრეთ, რომ არასდროს ეს პატივი არა მქონია. ზეით ჯდომა მიჩნევა, სიტყვის მოხსენება, ყოელი ჩემი უადრესი პატივს მიპყრობდნენ...“³

მდივანბეგის საპატიო წოდებაზე და მნიშვნელობაზევე მეტყველებენ სხვა საბუთებიც. პაპუნა ორბელიანი წერს, რომ თეიმურაზ II-ს „ებოძა იქიდაბ

(იგულისხმება ირანი — მ. ლ.) ორბელიანისათვის მდივანბეგობა ქართლისა. მეფემ ერეკლემაც ბრძანებისამებრ მამისა აღახარისხეს დალიჭას, სიბრძნისა და მისცეს სასწორი სიმაართლისა, ვითაც იოანე საფილოსოფოსთა წესითა აღჭურვილი იყო და კიბეთა ბრძნობისათა აღმდგარიყო და ქართლშიაც უბრძნე და უმცოდნე არავინ იპოვებოდა, დაუშტკიცეს ესე საბრძნო ხარისხი და საზომისაებრ არა დააცილებდა მეცნიერად ყოველთა მოგებთა სასამართლისასა“⁴

როგორც ვხედავთ, მდივანბეგის სახელო ამ წყაროების მიხედვით მაღალ და პირველხარისხოვან თანამდებობად ჩანს. და მართლაც, „მდივანბეგთა და მდივანთა სიას“ რომ გადავკვლოთ თვალი, დავინახავთ, რომ აქ ჩამოთვლილი ყველა მდივანბეგი, იესე ოსეს ძისა და სოლომონ ლეონიძის გარდა, დიდგვარიანთა წოდების წარმომადგენელია: ორბელიანები, ერისთავები, ჩოლოყაშვილები და სხვა. თვით იესე ოსეს ძე და სოლომონ ლეონიძეც მართალია, დიდგვაროვანი არ იყვნენ წარმოშობით, მაგრამ მდივანბეგობის სახელოს მიღებისას უკვე თავადთა წოდებას ეკუთვნოდნენ. აქედან გამომდინარე, ადვილია იმის გათვალისწინება, თუ ვისი ინტერესების დამცველნი იქნებოდნენ ისინი. თავადთა ინტერესები, რომელსაც კანონებიც საუცხოოდ იცავდნენ, კიდევ უფრო მეტად იყო გარანტირებული სასამართლოს შემადგენლობით. თქმა არ უნდა, რომ მოსამართლეთა თავად-აზნაურული შემადგენლობა ყოველთვის თავიანთი წოდების სურვილებისა და მოთხოვნილებების სადარაჯოზე იქნებოდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით მართლმსაჯულების განხორცი-

1. Царевич Давид, обозрение Грузии по части права и законовещения, 1813, § 552.

2 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 275.

3 თავგადასავალი იესე ოსესშვილისა, გვ. 123

4 ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილმა გამოცემა, წ. II, გვ. 404.

ელემა შეეძლო ისეთ პირს, რომელიც 40 წელს გადაცილებული იქნებოდა¹. როგორც ირკვევა, პრაქტიკაში ასეც ხდებოდა. მდივანბეგი იესე ოსეს-ძე 48 წლისა იყო, როდესაც მან მდივანბეგის სახელო მიიღო (იესე მსაჯული 1728 წელს დაიბადა, მოსამართლედ კი მეფემ იგი 1777 წელს დანიშნა)². მოსამართლე აუცილებლად „ღვთის მოშიში“ უნდა ყოფილიყო, ამავე დროს „არც დიად სიღარიბე აწუხებდეს, თორემ მოტყუვდება“³.

სამართლის წიგნის ეს დებულება პირდაპირ გლეხობის წინააღმდეგაა მიმართული. წიგნი აშკარად აღიარებდა მდიდართა უპირატეს უფლებას მართლმსაჯულების დარგში და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე იცავდა მებატონეთა და თავდაუნააურობის პირად ინტერესებს. ამასვე ამტკიცებდა იოანე ბატონიშვილი. მისი აზრით მდივანბეგი „უნდა იყოს სარწმუნო კაცი და მამულის ერთგული, მეორე—დიდი კაცის შვილი, რომ არავისი ეშინოდეს; მესამე—სწავლული, რომ უმეცრებით უსამართლო არ ქნას რა; მეოთხე—მდიდარი, რომ ქრთამმა არ მოატყუოს, მესუთე—პირუთვნელი; მეექვსე—კვიციანი; მეშვიდე — არა ქრთამის მოყვარე; მერვე — საზოგადო გულისა, რომ თავის მონათესავეს, მეგობარს არ მიუდგეს და იმის მხარეს არ დაიჭიროს სამართალი, მეცხრე—ღვთის მოყვარე“⁴.

დავით ბატონიშვილის ნაშრომის მიხედვით მდივანბეგი, როგორც წესი, აუცილებლად წარმოშობით ქართველი უნდა ყოფილიყო. ჩვენს მიერ დამოწ-

მებულ „მდივანბეგთა და მდივანბეგთა სე-
ამი“ ჩამოთვლილი მდივანბეგები და ყველა სხვა სიგელებში მოხსენებული მოსამართლეები ქართველები არიან. ამ საერთო წესიდან გამონაკლისს ვარჯან მსაჯული წარმოადგენდა, რომელიც როგორც ჩანს, თათარი უნდა ყოფილიყო და თათრებშივე იყო მდივანბეგად განწესებული. ბატონიშვილი დავითი, თავისი ნაშრომის სხვა ადგილასაც აღნიშნავს, რომ სომხები არავითარ შემთხვევაში მდივანბეგის სახელოს არა ფლობენ. გარდა ამისა, მდივანბეგები უთუოდ ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარნი უნდა ყოფილიყვნენ; თათრების მდივანბეგები ამ საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდნენ.

დავით ბატონიშვილს მოცემული აქვეს ერთი საინტერესო მუხლი, რომლის მიხედვით მდივანბეგებს სასამართლო მოღვაწეობის დაწყებამდე უნდა ფიცი დაედოთ, რომ ისინი წმინდად და დაუტრღვევლად შეასრულებდნენ თავის მოვალეობას და ყველა შემთხვევაში სწორ სასამართლო საქმიანობას გასწევდნენ.

მდივანბეგების მიერ ფიცის დადებას ჩვენ სხვა წყაროებში არსად არ შევხვედრივართ. ისმის საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება დავით ბატონიშვილის აღნიშნული მუხლი სინამდვილეს ვფიქრობთ, აქ ისეთი არაფერია მოცემული, რაც ძნელი დასაჯერებელი იყოს. ისევე, როგორც ვახტანგის სამართლის წიგნში, დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაშიც“ მოსამართლის სახელდობრ მდივანბეგის უპირველეს მოვალეობას ყოველგვარი საქმის სწორი და მიუდგომელი გარჩევა და დაჩაგრული მხარის უფლებათა აღდგენა წარმოადგენს. რამდენად ტარდებოდა ეს მუხლი ცხოვრებაში, უკვე სხვა საკითხია. ფეოდალურ ეპოქაში მოსამართლეების სრულ მიუდგომლობაზე

¹ ვახტანგის სამართლის წიგნი, მ. 215.

² თავგადასავალი იესე ოსესშვილისა, გვ. 5, 109.

³ ვახტანგის სამართლის წიგნი, გ. 215.

⁴ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I, 1936 წ. გვ. 203.

ეროვნული
გენერალური

ლაპარაკი, სასაცილოც კია. რა თქმა უნდა, ყველა მოსამართლე და მათ შორის მდივანბეგებიც თავისი კლასობრივი ინტერესების დაცვის მიზნით მიუდგომლობას ხშირად გვერდს აუღლიდნენ ხოლმე. საქმის ობიექტურად წარმოება მაშინ, როდესაც ერთ მხარეს თავადი; ხოლო მეორე მხარეს ყმა გლეხი იყო, არასგზით არ მოხდებოდა თავად-აზნაურული საზოგადოების წარმომადგენლები, ეჭვს გარეშეა; თავის კლასს დაუჭერდნენ მხარს.

დავით ბატონიშვილის „მიმოხილვის“ თანახმად, მდივანბეგებსა და სხვა მოსამართლეებს ეკრძალებოდათ სამართლის წარმოება თავისი თუ მისდამი მიმართული სარჩელის გადაწყვეტისას, როგორი სახის საქმეც არ უნდა ყოფილიყო. ამავე დროს, მოსამართლე თუ მოპასუხისა და დაზარალებულისაგან აცილებას მიიღებდა (თანამედროვე ტერმინოლოგიით), მას უფლება ერთ-მეოდა განეხილა ეს საქმე. „მიმოხილვის“ მოყვანილი ნაწყვეტი, ჩვენის აზრით, არ შეიცავს პირველ ნაწილში არაფერს ისეთს, რაც ძნელი დასაჯერებელი იყოს. დარწმუნებული ვართ, მართლაც არცერთ მოსამართლეს არ გააჩნდა საქმის გარჩევის უფლება, თუ იგი პროცესის მონაწილედ გამოდიოდა და ეს უდავოდ უნდა ჩაითვალოს.

არსებობს მთელი რიგი საბუთები, რომლებიც მოგვითხრობენ მდივანბეგის, როგორც პროცესის მონაწილედ ერთერთი მხარის შესახებ ან სხვა მდივანბეგთა სამსახურლოში, ან კიდევ მეფისა და ბატონიშვილების სასამართლოში. საბუთებიდან ვგებულობთ, რომ არცერთ მოსამართლეს არ გააჩნდა სასამართლო საქმის გარჩევის უფლება მაშინ, როდესაც თვითონ პროცესის მონაწილედ მხარედ გამოდიოდა. ეს დასტურდება 1786 წლის ერთერთი განაჩენი-

თაც, სადაც ვკითხულობთ: სამართალი მათს უმადლესობას ჩვენ მათს მონათათვის ქაიხოსრო სალთხუცისათვის, მდივანბეგის ბეჟანისათვის და ლაშქარნივისის ომანისათვის ებძანა — მდივანი სვიმონიც სამართალში ჩვენთან ეწერა, მაგრამ მოდავეთ დადგა¹. როგორც მოყვანილი მაგალითი ნათელყოფს, „მოდავეობა“, ე. ი. პროცესის ერთერთ მხარედ გამოსვლა პირს სამართლის უფლებას უკარგავდა.

რაც შეეხება „მიმოხილვიდან“ ციტირებული ადგილის მეორე ნაწილს, სახელდობრ, ერთერთი მხარის მიერ მოსამართლისათვის აცილების მიცემას, ეს საკითხი შედარებით უფრო რთული და საკამათოა, იგი არსებული მასალებით დასაბუთებას მოითხოვს. ამ საკითხის გასარკვევად დამაჯერებელ მასალას ვვაძლევს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ერთ-ერთი საბუთი; ამ სიგელში აცილების მაგვარ ინსტიტუტს ვხვდებით. მოცემული საბუთი კახეთის მდივანბეგის რამაზ ანდრონიკაშვილის განაჩენს წარმოადგენს. რამაზ მდივანბეგი იხილავს არქიმანდრიტ გერმანეს დავას მამულებისა გამო, მიმართულს ოთარ მდივნის წინააღმდეგ. მდივანბეგი განაჩენში წერს: „მდივანმა მალაღის ხმით აღმოუტევა: ჩემს ხელმწიფეს უმტერ-უმოყვაროს კაცთათვის უნდა ებრძანებინაო სამართალი და იასაულობაო და მოწამენიც მტერნი არიანო. ჩვენ ჩვენი სვინდისი განვიხილეთ და ჭეშმარიტი იყო თქმული იგი მისი, რომ მტერნი ვიყავით და ესეც ძიებულ ვიყავით, რომ კახეთში ზემოხსენებულის მდივნის უმტერ-მოყვარო კაცი ვერ უპოვეთ და თვითონაც ვერ გაირჩივა“. ამიტომ რამაზ მდივანბეგი წინადადებას აძლევს

¹ საქ. ცენტრალური არქივი, ფონდი 229, დავთ. 51, საბ. 182.



ოთარ მდივანს, საქმის ადგილზე გამო-
საძიებლად მოსამართლეებს თვითონ
ოთარიც წაყვესო¹.

ციტირებული განჩენი საშუალებას
გვაძლევს დავასკვნათ, რომ გვიანფეო-
დალურ საქართველოში საქმის გამჩენე
მოსამართლის სრული მიუდგომლობა
და ობიექტურობა, ფორმალურად
მაინც სავალდებულოდ ითვლებოდა.
მდივანბეგსა და ყველა სხვა მოსამართ-
ლეს პირადი ინტერესი და მტრული
დამოკიდებულება არ უნდა ჰქონოდა
პროცესის მონაწილე არცერთ მხარეს-
თან. მტრულად განწყობილი მოსამართ-
ლის სუბიექტური მიდგომა მისი აცი-
ლების ერთერთ მიზეზად გამოდგებო-
და.

ვფიქრობთ, ზემომოყვანილი მასა-
ლები ნებას გვაძლევენ გამოვთქვათ
აზრი იმის შესახებ, რომ გვიანფეოდა-
ლური საქართველოს სასამართლო
წყობილება, შესაძლოა განვითარებუ-
ლი სახით არა, მაგრამ მაინც იცნობდა
აცილების ინსტიტუტს.

მდივანბეგის თანამდებობისათვის,
თავადთა წოდების გარდა, სათანადო
სწავლა-განათლების მიღებაც იყო აუ-
ცილებელი. მაგალითად, ორბელიანთა
გვარში ერთერთ წევრს ყოველთვის
მდივანბეგის სახელს მემკვიდრეობით
მიღებისათვის ზრდიდნენ და ამიტომ
სათანადო განათლებასაც აძლევდნენ.
იესე ოსეს ძემ მდივანბეგის სახელი
მემკვიდრეობით არ მიიღო, მაგრამ
იგიც თავისი დროისათვის განათლე-
ბულ კაცად ითვლებოდა. „მცირე უწყე-
ბა ქართველ მწერალთათვის“ მის შე-
სახებ ამბობს, რომ ის იყო „სწავლული
კაცი და ქართულისა შინა ისტორიასა
გამოცდილი და ზედმიწევნით მეცადი-
ნე, ამას უფრო მადლი აქონდა მწერ-
ლობისა (დამწერლობისა) ჰქმნა ქართ-

ველთა ზნეთა სწავლულებისა წიგნი.
იყო კარგი პიტიკოსი და ზრდილობასა
შინა მოსაწონი“².

ქართული სამართლისა და ლიტერა-
ტურის სხვადასხვა ძეგლებში მრავლად
მოგვეპოვება მითითებანი იმის შესახებ,
თუ რა მოთხოვნები უნდა აკმაყოფი-
ლებდეს მდივანბეგი, როგორც მო-
სამართლის თანამდებობის აღმსრულე-
ბელი პირი. XVII საუკუნის გამოჩენი-
ლი მეფე-პოეტი არჩილი თავის ლექ-
სებში აღნიშნავდა, თუ რა თვისებებით
უნდა ყოფილიყო დაჯილდოვებული
მდივანბეგი. იგი მოსამართლეს ურჩე-
ვდა, რომ ამ უკანასკნელს საქმის გარჩე-
ვაში სიჩქარე და აღლევა არ გამოე-
ჩინა და საქმის განხილვა მშვიდად
ეწარმოებინა:

„სიწყნარეს და სიჩქარესა ორსავე
აქეს მის-მისი დრო.

სიმშვიდეს და სიანჩხლესა
მდივანბეგო, განა სადრო:

ორზედ უნდა მუდამ იყო და იმ ორს
კი უფრო აღრო.

და სიჩქარე სჯობდეს სიწყნარეს
რუსთველს ეგე ვინ შეჰკადროს?³

არჩილი მოსამართლის ერთ-ერთ
ძირითად მოვალეობად სამართლიანო-
ბას სთვლიდა. იგი თავის „ლექსში ასნი
ორ მუხლიანში“ წერდა:

„მსაჯულად ყოფა ცუდია, ვინ ვერ
სცნობს ცრუ და მართალსა.

და მოიციცხება საჯაროდ, დააკლებს
ვინ სამართალსა“⁴.

ვახტანგ მეფის სამართლის წიგნის
მესამე მუხლის მიხედვით მოსამართლე
(აქ ლაპარაკია საერთოდ ყველა მოსა-
მართლეზე, მათ შორის, რა თქმა უნდა-

² ძველი საქართველო ექ. თაყაიშვილის
რედაქციით, ტ. 1, გვ. 44

³ არჩილი, საქართველოს ზნეობანი, ტ. 1,
გვ. 9.

⁴ იქვე, გვ. 76

ეროვნული
ისტორიის

მდივანბეგებზეც) უნდა ყოფილიყო „დიდად მჩხრეკელი, მიმხუდარი და გამოძიებელი, გონება აუჩქარებელი, დაწყნარებული, გამგონე“¹. მოსამართლეს საქმე სამართლიანად უნდა გაერჩია. მოყვრობით ან სხვა მხრივ მიდგომით ან კიდევ ქრთამით არ უნდა „განდრიკოს სასწორი სამართლისა“². სამსაჯულოში მდივანბეგი მხოლოდ გასარჩევი საქმით უნდა ყოფილიყო დაინტერესებული და გულისყური მხოლოდ ამ საქმისკენ ჰქონოდა.

მეფეები ხშირად თავის ბრძანებებსა და მიმართებაში მოსამართლეებს აფრთხილებდნენ, რომ საქმე ობიექტურად და ჭეშმარიტებით გაერჩიათ და არავითარ ნათესაურ გრძნობებს, თავაზსა თუ მოყვრობას მართლმსაჯულების განხორციელებაში სამართლის სასწორი არ გადაეხარა. სინამდვილეში, თვით მეფეებისათვისაც ნათელი იყო, რომ ფეოდალურ სასამართლოში „დაუფერებელი“ და ჭეშმარიტი მართლმსაჯულების განხორციელება შეუძლებელი იყო.

გვიანფეოდალურ საქართველოს სინამდვილეში ფაქტიურად ძალიან ხშირად ქონდა ადგილი კანონის დარღვევას, მექრთამეობასა და ღარიბების შეზღუდვას მდიდართა სასარგებლოდ. სამართლის სასწორი მუდამ იქითკენ გადაიხრებოდა ხოლმე, საითკენაც სიმდიდრე იყო. მართალია, სამართლის წიგნი აფრთხილებდა მოსამართლეებს, რომ „თუ ან ქრთამით, ან მოყუსობით, ან მუსაიბობით, გინა შიშით, ანუ სიყვარულით და ან მტერობით ერთის მეორეზედ მიუდგა არ იქმნების... თორემ ძნელი ტვირთი დაუცს აღსაკიდებლად ბეჭთა თვისთათვის“². მაგრამ მაინც არაერთხელ, თავისი კლასობრივი ინტერესების დასაცავად, მდივანბეგებს ეს ძნელი ტვირთი ადვილად მოუკიდებიათ, საქმე უსამართლოდ გადაუწყვეტიათ და მდგომარეობის სიმძიმე ისევ დაჩაგრულ ხალხს დასწოლია მხრებზე.


¹ ვახტანგის სამართლის წიგნი, მ. 3.

² იქვე.

ქართული იურიდიული გარეინოლოგიის მასალები

М

маклер	მაკლერი, დაღალი
маловероятный, ая, ое	ნაკლებმოსალოდნელი
маркировка	დამარკვა
материнское право	დედის უფლება
мать одиночка	მარტოხელა დედა
мать приемная	დედობილი
медиатор	მედიატორი, შუაკაცი
медиаторский, ая, ое,	სამედიატორო, საშუაკაცი
медиация	მედიაცია, შუაკაცობა
междоусобица	შინაბრძოლა, შინაომი
междугосударственный, ая, ое	სახელმწიფოთშორისი
международное общение	საერთაშორისო ურთიერთობა
международноправовой, ая, ое	საერთაშორისო-სამართლებრივი
междущаретвие	უმეფობის ხანა
межевой, ая, ое	სამიჯნო, გამიჯვნისა
межевой знак	სამანი
менее тяжкое телесное пов- реждение	სხეულის ნაკლებად მძიმე დაზავება
меняльная контора	ზარაფხანა
мера	1. ზომა, საზომი; 2. ღონისძიება
мера предосторожности	სიფრთხილის ღონისძიება
мера предупредительная	გამაფრთხილებელი, ამარიდებელი ღონისძიება
мера принудительная	იძულებითი ღონისძიება
мера принуждения	იძულების ღონისძიება
мертворожденный ребенок	მკვდრადშობილი ბავშვი
местная подсудность	ადგილობრივი განსჯალობა
местничество	ადგილუფროსობა
местожительство	საცხოვრებელი ადგილი
местонахождение	ადგილსამყოფელი
местопребывание	ადგილსამყოფელი
месть	შურისძიება, შურისგება
метка вексельная	სათამასუქო ნიშანი
метрическая книга	მეტრიკული დავთარი
меч правосудия	მართლმსაჯულების მახვილი
мещанин	მეშჩანი



ქართული ენციკლოპედია

мзда	1. სასყიდელი; 2. ქრთამი
мзодатель	ქრთამის მიმცემი
мздоимец	მექრთამე
мирная блокада	მშვიდობიანი ბლოკადა
мирный договор	საზავო ხელშეკრულება
мировая запись	მორიგების ჩანაწერი
мировая сделка	მორიგება
мировой, ая, ое	1. მსოფლიო, საქვეყნო; 2. მორიგებისა, დაზავებისა; 3. სამომრიგებლო, მომრიგებელი
мировой посредник	მომრიგებელი შუამავალი
мировой суд	სამომრიგებლო სასამართლო
мнение предвзятое	აკვიატებული შეხედულება
мнимая опасность	მოჩვენებითი საფრთხე
мнимая сделка	ვითარსი გარიგება
модифицировать	მოდვიციკრება, მოდიფიკაციის მოხდენა (მოდვიციკაციას ახდენს), სახის შეცვლა (სახეს შეუცვლის)
молочная сестра	ძუძუსმტე (ქალი)
молочный брат	ძუძუსმტე (ვაჟი)
молчаливое волеизъявление	ნების მდუმარე გამოვლინება
молчаливое признание	მდუმარე ცნობა, მდუმარე აღიარება
монетный двор	ზარაფხანა
моральное лицо	1. მორალური სახე, წნეობრივი სახე; 2. მორალური პირი
море внутреннее	შიდაზღვა
море закрытое	დახშული ზღვა
море открытое	ღია ზღვა
морская добыча	საზღვაო დავლა, ნადავლი
морское право	საზღვაო სამართალი
мотивировать	1. მოტივირება, მოტივის მოყვანა (მოტივს მოიყვანს); 2. მოტივაციის მოხდენა (მოტივაციას მოახდენს), დასაბუთება (დაასაბუთებს) სამოტივაციო, დასაბუთებითი, დასაბუთებისა თაღლითობა
мотивировочный, ая, ое	მუნიციპალიზებული
мошеничество	სატანჯველი სასჯელი
муниципализированный, ая, ое	მსუბუქი, ლმობიერი სასჯელი
мучительное наказание	მეამბოხე
мягкое наказание	
мятежник	

Н

навет	ცილი, ცილისწამება
наводящий вопрос	მისახვედრი კითხვა, შეკითხვა
наговор	ცილისწამება
надзор: быть под надзором	ზედამხედველობა, მეთვალყურეობა: ზედამხედველობაში, მეთვალყურეობაში ყოფნა




надсмотр	მეთვალყურეობა, ზედამხედველობა
наем	დაქირავება, ქირავნობა
наемная плата	ქირა
нажива	გამორჩენა
нажитое добро	მონაგარი დოვლათი
назначение на должность	თანამდებობაზე დანიშვნა, განწესება
назначение наказания	სასჯელის დანიშვნა
наибольшее благоприятствова- ние	უმეტესი ხელშეწყობა
наймодатель	გამქირავებელი
наказание-возмездие	სასჯელი-მისაგებელი
наказать	1. დასჯა (დასჯის); 2. დავალბა (დაავალბეს); 3. ღარიგება (დარიგება)
наказуемость	დასასჯელობა, დასჯადობა
наказуемый, ая, ое	დასასჯელი, დასჯადი
наличное имущество	არსებული ქონება
наличное нападение	თანაუამიერი თავდასხმა
наличный расчет	ნაღდი ანგარიშსწორება
налог на дарение	ჩუქების გადასახადი
налоговой сбор	საგადასახადო მოსაკრეფელი
налогообложение	ღაბეგვრა, გადასახადის შეწერა
налогоплательщик	გადასახადის გამამხდელი
налогоспособный, ая, ое	გადასახადუნარიანი
наложение ареста	უადლის დადება, დაუადალება, დახუთვა
наложение клейма	დადაღვა
наложение штрафа	დაჯარიმება
наложенным платежом	ფასდადებით
намерение	განზრახულება, დანაბირი
намеренно	განზრახ, განგებ
намеренный, ая, ое	ნაზრახი, განაზრახი, დანაბირები, დანაბირი
нанесение вреда	ვნების მიყენება
нанесение повреждения	დაზიანება, დაშავება
нанесение увечья	დასახირება
нанесение ущерба	ზიანის მიყენება
наниматель	დამქირავებელი, მოქირავნი
направление дела на обследо- вание	საქმის გადაცემა დამატებითი გამოძიებისა- თვის
направление дела по подсуд- ности	საქმის გადაცემა განსჯადობისამებრ
народное достояние	ხალხის, სახალხო ავლა-დიდება
нарушение права	1. უფლების დარღვევა, შელახვა; 2. სამართ- ლის დარღვევა
нарушение присяги	ფიცის გატეხა
нарушение функции органа	ორგანოს ფუნქციის მოშლა
насилие	ძალდატანება, ძალმომროება, ძალადობა, ძა- ლის ხმარება


насилие над женщиной	ქალზე ძალადობა, ქალის გაუპატიურება
наильник	მოძალადე
наильничать	ძალმომრეობა (ძალმომრეობს)
наильственный, ая, ое	ძალდატანებითი, ძალმომრეობითი, ძალადური
наследник по восходящей линии	აღმავალი შტოს მემკვიდრე
наследник по закону	კანონით, კანონისმიერი მემკვიდრე
наследование по праву представления	მემკვიდრეობა წარმოდგენის უფლებით
наследовать	1. მემკვიდრეობის მიღება (მემკვიდრეობას მიიღებს); 2. მემკვიდრედ ყოფნა (მემკვიდრე იქნება)
наследодатель	სამკვიდროს დამტოვებელი
наследственная масса	სამკვიდრო მასა
наследственное право	1. მემკვიდრეობის, მემკვიდრეობითი სამართალი; 2. მემკვიდრეობის უფლება
наследственность	მემკვიდრეობა
наследство	1. მემკვიდრეობა; 2. სამკვიდრო
натурализовать	ნატურალიზება, ნატურალიზაციის მოხდენა (ნატურალიზაციას მოახდენს), მოქალაქედ, ქვეშევრდომად გახდომა (მოქალაქედ, ქვეშევრდომად გახდის)
натурализоваться	ნატურალიზდება (განატურალიზდება), მოქალაქედ, ქვეშევრდომად გახდომა (მოქალაქედ, ქვეშევრდომად გახდება)
наценка	ფასნამატი, მეტნაფასი
национальная вражда	ეროვნული მტრობა
национальная распря	ეროვნული შუღლი
национальная рознь	ეროვნული განხეთქილება, უთანხმოება
неблаговидный поступок	საძრახისი საქციელი
неблагоприятное поведение	არასაკადრისი ყოფაქცევა
небрежность	დაუდევრობა
неведение закона	კანონის არცოდნა, უცოდინარობა
неверность	1. უსწორობა, მცდარობა; 2. ორგულობა, ლალატი
невинность	1. უმანკოება; 2. უბრალობა, უდანაშულოობა
невиновность	უბრალოობა, უდანაშაულობა
невменение	შეურაცხველობა
невменяемость	შეურაცხადლობა
невменяемый, ая, ое	შეურაცხადი
невозвращенец	არდაბრუნებული
невозместимый, ая, ое	აუნაზღაურებელი
неостребованный, ая, ое	მოუკითხავი
невыдача преступника	დამნაშავის გაუცემლობა
невыполнимый, ая, ое	შესასრულებლად შეუძლებელი



негласный, ая, ое	ფარული
негодное средство	უვარგისი საშუალება
недееспособность	ქმედუუნარობა
недействительность	არანამდვილობა, ბათილობა
неделимая вещь ✓	განუყოფადი ნივთი
недобор	ნაკლნაკრეფი
недоброкачественный, ая, ое	მდარე, უხარისხო, ცუდი ხარისხისა
недовес	წონანაკლი, ნაკლნაწონი
недодача	დაკლება
недоимка	ნარჩენი (გადასახადისა)
недоказанность ✓	დაუმტკიცებლობა
недоказуемость ✓	დაუმტკიცარობა
недопесение о готовящемся	განუცხადებლობა მზადებაში მყოფი დანაშა-
преступлении	ულისა
недопесительство	განუცხადებლობა
недоплата	დაკლება (ფულადი გადასახდელისა)
недостаток закона	1. კანონის ნაკლი; 2. კანონის უსრულლობა
недостаточность доказательств	დამამტკიცებელ საბუთთა უქმარობა
недостоверный, ая, ое ✓	არასარწმუნო, არაუტყუარი
незаконнорожденный ая, ое	უკანონოდშობილი, ბუში, ნაბიჭვარი
незаконный, ая, ое ✓	უკანონო
незаконный переход границы	საზღვრის უკანონო გადალახვა
незаменимая вещь	შეუნაცვლადი ნივთი
незарегистрированный, ая, ое	დაურეგისტრირებელი, ურეგისტრაციო
незастроенный, ая, ое	გაუშენებელი
неизвинительный, ая, ое	მიუტევებელი
неизгладимое обезображение	სახის წარუხსოცელი დამახინჯება
лица	
неисправимость	გამოუსწორებლობა
неисправный плательщик	უწესო გადამხდელი
неклеименные изделия	დამლადაუსმელი ნაკეთობანი
некредитоспособность	კრედიტუუნარობა
нелицензиатный, ая, ое ✓	მიუკერძობელი, თვალუხვამი
ненаказуемый, ая, ое	დაუსაჯი
ненасильственный, ая, ое	უძალადო, ძალდაუტანებელი
ненормированный, ая, ое ✓	დაუნორმავი
необлагаемый, ая, ое	უბეგრავი
необратимый, ая, ое	შეუქცევადი
неограниченная ответственность	განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა
неограниченное право	შეუზღუდავი უფლება
неоказание помощи	დახმარების აღმოუჩენლობა
неоконченное преступление ✓	დაუმთავრებელი დანაშაული
неопознанный, ая, ое	გამოუცნობელი
неопределенное жительство	გამოურკვეველი ბინადრობა
неопределенное обязательство	განუსაზღვრელი ვალდებულება
непроверяемый, ая, ое	უცილობელი, უდავო, დაურღვეველი



неосмотрительность	წინდაუხედლობა
неосознанная неосторожность	შეუცნობელი გაუფრთხილებლობა
неоспоримый, ая, ое	უდავო, უცილობელი
неосторожность	გაუფრთხილებლობა
неотбытая часть наказания	სასჯელის მოუხდელი ნაწილი
неотвратимость	აუცილებლობა
неотделенные дети	გაუყრელი შვილები
неотчуждаемый, ая, ое	განუსხვისები
неотъемлемый	ხელშეუვალი
неплатеж	გადაუხდელობა
неплатежеспособность	გადახდის უუნარობა
неплательщик	არგადამხდელი
неповиновение власти	ხელისუფლებისადმი ურჩობა
неподведомственный, ая, ое	არასაქვეუწყებო
неподкупность	მოუსყიდაობა
неподлежащий оглашению	არაგასახმაურებელი
неподсудность	არაგანსჯადობა
неподсудный, ая, ое	არაგანსჯადი
неподчинение власти	ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობა
неполнородный брат	დედითერთი, მამითერთი ძმა
неполнота закона	კანონის უსრულობა, არასრულობა, ნაკლებობა
неоправимый, ая, ое	გამოუსწორებელი
неопослушание	გაუგონარობა, ურჩობა
непотребляемая вещь	მოუსახმარი ნივთი
неправда	1. უმართლობა; 2. ტყუილი
неправительственная организа- ция	არასამთავრობო ორგანიზაცია
неправоспособность	უფლებათუუნარობა
неправосудный, ая, ое	უსამართლო
неправый, ая, ое	უმართლო
непрерывность	უწყვეტობა, განუწყვეტელობა
непризнание	არცნობა
неприкосновенность	ხელშეუხებლობა
неприменимость	გამოუყენებლობა
непристойность	უხამსობა
неприятельский, ая, ое	მტრული, მტრისა
непростительный, ая, ое	მიუტევებელი
неработоспособность	შრომაუუნარობა
нерабочий день	უქმე დღე
неравноправие, неравноправ- ность	არათანასწორუფლებიანობა
нерадение	უთაურობა, დაუდევრობა
нераздельный, ая, ое	განუყოფელი
нераскрытое преступление	ამოუხსნელი დანაშაული
нерасторжимый, ая, ое	ურღვევი, დაურღვეველი



несамоуправляющаяся терри-
тория

несвоевременная оборона
несвоевременное выполнение
договора

несменяемость
несоответствие закону
несостоятельность

несудимость
нетрудовой доход
нетрудоспособность

неумышленность
неуплата

неустойка

неявка

низшее возбуждение

нисходящая ветвь

ничтожная сделка

ножевая рана

нормирование

нормированный, ая, ое

носитель прав

потариальный, ая, ое

потифицировать

правы

нуций

არათვითმმართველი ტერიტორია

არათანაუამიერი მოგერიება
ხელშეკრულების არადროულად შესრულება

შეუცვლელია
კანონთან შეუსაბამობა

1. ვალაუვალობა; 2. უსაფუძვლობა, დაუსა-
ბუთებლობა; 3. ხელმოკლეობა

უნასამართლობა

უშრომელი, არაშრომითი შემოსავალი

შრომაუუნარობა

განუზრახაობა, განუზრახველობა

გადაუხდელია

პირგასამტეხლო

გამოუცხადებლობა

ქვენა გრძნობა

დაღმავალი შტო

არარა გარიგება

დანის ჭრილობა

დანორმვა

დანორმული, ნორმირებული

უფლებათა მქონე

სანოტარო, ნოტარული

ნოტიფიცირება, ნოტიო შეტყობინება (ნო-
ტიო შეატყობინებს)

ზნე-ჩვეულება

ნუნციუსი

მისალეზია თუ არა ღოსუნგ ზ. უზრსხვანიძის ჩინადადებანი?

3. მახაზვილი

უფროსად „საბჭოთა სამართლის“ 1950 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულია დოც. ბ. ფურცხვანიძის წერილი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ“. ამ წერილში ბ. ფურცხვანიძე აღნიშნავს პროექტის ზოგიერთ ნაკლოვანებებს და აყენებს წინადადებებს, რომელთა მიღებაც, მისი აზრით, „მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს კოდექსის პროექტის ხარისხს“.

იმაღლება კითხვა: რამდენად სწორად აფასებს ბ. ფურცხვანიძე თავისი შენიშვნებისა და წინადადების მნიშვნელობას სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის გაუმჯობესებისათვის.

ვიდრე კონკრეტულ შენიშვნებზე გადავიდოდნენ, ბ. ფურცხვანიძე მითითებს პროექტის უკანასკნელი ვარიანტის უპირატესობაზე პირველ ვარიანტთან შედარებით. ეს უპირატესობა, მისი აზრით, იმაში გამოიხატება, რომ „ახალი პროექტის ზოგად ნაწილში მთლიანად არის მოცემული „საფუძვლები“ და აღარ არის დაშვებული ძველი პროექტის „ცდა—გვერდი აივლოთ „საფუძვლებისათვის“ ცალკეულ დებულებათა სხვა რედაქციით მოცემისა ან კიდევ უპირატესოდ განვითარების გზით“. ასეთმა განცხადებამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს სისხლის სამართლის კოდექსის ახალი პროექტის ზოგადი ნაწილი წარმოადგენს მხოლოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებს ნორმების გაღმორქვებს და იგი ამ ნორმების არავითარ შევსებასა და განვითარებას არ შეიცავს. ასეთ შთაბეჭდილებას ამავრებს ბ. ფურცხვანიძის ის მითითებაც, რომ პროექტის ზოგადი ნაწილი სავსებით ემთხვევა „საფუძვლებს“, ხოლო საერთო-საკავშირო კანონები სახელმწიფო დანაშაულისათვის და სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ასევე ემთხვევა პროექტის სათანადო თავებს. ამევე დროს საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის ურთიერთობა პირველ და მეორე შემთხვევაში ერთნაირი არ არის. სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლო-

ბის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ საერთო-საკავშირო რესპუბლიკის პრეროგატივას წარმოადგენს. ამ სფეროში მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის მიერ რაიმე ინიციატივის გამოვლინება სათანადო ნორმების განვითარებისა და კონკრეტოციაციის მიმართულებით საერთო-საკავშირო კანონმდებლობის კომპეტენციაში შეტრა იქნებოდა.

რაც შეეხება „საფუძვლებს“, რომლებიც საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებებს შეიცავენ და ცალკეულ ინსტიტუტებსა და ცნებებს შეეხებიან, ისინი თუმცა სავალდებულო არიან მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ზოგადი ნაწილის აგების დროს, მაგრამ არ აბრძენენ ამ სფეროში მოკავშირე რესპუბლიკებს ყოველგვარ ინიციატივას. ზოგჯერ თვით „საფუძვლები“ ანიჭებენ მოკავშირე რესპუბლიკებს უფლებას შეაქსონ და განავითარონ „საფუძვლებში“ გათვალისწინებული ესა თუ ის ნორმები. სხვა შემთხვევაში, მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ ეს გააკეთონ თავისი ინიციატივით, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლიან „საფუძვლებში“ ჩამოყალიბებული პრინციპების შემდგომი განვითარებისა და კონკრეტოციაციისათვის, ან მასში მოცემული ცნებების განმარტებისა და დეტალიზაციისათვის. ეს დებულება არავისში ეჭვს არ იწვევს; მას პრაქტიკულადაც ახორციელებენ მოკავშირე რესპუბლიკების უკვე მიღებული სისხლის სამართლის კოდექსები, აგრეთვე დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკების მრავალრიცხოვანი პროექტები. ამავ ევით მიღის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის უკანასკნელი ვარიანტი. მაგალითად, ამ პროექტის მე-11 მუხლი, „საფუძვლების“ მეხამე მუხლში გამოხატული ბრალისათვის პასუხისმგებლობის პრინციპის განვითარებლად აწესრავებს შედეგის მხედვით კვალიფიცირებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლს გადაქრით მხარი დაუჭირა ერთ-ერთმა გამოჩენილმა საბჭოთა კრიმინალისტმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფ. ა.

პიონტოვსკიში. იგი მოიწონა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ბ. ნიკიფოროვმა². პროექტში მრავალი სხვა მუხლია, როცლიც „საფუძვლებში“ მოცემული პრინციპებისა და ცნებების კონკრეტული ანალიზისა და განვითარების წარმოადგენს (იხ. მუხ. 14 ნაწ. II, სუბ. 15 ნაწ. III, მუხ. 18, ნაწ. II, მუხ. 25, ნაწ. IV მუხ. 28 და სხვ.). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუხ. 42, რომელშიც გათვალისწინებულია სასჯელთა შეჯამების წესები, მუხ. 43, რომელშიც განმარტებულია განსაკუთრებით საშიში რიცხვითი სისხლისსჯელის და აგრეთვე მუხ. 54, რომელშიც განვითარებულია და შეცვლებულია „საფუძვლების“ ნორმები ნასამართლობის გაქარწყლების შესახებ. დაბოლოს, აღსანიშნავია სრულიად ახალი თავი, რომელიც „საფუძვლებში“ არ არის — „სამკურნალო და აღმზარდებლობითი იძულებითი ხასიათის ღონისძიებათა“ შესახებ. ყოველივე ეს ბ. ფურცხვანიძის თვალთახედვის გარეშე ღარჩა. მან მთელი თავისი ყურადღება მხოლოდ პროექტის განსაკუთრებულ ნაწილს მიაპყრო.

პროექტის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად ბ. ფურცხვანიძის მიაჩნია მს მუხლში გაცვლისწინებული შემადგენლობა. ეს მუხლი აწესებს შედარებით შენსუბუქებულ პასუხისმგებლობას იმ დედისათვის, რომელიც განზრახ მოკლავს თავის ახლადშობილს მშობიარობის დროს ან მასწინვე მშობიარობის შემდეგ. ბ. ფურცხვანიძე შედეგად თვლის ამ შემადგენლობას. დედის მიერ ახლადშობილის მოკლა მას მიაჩნია მეტად მძიმე დანაშაულოდ, რომელიც არ შეიძლება ე. წ. პრივილეგიურ მკვლელობად ჩაითვალოს. თუ მკვლელი დედისადმი ღმობიერი დამოკიდებულება, ბ. ფურცხვანიძის აზრით, ერთგვარ გამართლებას პოულობდა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში, როდესაც მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო და თანაც სასოგადოებაში ჭერ კიდევ აღმოფხვრილი არ იყო საუკუნეებით დამკვიდრებული ცრურწმენა „ქალის ღირსების“ შესახებ. ასეთი ღმობიერება სრულიად შეუწყნარებელია დედებზედ მამობებში, როდესაც მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონე ესოდენ დიდ სიმაღლეზეა აყვანილი.


მაგრამ მს მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის შეტანა პროექტში, ცვიქრობ, გამოწვეულია არა იმ მოსაზრებით, რაზედაც ბ. ფურცხვანიძე მიუთითებს, სახელდობრ, არა იმ მოტივების ხასიათით, რომლებმაც ქალში დანა-

შაულის ჩადენის განზრახვა აღორეს, არამედ სხვა მოსაზრებებით. ცნობილია, რომ უკვე თვის ფაქტი ორსულობისა განსაზღვრულ შემოქმედებას ახდენს ქალის ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობაზე. შემთხვევითი როდია, რომ „საფუძვლები“ პასუხისმგებლობის შემაქმედებელ გარემოებათა შორის ითვალისწინებენ „დანაშაულის ჩადენას ქალის მიერ ორსულობის მდგომარეობაში“ (მუხ. 33). ხოლო მშობიარობა კიდევ უფრო მეტ ცვლილებებს იწვევს ქალის ორგანიზმში. ამ მდგომარეობას შესანიშნავად ვისუბრათებს ვ. ი. ლენინი: „დაძმანის დაბადება, — წერს ვ. ი. ლენინი, — დაკავშირებულია ისეთ აქტთან, რომელიც ქალს აქცევს გაწამებულ, გატანჯულ, ტკივილისაგან გაგებულ, გასისხლიანებულ ნახევრად მკვლარ სორცის ნაჭრად“³. ამით აიხსნება, რომ ქალი მშობიარობის მომენტში და ერთ ხანს მშობიარობის შემდეგ საცხებით ვერ ფიქვს თავის თავს, მას უსუსტდება თავისი მოქმედებისათვის კონტროლის გაწვევის უნარი. სხვადასხვა მოტივებს — გაჭირვებას, სირცხვილის გრძნობას ქორწინების გარეშე ზავშვის დაბადების გამო, ყალბ წარმოდგენებს „ქალის ღირსებაზე“ და ა. შ. ქალის ფსიქიკა ვეღარ უწევს სათანადო წინააღმდეგობას. მოტივი, რომელიც საკმარისი არ იქნებოდა დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მისაღებად ჩვეულებრივ მდგომარეობაში, იმავე ქალისათვის შეიძლება საკმაო აღმოჩნდეს დანაშაულის განზრახვის აღსაძრეოდ მშობიარობის დროს ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ. ამიტომ ქალი, რომელიც ამ მომენტში ჩაიდენს დანაშაულს, არ შეიძლება დაისაჯოს იმგვარადვე, როგორც ჩვეულებრივ მდგომარეობაში ასეთივე დანაშაულის ჩადენის პიროვნება, ვინაიდან მისი ბრალის ხარისხი შედარებით მცირეა. სწორედ ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, როდესაც მშობიარობის მომენტში ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ დედის მიერ ახლადშობილის მოკვლისათვის ნაკლებ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე მკვლელობის სხვა შემთხვევებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხედულებას იზიარებენ მთელი რიგი ქვეყნების კოდექსები. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს შემსუბუქებულ პასუხისმგებლობას დედისათვის, რომელიც ჰკლავს ახლადშობილს მშობიარობის გამოწვეული მღელვარების მდგომარეობაში მშობიარობის დროს ან უშუალოდ მშობიარობის შემდეგ (§ 217). ანალოგიურ შემადგენლობას ითვალისწინებს ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 147), მოკავშირე რესპუბლიკე-

1. იხ. «Советское государство и право», 1959, № 11, стр. 53.
 2. იხ. «Социалистическая законность», 1959, № 8, стр. 9.

3. ლენინი, ოხს., ტ. 27, გვ. 612.



ბის კოდექსებიდან — უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 142). დაბოლოს ახეთივე შემადგენლობანი შეტანილია ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ახლახან შემუშავებულ პროექტში (იხ. უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, მუხ. 85, ესტონეთის სისხლ. სამართლის კოდექსის პროექტი, მუხ. 91, ლატვიის სსრ სისხლ. სამ. კოდექსის პროექტი, მუხ. 102, მოლდავეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, მუხ. 82).

ამგვარად, თუ ბ. ფურცხვანიძეს სურდა დანტკიცებინა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის 98 მუხლის ზედმეტობა, მას ამისათვის უნდა შეერყია ის საფუძველი, რომელზედაც ეს მუხლია აგებული, სახელდობრ, ან უნდა გაებათილება მედიცინის მონაცემები მშობიარე ქალის განსაკუთრებული ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, ან უნდა დაეცხაბუთებია, რომ ეს მდგომარეობა არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ბრალის ხარისხზე და ამიტომ საფუძველად ვერ დაედება პასუხისმგებლობის შემსუბუქებას.

პროექტის მეორე არსებით ნაკულად ბ. ფურცხვანიძე თვლის იმას, რომ ახალი პროექტი, წინააღმდეგ საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისა, არ ითვალისწინებს სისხლის აღრევის დასჯადობას. ანასთან, ბ. ფურცხვანიძეს მიანიცა, თითქოს პროექტის შემდგენნი თავის ბოცინია „იმით ასახულებენ, რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების პროექტებში აღნიშნული ქმედობა არ არის გათვალისწინებული და, რომ სასამართლო პრაქტიკაში მას იშვიათად ვხვდებით“¹.

მე ვფიქრობ, სისხლის აღრევის შემადგენლობის გაუთვალისწინებლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში გამოწვეულია სხვა უფრო პრინციპული ხასიათის მოსაზრებებით: მოხსენებაში სარესპუბლიკათაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიმდევნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კანონმდებლობის კოდიფიკაციის საკითხების განხილვას, საქართველოს სსრ მინისტრ-

თა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ აშხ. მ. ლომიძემ სისხლის აღრევის შეუტანლობა დასაჯელ ქმედობათა წრეში იმით დაასაბუთა, რომ ისეთი ხასის საზოგადოებრივად საშუა ქმედობასთან ბრძოლა სასჯელის მეშვეობით, როგორცაა სისხლის აღრევა, არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს. ამ ქმედობის მკაცრი მორალური ვაკიცხვა სოციალისტური საზოგადოების მიერ საკმაოდ მძლავრი შემოქმედების საშუალებას წარმოადგენს, რომელიც ზეღს უზღლის მის ვავრცელებას, იგი მეტ ვამაფრთხილებელ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობაზე, ვიდრე სასჯელის მუქარა². და მართლაც, იმ პირს, ვისაც აქვს მიდრეკილება სისხლის აღრევის ჩადენისაკენ, სისხლის სამართლებრივი სასჯელის შიში კი არ აკავებს ამ დანაშაულის ჩადენისაკენ, არამედ შიში საზოგადოებრივი აზრის წინაშე, შიში, რომ მის გარშემო შეიქმნება მორალური ბოიკოტი, ზიზღის ატმოსფერო და ა. შ. იმ მოკავშირე რესპუბლიკების მრავალწლიანი გამოცდილება, რომლებიც არ ითვალისწინებენ სისხლის აღრევის დასჯადობას და რომლებშიც, მიუხედავად ამისა, ეს ზნეობრივი მანკი არ ვავრცელებულა, ნათლად ადასტურებს ამ დებულებათა საფუძველიანობას.


სისხლის აღრევის დასჯადობის აუცილებლობის სასარგებლოდ დოკ. ბ. ფურცხვანიძეს შემდეგი მოსაზრება მოკავს: „ერთგვარად საპატიო იქნებოდა პროექტში ამ შედგენილობის შეუტანლობა, რომ ამჟამად მოქმედ კოდექსში იგი მოცემული არ ყოფილიყო, მაგრამ რადგანაც იგი მუდამ დასასჯადად იყო აღიარებული, ახლა მასზე უარის თქმა ცუდ ვავლენას იქონიებს“, სახელდობრ, ბ. ფურცხვანიძის აზრით, ზოგიერთ უზნეო აღმზანს ეს ისეთ რწმენას აღუქრავს თითქოს „სისხლის აღრევა სასხვათაშორისო საქმედ არის მიჩნეული“, რაც ხელს შეუწყობს ამ ხენის ვავრცელებას, სოლო დანარჩენები, რომლებიც მალალი დირსებითა და ზნეობით ვამორჩევიან, „ასეთ სიახლეს იმით ვამოცხმაურებთან, რომ თვისგასამართლებას მოუწყობენ სისხლის აღრევა“, რაც „მავნე იქნება საბჭოთა მართლწესრიგისა და მართლმსაჯულების ინტერესებისათვის“.

ჩვენის აზრით, ბ. ფურცხვანიძის შიში ვადუქარბებულია, სოლო მისი მსჯელობა წინააღ-

¹ სხვათა შორის, ბ. ფურცხვანიძის წერილში მოცემულია უცნაური დებულება, ვამოყოფილი ცალკე აბზაცად: „ასეთი მოსაზრება ჩვენის აზრით ვერ ვამოდება იმის დასაბუთებისათვის, რომ სისხლის აღრევა მხოლოდ მორალური წესით დასავმობ ნორმად ვამოცხადდეს“.

ვაუთვბარია, როგორ შეიძლება სისხლის აღრევა, რომელიც სინამდვილის უარყოფით ფაქტს წარმოადგენს, მორალური ან რაიმე სხვა წესით დასავმობ ნორმად ჩაითვალოს?

1. იხ. Тезисы докладов на Межреспубликанской научной конференции по вопросам кодификации законодательства Грузинской ССР, Азербайджанской ССР, Армянской ССР. Изд. АН Грузинской ССР, 1959 г.



მდევობას შეიცავს. განა აკრძალული ახორტი-სათვის ფეხშიძე ქალის დასჯადობის გაუქმებაში დღევანდელ პირობებში ვაჩვენებ ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა, თითქმის ეს მოქმედება წინებობრივი თვალსაზრისით გასაკიცხი არ იყო? ან თუნდაც იგივე სისხლის აღრევა ავიღოთ. ცნობილია, რომ რუსეთის რევოლუციამდელი კანონმდებლობა მეტად მკაცრად სჯდა სისხლის აღრევას. ეს შემადგენლობა შეტანილი იყო აგრეთვე რსჯის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში. მაგრამ სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა კოდექსის დამტკიცების დროს ამოწაღა სისხლის აღრევა კოდექსიდან. მაგრამ განა ამას ისეთი შედეგა მოყვა, რომ მოსახლეობის ერთმა ნაწილმა იგი აღარ ჩათვალა გასაკიცხ ქმედობად, ხოლო მეორე ნაწილმა, სისხლის აღრევის დაუსჯელობით აღშფოთებულმა, სისხლის აღრევით თვითგასამართლება მოუწყო? რა თქმა უნდა არაფერ ამგვარს ადგილი არ ჰქონია. მით უფრო ნაკლებად უნდა გვეშინოდეს სისხლის აღრევის დაუსჯელობის ასეთი შედეგებისა დღევანდელ პირობებში, როდესაც საბჭოთა მოქალაქეობის ერთკურსი და სამართლებრივი შეგნების დღევანდელი გაიზარდა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობით სისხლის აღრევის დასჯადობის აღიარებამ მიზან, როდესაც ეს მოქმედება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ წარმოადგენს დანაშაულს, შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შექმნას, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პოლიტიკა ამ საკითხში რაიმე ტიპის უფრო თავისებურებებით არის გამოწვეული. ეკრძოდ, ამ ქმედობის განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებათ საქართველოს მოსახლეობაში. სინამდვილეში არავითარი ობიექტური მონაცემები ამის მტკიცებისათვის არ მოგვეპოვება.

განსაკუთრებით უცნაურად გვეჩვენება სისხლის აღრევის დასჯადობის მოთხოვნა დღევანდელ პირობებში, როდესაც საბჭოთა ფართო საზოგადოებრიობა ახე აქტურად და ეფექტურად ებრძვის სოციალურად საშიშ ქმედობათა ყოველგვარ გამოვლენებებს. დასჯითი ღონისძიებების ეკონომიის პრინციპი, რომლის თანახმად სისხლისსამართლებრივი სასჯელი მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევა წინააღმდეგ ბრძოლა სხვა საშუალებებით შეუძლებელია, დაუჩინებლად გვიკარნახებს ამორტიცხობით სისხლის აღრევა ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსიდან.

ბ. ფურცხვანიძე განსაკუთრებით დიდ ყურა-

დღებას უთმობს შეურაცხყოფის შედეგობას. მას არასწორად მიაჩნია ის, რომ პროექტი არ იძლევა შეურაცხყოფის ცნების განმარტებას და იგი მოითხოვს ამ ნაკლის შეესხებას. ბ. ფურცხვანიძის აზრით, აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა უნდა იქნეს განმარტებული შემდეგნაირად: „შეურაცხყოფა, ე. ი. სოციალისტური მორალის საწინააღმდეგო უზრდელი მოპყრობა ადამიანისადმი მისი საკუთარი (?) ღირსების დამცირების მიზნით“.

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, ბ. ფურცხვანიძე შეურაცხყოფის შემადგენლობისათვის მოითხოვს დაზარალებულის ღირსების დამცირების მიზანს. მაშასადამე მას შესაძლებლად არ მიაჩნია შეურაცხყოფა ევენტუალური განზრახვით. ამგვარად, ბ. ფურცხვანიძე არ ეთანხმება იმ საბჭოთა ავტორებს, რომლებიც დასაშვებად თვლიან შეურაცხყოფას ევენტუალური განზრახვითაც! უფრო მეტიც: ბ. ფურცხვანიძე იმ ავტორებზე შორს მიდის, ვინც შეურაცხყოფისათვის აუცილებლად თვლის პირდაპირ განზრახვას, მაგრამ ამავე დროს არ შეაქვს შეურაცხყოფის დანაშაულის შემადგენლობაში მოითება მოქმედების მიზანზე*.


იმ გარემოებათა შორის, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნენ მიდებული შეურაცხყოფის საკანონმდებლო განსაზღვრების დროს, ბ. ფურცხვანიძე მიუთითებს იმაზე, რომ დაზარალებულს შეგნებული უნდა ჰქონდეს მის მიმართ შეურაცხყოფილი მოპყრობა. ამავე დროს, ბ. ფურცხვანიძის მიერ მოცემულ განსაზღვრებაში ეს მომენტი ასახული არ არის.

ამგვარად შეურაცხყოფის ცნების ის განსაზღვრება, რომელსაც ბ. ფურცხვანიძე იძლევა, ჩვენი აზრით, მოკლებულია სიზუსტეს და სისრულეს და ამავე დროს მეტად სადავო დებულებებს შეიცავს.

ბ. ფურცხვანიძე არ ეთანხმება პროექტის იმ დებულებასაც, რომლის მიხედვით შეურაცხყოფა იწყვეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია არა პირველად, არამედ მას შემდეგ, რაც დამნაშაის მიმართ უკვე გამოყენებული

1. იხ. მაგალითად, А. А. Пионтковский, В. Д. Меньшигин, Курс советского уголовного права. Особенная часть, т. I, Госюриздат, М., 1955, стр. 659, Советское уголовное право. Особенная часть, Госюриздат, М., 1958, стр. 175, А. А. Жинжилько, Преступления против личности, Госиздат, М.—Л., 1927, стр. 87.

2. იხ. И. Я. Фойницкий, Курс уголовного права. Часть особенная, С—П., 1912, стр. 108.



ყო საზოგადოებრივი ზემოქმედების დონისძიება ასეთივე ქმედობის ჩადენისათვის. ბ. ფურცვანაძის აზრით, პასუხისმგებლობის ასეთი წესი ეწინააღმდეგება „ამხანაგური სასამართლოების სანიმუშო დებულებების“, პროექტს, რომლის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამხანაგური სასამართლოები განიხილავენ საქმეებს „შეურაცხყოფის, ცემის, აგრეთვე კოლექტივის წევრის თაონაშე კოლექტივში ყალბი, გამაწბილებელი ცნობების გავრცელების შესახებ, უკეთეს მოქმედებანი ჩადენილია პირველად და არსებობს დაწარმებული განცხადება ან საზოგადოებრიობის შუამდგომლობა“. უკანააქველი დებულება ბ. ფურცვანაძის იხეუმის, რომ დაწარმებულს შეუძლია მიმართოს ან ამხანაგურ სასამართლოს ან სახალხო სასამართლოს და ამგვარად აღნიშნულ სასამართლოთა კომპეტენცია მე-6 მუხლის მე-3 ნაწილში ჩამოთვლილ საქმეებზე დამოკიდებულია დაწარმებულის მიხედვლებასზე. ჩვენის აზრით, ამხანაგურ სასამართლოთა სანიმუშო დებულების პროექტის შემოთმთყვანელი სიტყვები მთუთითებენ იმ პრინციპზე, რომ ზოგიერთი კატეგორიის (კერძოდ შეურაცხყოფის) საქმის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ დაწარმებულის საჩივრის საფუძველზე.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით პროექტი ითვლისწინებს იძულების ზოგად შემადგენლობას. იძულებად ითვლება ყოველგვარი შეზღუდვა პირივების თავისუფლებიანა შეასრულოს ან არ შეასრულოს რამე მოქმედება ფიზიკური ძალადობის ან მუქარის მეშვეობით (მუხ. 124). იძულების შემადგენლობის გათვალისწინებით ახალი პროექტი ავსებს ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმ სარეწს, რომელსაც დიდი ხანა გრძნობდა ჩვენი სასამართლო პრაქტიკა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის ამ სისხლემ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მოწონება დაიმსახურა.

ბ. ფურცვანაძე თვლის, რომ იძულების ზოგადი შემადგენლობა 126 მუხლში ბუნდოვნად არის ფორმულირებული. მისი აზრით გაუგებარია, როგორი მოქმედების შესრულებასზე ან შესრულებლობაზეა აქ ლაბარაკი? განა შეიძლება სისხლის სამართლის წესით დისახოს ისეთი პირი, ვინც ძალადობით ან მუქარით აიძულებს სხვა პირს შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის ან თვით დაწარმებულისათვის? — კითხვობს ბ. ფურცვანაძე. საკითხის ასე დაყენებისას ბ. ფურცვანაძე მხედველობაში არ იღებს იმას, რომ პროექტის 126 მუხლში აღწერილი დანაშაული, გულისხმობს პირის მოქმედების მართლსაწინააღმდეგო სახისათვის. ცხადია, თუ იძულება პირდაპირ ნებადართულია კანონით ან თუ არსებობს გარემოება, რომელიც გამორიცხავს მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგალითად, აუცილებელი მოგვრების ან უკიდურესის აუცილებლობის მდგომარეობა ან პროცესიული ფუნქციების შესრულება და ა. შ., ასეთ პირობებში იძულება არ შეიძლება იწვედეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აქ მოქმედებს ზოგადი პრინციპები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისა. მაგრამ ამის გარეშე, ვისი ინტერესებისათვისაც არ უნდა მოქმედებდეს პირი, ვინც ძალადობის ან მუქარის მეშვეობით ზღუდავს სხვის თავისუფლებას, — იგი პასუხს უნდა აგებდეს. მაგალითად, თუ ის პირი, ვისაც დავალებული აქვს დატარების ბიფეთების გავრცელება, ან დონისძიების სწრაფად და წარმატებით შესრულების მიზნით ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის მეშვეობით აიძულებს მოქალაქეებს შეიმინონ ბიფეთები, პასუხს უნდა აგებდეს იძულებისათვის სისხლის სამართლის წესით. ან, მაგალითად, ქმრის ახლო მეგობარი, რომელიც გამოაყენებს ძალადობას ან მუქარას, რათა აიძულოს მეგობრის ცოლი არ გაეყაროს ქმარს, იღებს სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობას, თუნდაც იგი ამას აკეთებდეს თავისი მეგობრის ოჯახის საკეთილდღეოდ. რა თქმა უნდა, ის მოტივი, რითაც სულმძღვანელობდა იძულების ჩამდენი, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, ზოგჯერ სასამართლოს შეუძლია სრულიად განთავისუფლოს კეთილშობილი მოტივით მოქმედი პირი სასჯელისაგან და საქმარისად სცნოს მის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების დონისძიებათა გამოყენება, მაგრამ ეს უკვე სხვა საქმეა.

დონისძიებისათვის ან თვით დაწარმებულისათვის — კითხვობს ბ. ფურცვანაძე. საკითხის ასე დაყენებისას ბ. ფურცვანაძე მხედველობაში არ იღებს იმას, რომ პროექტის 126 მუხლში აღწერილი დანაშაული, ისევე, როგორც ყველა სხვა დანაშაული, გულისხმობს პირის მოქმედების მართლსაწინააღმდეგო სახისათვის. ცხადია, თუ იძულება პირდაპირ ნებადართულია კანონით ან თუ არსებობს გარემოება, რომელიც გამორიცხავს მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგალითად, აუცილებელი მოგვრების ან უკიდურესის აუცილებლობის მდგომარეობა ან პროცესიული ფუნქციების შესრულება და ა. შ., ასეთ პირობებში იძულება არ შეიძლება იწვედეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აქ მოქმედებს ზოგადი პრინციპები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისა. მაგრამ ამის გარეშე, ვისი ინტერესებისათვისაც არ უნდა მოქმედებდეს პირი, ვინც ძალადობის ან მუქარის მეშვეობით ზღუდავს სხვის თავისუფლებას, — იგი პასუხს უნდა აგებდეს. მაგალითად, თუ ის პირი, ვისაც დავალებული აქვს დატარების ბიფეთების გავრცელება, ან დონისძიების სწრაფად და წარმატებით შესრულების მიზნით ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის მეშვეობით აიძულებს მოქალაქეებს შეიმინონ ბიფეთები, პასუხს უნდა აგებდეს იძულებისათვის სისხლის სამართლის წესით. ან, მაგალითად, ქმრის ახლო მეგობარი, რომელიც გამოაყენებს ძალადობას ან მუქარას, რათა აიძულოს მეგობრის ცოლი არ გაეყაროს ქმარს, იღებს სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობას, თუნდაც იგი ამას აკეთებდეს თავისი მეგობრის ოჯახის საკეთილდღეოდ. რა თქმა უნდა, ის მოტივი, რითაც სულმძღვანელობდა იძულების ჩამდენი, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, ზოგჯერ სასამართლოს შეუძლია სრულიად განთავისუფლოს კეთილშობილი მოტივით მოქმედი პირი სასჯელისაგან და საქმარისად სცნოს მის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების დონისძიებათა გამოყენება, მაგრამ ეს უკვე სხვა საქმეა.

1. იხ. В. С. Никифоров, Проекты республиканских уголовных кодексов. «Социалистическая законность» 1959, № 8, стр. 10.

სამართლის კოდექსში სხვა შემთხვევებიც არის, როდესაც ძალადობა და მუქარა წარმოადგენენ დანაშაულის ჩადენის საშუალებას (მაგალითად, გაუპატიურება), თუმცა ამ შემადგენლობათა შეტანა კოდექსში არავის ზედმეტად არ მიაჩნია. თუ ფიზიკურ ძალადობას დამოუკიდებლად ავიღებთ, მისი ობიექტი სხეულებრივი ხელშეუხებლობაა, ხოლო მუქარის ობიექტი — დაზარალებულის უშიშროებისა და სიმშვიდის გრძობაა. მაგრამ როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ძალადობა შეიძლება წარმოადგენდეს საშუალებას სხვა, უფრო მნიშვნელოვან ინტერესებზე ხელყოფისათვის. კერძოდ, იძულების დანაშაულის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირი ძალადობის ამ მუქარის მეშვეობით ხელყოფს სხვის თავისუფლებას შესარულოს ან არ შესარულოს ესა თუ ის მოქმედება. ამიტომ ეს დანაშაული უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვიდრე დამოუკიდებლად აღებული ძალადობა ან მუქარა. პროექტი სწორედ ასე იქცევა. ამგვარად ის გარემოება, რომ ძალადობა და მუქარა თავის თავად დანაშაულებრივ ქმედობებს წარმოადგენენ, სრულიადაც არ ნაშნავს იმას, რომ იძულება არ უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც დამოუკიდებელი დანაშაული.

ბ. ფურცხვანიძე არ ეთანხმება იმას, რომ პროექტში გათვალისწინებულია ბლანკეტური შემადგენლობა, რომელიც მოიცავს „ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან ჩამოცილების წესების დარღვევას“ (მუხ. 137). ბ. ფურცხვანიძის აზრით, უყეთესი იქნებოდა, რომ კოდექსის პროექტში მოცემული ყოფილიყო ამ დარგში შესაძლებელი სოციალურად ნაშინი ქმედობების ამომწურავი ჩამოთვლა და მათი სიმძიმის მიხედვით გათვალისწინებული ყოფილიყო დიფერენცირებული სანქციები, როგორც მას საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი აკეთებს. ამ მოთხოვნას ბ. ფურცხვანიძე იმით ასაბუთებს, რომ ბლანკეტური დისპოზიცია იძულებს სასამართლოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გაეცნოს სხვა საკანონმდებლო აქტებს და თვითონ გააკეთოს დასჯილა, დაარღვია თუ არა პირმა ამ კანონის ნორმა და დასაჯადა თუ არა ეს ქმედობა. ამან კი შეიძლება სასამართლო პრაქტიკა არა სწორი გზით წაიყვანოს და მის ერთგვაროვნებას ხელი შეუშალოს.

ასეთი ზოგადი სახით გამოთქმული დებულება საერთოდ საეჭვოდ ხდის ბლანკეტური დისპოზიციების არსებობის მიზანშეწონილებას, ვინაიდან 137 მუხლი ამ მხრივ არავითარ თავისებურებას არ შეიცავს. აღნიშნულ შემთხვევაშიც სასამართლო იმგვარადვე იქცევა, როგორც ბლანკეტური დისპოზიციის სხვა შემთხვევებში,

რომლებიც საკმაოდ ხშირად გხვდება საქონის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში რაიმე განსაკუთრებულ სიმძლავს არ იწვევს. გარდა ამისა, აღნიშნულ სახის ხელყოფათა სხვადასხვა სახეების გათვალისწინება სისხლის სამართლის კოდექსში მიზანშეწონილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, ისინი რომ ერთმანეთისაგან თავისი სოციალური საშიშროებით მკვეთრად განსხვავდებოდნენ. დამატომ საჭირო იყოს თვით კანონში სხვადასხვა სიმძიმის სასჯელთა გათვალისწინება. მაგრამ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 თავის გაცნობა, სადაც მოთავსებულია ზემოაღნიშნულ დარღვევათა ცალკეული სახეები დამოუკიდებელი სანქციებით, გვარწმუნებს იმაში, რომ აქ გათვალისწინებული სასჯელები მაინც დაჰანც ვიდრე არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამიტომ ასეთი როული სისტემის შენარჩუნება მიზანშეწონილი არ არის.

მმართველობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში პროექტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ხელისუფლების წარმომადგენლის ან საზოგადოებრიობის იმ წარმომადგენლისათვის, ვინც საზოგადოებრივ წესრიგს იცავს (მუხ. 193). ბ. ფურცხვანიძის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, რომ 193 მუხლში გათვალისწინებული იყოს გამლიერებული პასუხისმგებლობა ყველა თანამდებობის პირის შეურაცხყოფისათვის იმისდა მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლები არიან ისინი თუ არა. მაგრამ 193 მუხლში გათვალისწინებული გამლიერებული პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამართლებული, როდესაც იგი დაკავშირებულია ისეთი თანამდებობის პირების, შეურაცხყოფასთან, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მოქალაქეთა მიმართ განკარგულების ფუნქციები და რომელთაც შეუძლიათ გამოიყენონ იძულებითი ღონისძიებანი. ასეთი თანამდებობის პირები კი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან. მხოლოდ ასეთი თანამდებობის პირების შეურაცხყოფა ხელყოფს მოსახლეობის თვალში თვით ხელისუფლების ავტორიტეტს და ღირსებას. პირიქით, სხვა თანამდებობის პირთა შეურაცხყოფა, რომელიც არ ხელყოფს ხელისუფლების ორგანოთა ავტორიტეტს და არ აფერხებს მათ ნორმალურ საქმიანობას, განხილულ უნდა იქნეს როგორც მიმართული პირადი ღირსების წინააღმდეგ და უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას საერთო საფუძვლებისამებრ. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით პროფ. ვ. დ. მენშავინს, რომელიც აკრიტიკებს რა ამ საკითხის შესახებ საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის პოზიციას, წერს: „არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს ხე-

ლისუფლების წარმომადგენლის შეურაცხყოფის შემადგენლობის გაფართოება უოველი თანამდებობის პირის შეურაცხყოფის ხარჯზე. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლის (მაგალითად, მოსამართლის, პროკურორის) შეურაცხყოფა და რომელიმე სხვა თანამდებობის პირის შეურაცხყოფა, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელი არ არის (მაგალითად, დაწესებულების მოლარის, ქარხნის სამკაროს უფროსის, კომმუნისტების ბრიგადირის და სხვ.)-თავის საზოგადოებრივი საშიშროებით მეტად განსხვავდება ერთიმეორისაგან¹.

1. А. А. Пионтковский, В. Д. Меньшанин, В. М. Чхиквадзе, Курс советского уголовного права. Особенная часть, т. 2, Госюриздат, М., 1959, стр. 452.

დასასრულ, ვფიქრობ მისაღებია ბ. ფურცხვანიძის ზოგიერთი წინადადება. კერძოდ, პროექტის 213 მუხლი ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევის შესახებ მოითხოვს რედაქციულ გაუმჯობესებას. საჭიროა დაზუსტდეს, თუ ვინ შეიძლება იყოს ამ დანაშაულის სუბიექტი. ყურადღების ღირსია აგრეთვე ბ. ფურცხვანიძის წინადადება პროექტის 227 მუხლში მოცემული შემადგენლობის გაფართოების შესახებ იმ მხრივ, რომ ამ შემადგენლობით მოცულ იქნეს აგრეთვე არასრულწლოვანთა შეგულიანება პროსტიტუციისათვის, მათხოვრობისათვის და სხვ. საზოგადოებრივად საშიშ კმედობათა ჩადენისათვის.

ასეთია ჩვენი შენიშვნები ბ. ფურცხვანიძის წერილზე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ.

შენიშვნები შრომის კანონმდებლობის „საფუძვლების“ შესახებ

დოკ. ე. ნიძიძე

სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახვლებათა კომისიების მიერ შემუშავებული „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების“ პროექტი, მისი დამტკიცების შემდეგ, თავისებური ფუნდამენტი იქნება ჩვენი და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსების შედგენისათვის.

„საფუძვლების“ პროექტში მოყვანილი უმნიშვნელოვანესი დებულებები ჩამოყალიბებულია სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სახელდობრ: სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის შემოკლების, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების, მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავლის ზრდის, პენსიების მინიმალურ ოდენობათა გადიდების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის საქმეში საზოგადოებრიობის როლის გაძლიერებისა და ა. შ.

„საფუძვლების“ პროექტის სიახლენი მოწონებას იმსახურებენ.

გვსურს გავაკეთოთ ზოგიერთი შენიშვნა:

1. რამდენადაც „საფუძვლები“ მოწოდებული არიან მოაწესრიგონ მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ურთიერთობა, ამდენად აუცილებელი ხდება მისი სახელწოდების დაზუსტებაც. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია მას ვუწოდოთ არა „შრომის კანონმდებლობის საფუძვლები“, — არამედ „მუშა-მოსამსახურეთა შრომის კანონმდებლობის საფუძვლები“.

2. შრომის ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრაც საჭიროებს ზოგიერთ დამატებას მის განსახსნავებლად მომიჯნავე სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებებისაგან.

შრომის ხელშეკრულების დამახასიათებელ ნიშნად ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია მუშაკის ჩარიცხვა საწარმოს (დაწესებულების) პი-

რად შემადგენლობაში და მისი დამორ-
ნილება—დაქვემდებარება შრომის შინა-
განაწესისადმი. ამიტომ, ამით უნდა შე-
იკნოს შრომის ხელშეკრულების ის
განსაზღვრება, რომელიც მოყვანილია
„საფუძვლებში“. იმასთან დაკავშირე-
ბით, რომ ამ ხელშეკრულების განსაზღვ-
რით ნაბუნებები არ არის სხვა ორგანიზა-
ციებიც, რომლებიც წარმოადგენენ შრო-
მითი შეთანხმების მხარეებს, ამდენად
საჭიროა დავამატოს სამეურნეო კოოპე-
რაციული ვაერითანებანიც, რომლებ-
თანაც ასეთი შეთანხმება იდება. ასევე
არ გამოდგება დუმილი იმის შესახებ,
რომ შრომის ხელშეკრულებას ვხვდე-
ბით პირადი მოხმარებითი მეურნეობის
პრაქტიკაშიც (შინამოსამსახურენი, კერ-
ძო ავტომანქანის მფლობელთა მიერ
დაქირავებული მძღოლები და სხვ.).
ამიტომ პროექტის მე-6 მუხლი, გარდა
ასეთი კორექტივებისა, მოითხოვს სა-
თანადო შენიშვნასაც — შრომის ხელ-
შეკრულების გამოყენების შესახებ სა-
წარმოო კოოპერაციაში და პირადი მოხ-
მარების მეურნეობაში.

შრომის ხელშეკრულების განსაზღვრა
მთავრდება იმით, რომ საწარმოს ან და-
წესებულებას ეკისრება ვალდებულება
„უზრუნველყოს შრომის კანონმდებ-
ლობით, კოლექტიური და შრომის ხელ-
შეკრულებებით გათვალისწინებული პი-
რობები“. მართალია, საწარმოს ან და-
წესებულებას ევალება ამავე შრომის
ხელშეკრულებათა პირობების შესრუ-
ლებაც, მაგრამ ეს მხოლოდ ამძიმებს,
ხელშეკრულების დედაზრს, რის გამოც
უკეთესი იქნება ამ უკანასკნელის ამო-
ღება პროექტის ტექსტიდან.

3. პროექტი ითვალისწინებს მატე-
რიალური პასუხისმგებლობის ორ სა-
ხეობას:

ა. შეზღუდულს ანუ შემცირებულს—
მუშაის სატარიფო განაკვეთის ერ-
თი მესამედის ოდენობით ანაზღაურების
ვალდებულებას;

ბ. მიყენებული ზიანის სრული მოკ-
ლობით ანაზღაურებას. ეს უკანასკნელი
როგორც პროექტშია აღნიშნული — ეკი-
სრებათ მუშა-მოსამსახურეებს ზიანის
მიყენების განსაკუთრებულ შემთხვე-
ვაში.

პროექტის 37-ე მუხლი არ ხსნის, თუ
რა შემთხვევებში ეკისრებათ შეღავა-
თიანი მატერიალური პასუხისმგებლო-
ბა სათანადო ვალდებულ პირებს
და აგრეთვე რა უნდა ვიგულისხმოთ
განსაკუთრებულ შემთხვევებად სრუ-
ლი ოდენობით მატერიალური პასუხის-
მგებლობის დაკისრების დროს.

განსაკუთრებულ შემთხვევებად შეიძ-
ლება წარმოვიდგინოთ ის, რაც გათვა-
ლისწინებულია მოქმედ შრომის კანონ-
თა კოდექსის 83¹ მუხლში და უმთავრე-
სად ვიგულისხმოთ დანაშაულებრივი
დაუდევრობით თუ ვაუფრთხილებლო-
ბით გამოწვეული ქონებრივი ზიანის
შემთხვევები.

რაც შეეხება შეზღუდულ მატერია-
ლურ პასუხისმგებლობას, თუ ისიც აჯე-
ბულია შრომის კანონთა კოდექსის 83-ე
მუხლის მოთხოვნაზე, მაშინ შეიძლე-
ბა დავუშვათ მუშაკთათვის ამ სახის
პასუხისმგებლობის დიფერენცირება.
მთი გამოცდილებისა და პროფესიული
მოწინააღმდეგის დონის მიხედვით.

სოციალისტური საკუთრებისა და
მოქპირნობის რეჟიმის დაცვის ამოცა-
ნები და შრომის ანაზღაურების საანარ-
დო პროგრესული სისტემის ფართოდ გა-
მოყენების პრაქტიკა გვაუალებს და იმის
შესაძლებლობასაც გვაძლევს, რომ შეზ-
ღუდული მატერიალური პასუხისმგებ-
ლობა განსხვავებული ოდენობით დაე-
კისროს, ერთი მხრივ მოზარდსა და და-
ბალი თანრიგის მუშებს და მეორე მხრივ
კვალიფიციურსა და გამოცდილ მუ-
შაკებს.

სატარიფო განაკვეთის ერთი მესამე-
დი თუ დაეკისრება გამოუცდელ მოზარ-
დებსა და დაბალი თანრიგის მუშებს, სა-
შუალო ხელფასის ორი მესამედი შე-

საქართველო
საქართველო

საძლებელია ადვილად დაეკისროს მოზრდილებს და კვალიფიციურ მუშა-მოსამსახურეებს.

4. „საფუძვლების“ XII ნაწილი დათმობილი აქვს პროფესიულ კავშირებსა და მის პირველად ორგანიზაციებს.

ჩვენი აზრით, ასეთი თანმიმდევრობა და გადმოცემის სტრუქტურა ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, რადგან პროფკავშირების ორგანიზაცია ცალკეულ ფუნქციებსა და უფლებებზე შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების დარგში აღნიშნულია „საფუძვლების“ ამ ნაწილის თითქმის ყველა წინამძღვარ ნაწილში.

5. „საფუძვლების“ საკმაოდ დეტალიზირებული სისტემა, ვფიქრობთ, არ საჭიროებს ისეთ ყოვლისშემცველ დასახელებას, როგორიცაა შრომის დაცვა, რადგან შრომის მოქმედი კანონმდებლობა მთლიანად მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების დაცვას ნიშნავს, შრომის დაცვის ქვეშ „საფუძვლები“ (VII ნაწ.) გულისხმობენ მხოლოდ და მხოლოდ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანაპიერების წესების დაცვას.

ამის გამო, ამ ნაწილს უნდა ეწოდოს შრომის პირობათა გაჯანსაღება ან უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარია-პიგიენის წესები.

6. „საფუძვლებში“ ასევე არაზუსტია ისეთი დასახელება, როგორიცაა „ახალგაზრდობის შრომა“, თუნდაც იმიტომ, რომ ახალგაზრდობის ცნება არ შეიძლება შემოიფარგლოს მოზარდების ასაკით 18 წლამდე, ანუ მარტო იმ ასაკით, რომელიც წინ უსწრებს სრულწლოვანებას. „საფუძვლების“ ამ თავში ყველა ნორმა ფაქტიურად ითვალისწინებს არასრულწლოვანთა შრომას, ხოლო არასრულწლოვანნი კი წარმოადგენენ მთელი ახალგაზრდობის მხოლოდ ერთ ნაწილს.

7. „საფუძვლების“ VI თავში „შრომის დისციპლინა“ მიზანშეწონილია მი-

თითება საზოგადოებრივი ზემოქმედების ისეთ ორგანიზაციაზე, როგორც არის ამხანაგური სასამართლო, რომლის კომპეტენციამაც შევა არა მარტო შრომის დისციპლინის დარღვევები, არამედ ყოფაქცევის წესებიდან ყოველგვარი გადახვევა, რომლებიც არ შეიცავენ სისხლის სამართლის წესით დასასჯელ ქმედობის ნიშნებს.

„საფუძვლების“ ამ ნაწილში შრომის დისციპლინის მარგულირებული წყაროს სახით მითითებულია მხოლოდ შრომის შინაგანაწესი, მაშინ, როდესაც დანარჩენი წყაროები (წესდებები დისციპლინის შესახებ, ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, თანამდებობრივი ინსტრუქციები და სხვ.) ნახსენები არ არის.

„საფუძვლების“ სისტემა ძირითადად აგებულია შრომის კანონთა კოდექსის ან ახალი პროექტების სისტემაზე და რიგი ნორმები კი მთლიანად და უცვლელად მასში გადმოღებულია ამავე წყაროებიდან. ვამოდის, რომ „საფუძვლები“ მიმართულებას იღებენ მისდამი დაქვემდებარებული აქტიდან, რაც საფუძვლით გამართლებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც საქმე გვაქვს წყაროების ასეთ თანაფარდობასთან:

1. ძირითადი კანონი და საფუძვლები;
2. საფუძვლები და კოდექსი.

„საფუძვლებში“ უთუოდ თავის ერთგვარ ასახვას ჰპოვებენ ახალი კანონპროექტები, კანონი საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამადლების შესახებ, ამხანაგური სასამართლოების სანიმუშო დებულება, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სანიმუშო დებულება, რომლებიც გამოქვეყნდნენ უფრო მოგვიანებით. ამ აქტებში, სხვა საკითხებთან ერთად, მოცემულია ამხანაგური სასამართლოების მუშაობის ახალი წესი, მოზარდთა შრომითი მოწყობა და სხვ.

საჩხედის უმცვლის საკითხისათვის

თ. ლილუაშვილი

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს თავისი სასარჩელო მოთხოვნა.

მაშასადამე, კანონში აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს შეუძლია შეცვალოს სარჩელის საფუძველი, მაგრამ რაც შეეხება სარჩელის მეორე ელემენტის, ე. ი. სარჩელის საგნის შეცვლას, ამის შესახებ კანონში პირდაპირი მითითება არ არსებობს.

გამომდინარეობენ, რა საბჭოთა სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან, საბჭოთა პროცესუალისტები ამჟამად ერთხმად აღიარებენ, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს აგრეთვე სარჩელის საგანიც (სასარჩელო მოთხოვნა).

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა მოსარჩელეს ერთდროულად შეცვალოს სარჩელის საფუძველიც და საგანიც.

სარჩელის საფუძველი და საგანი წარმოადგენს სარჩელის ელემენტებს, რომლებიც ინდივიდუალიზირებულს ხდიან სარჩელს, განასხვავებენ ერთ სარჩელს მეორისაგან.

ვთქვათ მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხის ბინიდან გამოსახლებას (სარჩელის საგანი), იმ მოტივით, რომ მოპასუხე არ იხდის ბინის ქირას (სარჩელის საფუძველი), საქმის არსებითად განხილვის დროს მოსარჩელემ შეცვალა სარჩელის საფუძველი და მოითხოვა გამოსახლება იმ მოტივით, რომ მოპასუხე ანგრევს და აფუჭებს საცხოვრებელ ბინას.

ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სარჩე-

ლის საფუძვლის შეცვლას. ასეთი ცვლილების შედეგად სარჩელი იფერხება, ვინაიდან უცვლელი რჩება მისი ერთი ელემენტი საგანი.

მაგრამ თუ იცვლება სარჩელის ორივე ელემენტი, ე. ი. სარჩელის საგანი და საფუძველი, ასეთ შემთხვევაში იცვლება სარჩელი მთლიანად და სახეზე გვექნება სრულიად ახალი სარჩელი, რომელიც არაფრით არ იქნება დაკავშირებული პირველდაწყებით სარჩელთან.

ფაქტიურად ეს იქნება არა სარჩელის შეცვლა, არამედ ახალი სარჩელის აღძვრა. ახალი სარჩელის აღძვრა კი უნდა მოხდეს სარჩელის აღძვრის საერთო წესების დაცვით.

ამიტომ მოსარჩელეს არ უნდა მიეცეს უფლება შეცვალოს სარჩელის საგანიც და საფუძველიც. მას უნდა დარჩეს უფლება შეცვალოს მხოლოდ ერთი მათგანი, ან საფუძველი, ან საგანი.

იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის საგნის შეცვლა იწვევს აგრეთვე სარჩელის საფუძვლის შეცვლასაც, ან პირიქით, სასამართლომ არ უნდა დაუშვას ასეთი ცვლილება.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება თუ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის მომავალი საპროცესო კოდექსი გაითვალისწინებს შემდეგი შინაარსის ნორმას.

„მოსარჩელეს უფლება აქვს მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც საქმე არსებითად ირჩევა, შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს თავისი სასარჩელო მოთხოვნა.

უკეთეს მოსარჩელის მიერ სარჩელის საგნის შეცვლა იწვევს აგრეთვე სარჩე-

ლის საფუძვლის შეცვლასაც, ან პირიქით, სარჩელის საფუძველის შეცვლა გამოიწვევს აგრეთვე სარჩელის საგნის შეცვლასაც. ასეთი შეცვლა დაუშვებელია“.

მოსარჩელის მიერ სარჩელის შეცვლის უფლებასთან დაკავშირებით პროცესუალურ ლიტერატურაში წამოიჭრა კითხვა: აქვს თუ არა სასამართლოს უფლება თავისი ინიციატივით შეცვალოს სარჩელის საფუძველი, ან საგანი მოსარჩელის თანხმობის გარეშე?

მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით ეს საკითხი რეგულირებული არ არის.

პროცესუალურ ლიტერატურაში კი ამ საკითხზე არ არსებობს ერთნაირი შეხედულება. ვინაიდან, სარჩელის საფუძველი და საგანი სარჩელის ორი სხვადასხვა ელემენტია, ამიტომ ხსენებული საკითხი საჭიროა გამორკვეულ იქნეს ამ ორი ელემენტის მიმართ ცალცალკე.

1) სასამართლოს უფლების შესახებ — შეცვალოს სარჩელის საფუძველი მოსარჩელის თანხმობის გარეშე.

საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა სასამართლოს შეცვალოს სარჩელის საფუძველი მოსარჩელის თანხმობის გარეშე, თავის დროზე დაწვრილებით იქნა განხილული პროფ. დ. ი. პოლუმორდვინოვის მიერ. მისი აზრით სასამართლოს არ აქვს უფლება შეცვალოს სარჩელის საფუძველი, თუ ამის შესახებ არ ექნება მოსარჩელის თანხმობა¹.

თავის შეხედულებების დასასაბუთებლად დ. ი. პოლუმორდვინოვმა, როგორც ნიმუში, გამოიყენა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად თუ გამოირკვევა, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც მასზე

პასუხს აგებს, სასამართლოს შეუძლია საქმე არ მოსპოს და ნება დართოს, რომ საქმიდან გასული პირვანდელი მოსარჩელის ან მოპასუხის ნაცვლად მისი ადგილი საქმეში დაიჭიროს სათანადო მოსარჩელემ ან მოპასუხემ. ისე, როგორც სარჩელის აღძვრის შესახებ საკითხის გადაწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია მოსარჩელის ნება-სურვილზე, ასევე მისი ნებასურვილის გარეშე მოპასუხის არჩევა უაზრობაა.

დ. ი. პოლუმორდვინოვის მიერ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის ანალიზი არ არის მთლიანად სრულყოფილი. ის უდაოდ სწორია იმაში, რომ სასამართლოს უფლება არ აქვს გაიყვანოს საქმიდან მოსარჩელის მიერ დასახელებული მოპასუხე და მის ნაცვლად ჩააბას სხვა სათანადო მოპასუხე თუ ამაზე მოსარჩელე თანახმა არ არის.

მაგრამ იბადება კითხვა: შეუძლია თუ არა სასამართლოს ჩააბას საქმეში სათანადო მოპასუხე და ამავე დროს დატოვოს ის მოპასუხეც, რომლის საქმიდან გასვლის წინააღმდეგია მოსარჩელე? დ. ი. პოლუმორდვინოვი ამ კითხვაზე რატომღაც არ პასუხობს, თუმცა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის ანალიზის დროს ამაზე აუცილებლად უნდა გაიციეს გარკვეული პასუხი. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს 1926 წლის № 1 ინსტრუქციული წერილი, რომელსაც დ. ი. პოლუმორდვინოვი ეყრდნობა, და რომელიც 167 მუხლის პრაქტიკაში გამოყენების წესის შესახებ საკითხზეა მოტიანილი. პირდაპირ პასუხობს ამ კითხვაზე. აღნიშნული წერილის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე თანახმა არ არის მოპასუხის სხვა პირით შეცვლაზე, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ჩააბას ეს პირი მეორე მოპასუხედ, საბოლოო ჯამში სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ-

¹ იხ. «Социалистическая законность», 1949 г. № 3, стр. 24-25.

მა მოპასუხემ უნდა აგოს პასუხი სარჩელზე.

თუ დ. ი. პოლუმორდინოვის მსგავსად ვისარგებლებთ 167-ე მუხლის ანალოგიით, მაშინ უნდა მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ როდესაც მოსარჩელე სარჩელის საფუძვლის შეცვლის თანახმა არ არის, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განიხილოს სარჩელი სხვა, მეორე საფუძვლით და დააკმაყოფილოს იგი ახალი საფუძვლით.

პროცესუალისტები (პროფ. კ. ს. იუდელსონი, დოც. ს. ნ. აბრამოვი, ლ. პ. სმიშლიაევი), ამტკიცებენ, რომ სასამართლოს უფლება აქვს თავისი ინიციატივით შეცვალოს სარჩელის საფუძველი. ისინი ეყრდნობიან რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილებას.

აღნიშნულ დადგენილებაში, ლაბარაკია იმის შესახებ, რომ სასამართლოს შეუძლია დააკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნები სხვა საფუძვლით, ვიდრე ამას მოითხოვს მოსარჩელე¹. ერთი შეხედვით ეს სხვას არ ნიშნავს თუ არა იმას, რომ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს სარჩელის საფუძველი თავისი ინიციატივით, მაგრამ არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ ასეთი შეცვლა, ე. ი. სასამართლოს მიერ სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება სხვა საფუძველით, ვიდრე ამას მოითხოვს მოსარჩელე, და სარჩელის საფუძვლის შეცვლა თვით მოსარჩელის მიერ ან მისი თანხმობით, არ არიან თანატოლნი.

როდესაც სარჩელის საფუძველს ცვლის მოსარჩელე ან მისი თანხმობით სასამართლო, მაშინ პირველდაწყებითი საფუძვლის ადგილს იკავებს ახალი საფუძველი, სასარჩელო მოთხოვნების განხილვაც მხოლოდ ამ ახალი, შეცვლი-

ლი საფუძველით ხდება. ნაშრომის ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სრულყოფილ შეცვლას.

როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს სარჩელს სხვა საფუძველით, ვიდრე ამას მოითხოვს მოსარჩელე, მაშინ ამ უქანასკნელის მიერ მითითებული საფუძველი ვერ იქნება უკუგდებული და მის ადგილს ვერ დაიკავებს სასამართლოს მიერ მოყვანილი საფუძველი. სასარჩელო მოთხოვნაც ვერ იქნება განხილული მხოლოდ სასამართლოს მიერ მოყვანილი საფუძვლის მიმართ. სასამართლო მოსარჩელის მიერ მითითებულ საფუძველს ვერ დატოვებს განუხილველად. ერთადერთი, რაც სასამართლოს შეუძლია, ეს არის ის, რომ განიხილოს სარჩელი და დააკმაყოფილოს ის სხვა საფუძველით, ვიდრე ამას მოითხოვს მოსარჩელე. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის აღნიშნული უნდა იყოს თუ რომელი საფუძველით ეთქვა უარი მოსარჩელეს და რომელი საფუძველით შეიძლება სარჩელი დაკმაყოფილებული იქნეს.

ამით, ჯერ ერთი, თავიდან ავიცილებთ მოსარჩელის პროცესუალური უფლებების დარღვევას და მეორეც, მოსარჩელეს საშუალება მიეცემა გაასაჩივროს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელშიც მას უსწოროდ მიაჩნია.

ეს კი საფუძველს გვაძლევს გვაკეთოთ დასკვნა, რომ სასამართლოს უფლება აქვს დააკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნები სხვა საფუძველით, ვიდრე ამას მოითხოვს მოსარჩელე.

რაც შეეხება მეორე საკითხს, სახელდობრ, ნიშნავს თუ არა სასამართლოს მიერ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება სხვა საფუძველით, ვიდრე ამას მოსარჩელე მოითხოვს, სარჩელის საფუძვლის შეცვლას, უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული ხარისხით ეს მარ-

¹იხ. „Еженедельник Советской Юстиции“, 1928 г. № 3, стр. 85.

თლაც ნიშნავს სარჩელის საფუძვლის შეცვლას. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს მიზნად არ არის საფუძვლის ისეთი სრულყოფილი შეცვლა, რასაც ადგილი აქვს მოსარჩელის ინიციატივით სარჩელის საფუძვლის შეცვლის დროს.

ზემოაღნიშნული მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავების დროს. პროექტი არ შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ და მხოლოდ იმის მითითებით, რომ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით შეცვალოს სარჩელის საფუძველი; საკითხის ასეთ გადაწყვეტას პრაქტიკაში აუცილებლად მოყვება გაუგებრობა და არეულობა, რაც შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ სასამართლოები, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავენ, უკუაგდებენ მოსარჩელის მიერ მითითებულ სარჩელის საფუძველს და სასარჩელო მოთხოვნებს განიხილავენ იმ საფუძველით, რომელიც მათ უფრო დასაბუთებულად მიაჩნიათ. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, აუცილებელია პროექტში პირდაპირ იქნეს მითითებული შემდეგი: შეცვლის რა თავისი ინიციატივით სარჩელის საფუძველს, სასამართლომ უნდა განიხილოს აგრეთვე მოსარჩელის მიერ მითითებული საფუძველი. გადაწყვეტილებაში სასამართლომ უნდა აღნიშნოს, თუ რომელი საფუძველით ეთქვა აუარი სარჩელზე მოსარჩელეს და რომელი საფუძველით შეიძლება სარჩელი დაკმაყოფილებული იქნეს.

2. სასამართლოს უფლება — შეცვალოს სარჩელის საგანი მოსარჩელის თანხმობის გარეშე. იმისათვის, რომ სწორად გადავჭრათ საკითხი, შეუძლია თუ არა სასამართლოს შეცვალოს სარჩელის საგანი მოსარჩელის თანხმობის გარეშე, საჭიროა აღვნიშნოთ თუ რა არის სარჩელის საგანი.

საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა

იქნეს მოსარჩელის მოთხოვნა, ე. ი. ის, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე.

სწორედ ამ მოთხოვნის შინაარსი წარმოადგენს სარჩელის საგანს.

ზოგიერთი საბჭოთა პროცესუალისტი თვალსაზრისით სარჩელის საგანს წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობა და ის ვალდებულება, რომლის შესრულებასაც მოითხოვს მოსარჩელე.

ამ საკითხზე არსებობს აგრეთვე სხვადასხვაგვარი შეხედულება, მაგრამ ამ წერილში მათი მოყვანა და დაწვრილებით განხილვა აუცილებელი არ არის.

ერთი უდაოა, სარჩელის საგანი — ეს სარჩელის ისეთი ელემენტია, სადაც თავის ასახვას პოულობს მოსარჩელის მოთხოვნა.

სარჩელი — ეს არის სუბიექტური სამოქალაქო უფლების დაცვის საშუალება. მაშასადამე, სარჩელის აღძვრის აუცილებლობა იქმნება მაშინ, როდესაც ეს უფლება დარღვეულია (სარჩელებში მიკუთვნების შესახებ) ან ის სადაოდაა გამხდარი (სარჩელების ცნობის შესახებ).

სარჩელის აღძვრის დროს სარჩელის საგანში მოსარჩელემ ყოველთვის უნდა მიუთითოს, თუ მისი რომელი უფლებაა დარღვეული, ან სადაოდ გამხდარი და ვის მიერ.

დავუშვათ, რომ მოსარჩელე სარჩელის საგანში მიუთითებს, რომ მას პირადი საკუთრების უფლებით ეკუთვნის შენობა, სადაც, ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ერთი ოთახი უკავია მოპასუხეს. მოპასუხე მას უმტკიცებს, რომ მის მიერ დაკავებულ ოთახზე მოსარჩელეს არ აქვს საკუთრების უფლება, ამის გამო მოსარჩელე მოითხოვს, რომ სასამართლომ ცნოს მისი საკუთრების უფლება ამ ოთახზე.

სასამართლომ მოსარჩელის თანხმობის გარეშე შეცვალა სარჩელის საგანი და ნაცვლად სარჩელის საკუთრების უფლების ცნობის შესახებ, განიხილა

სარჩელი ქირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ, თუმცა ამ ხელშეკრულების ბათილად ცნობა სრულებითაც არ სურს მოსარჩელეს, მაშასადამე, მოსარჩელე მოითხოვს გარკვეული უფლების დაცვას, სასამართლო კი იცავს მის სხვა უფლებას.

სწორია თუ არა სასამართლოს ასეთი მოქმედება? რა თქმა უნდა არ არის სწორი.

სარჩელის საგანი — ეს არის მოსარჩელის უფლება, რომლის დაცვასაც ის მოითხოვს.

სასამართლოს მიერ მოსარჩელის თანხმობის გარეშე სარჩელის საგნის შეცვლა ნიშნავს უფლების დაცვას, რაც მოსარჩელეს არ უთხოვია. ეს კი არღვევს დისპოზიტიურობის პრინციპს.

იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლომ შეცვალა სარჩელის საგანი. ასეთი პრაქტიკა სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ არასწორად სცნო!

აქედან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: სასამართლოს არ შეუძლია შეცვალოს სარჩელის საგანი. პრაქტიკაში ამ საკითხის ერთგვარად გადაწყვეტის მიზნით სასურველი იქნება საპროცესო კოდექსის პროექტში პირდაპირ იქნეს მითითებული, რომ სასამართლოს არა აქვს უფლება შეცვალოს სარჩელის საგანი.

1 იხ. Судебная практика Верховного Суда СССР, 1954 г. № 4, стр. 47 и № 5, стр. 45-46.



როგორ ვახორციელებთ სახალხო სასამართლოს მუშაობის გაკეთებას

ა. იოზიძე

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ დასახა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის. ყრილობამ მიუთითა, რომ მრავალი ფუნქცია, რომელსაც ამჟამად სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ, თანდათან უნდა გადავიდეს საზოგადოებრიობის გამგებლობაში, უნდა ამაღლდეს საზოგადოებრიობის როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, გატარდეს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის სწორი პოლიტიკა, სამართლიანი და თანაზომიერი სასჯელის შეფარდების წესი.

ამ მითითებათა განხორციელებისათვის ქალაქ ქუთაისის სახალხო სასამართლომ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი როლის გაძლიერებას, სასამართლო პროცესები ეწყობა საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და დამცველების აქტიური მონაწილეობით.

ანგარიში ეწევა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დამნაშავეთა სამუშაო ადგილიდან მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივების შუამდგომლობებს, რათა მსჯავრდადებულნი გადაეცნენ მათ პირობით აღზრდისა და გამოსწორებისათვის.

უკანასკნელ ხანებში საზოგადოებრივი

ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების აქტიური მონაწილეობით განხილული იქნა 12 საქმე, მოეწყო 18 საჩვენებელი პროცესი, შუამდგომლობათა საფუძველზე ქალაქის საწარმოო-დაწესებულებათა კოლექტივებს აღსაზრდელად გადაეცა 11 პირობით მსჯავრდადებული პირი.

სასამართლო პროცესებზე საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების მონაწილეობა ფაქტიურად დაიწყო ახალი საკავშირო კანონების მიღების შემდეგ, უკვე მიღებული გამოცდილება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ასეთი პროცესების ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებათა თავიდან აცილებისა და სხვა ისეთი მოქმედების აღმოფხვრისათვის, რაც ზიანს აყენებს საზოგადოებას.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო პროცესებზე საზოგადოებრივი ბრალმდებელთა და დამცველთა მონაწილეობას, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

ამას წინათ სახალხო სასამართლომ განიხილა მოქალაქე ა. გაგრიშჩაკის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ტექნიკური უშიშროების წესების დარღვევა. პროცესს ესწრებოდა საზოგადოებრივი დამცველი — ქუთაისის „წყალკანალტრესტის“ მუშაკი მ. ნუცუბიძე, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო საქმის განხილვაში. მან ვრცლად ილაპარაკა სამართალში

მიცემულის დადებით და უარყოფით მხარეებზე, ყოველივე ამან ხელი შეუწყო სასამართლოს იმაში, რომ მ. გავრიშჩაკის მიმართ გამოეტანა ობიექტური განაჩენი. ასევე, ამ რამდენიმე ხნის წინათ სასამართლომ განიხილა პ. ჩხოზაძისა და ე. ბერძენიძის საქმე, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულების მეორე მუხლით. პროცესზე, როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებელი, გამოვიდა პედაგოგი ნ. კვიციარიძე. სასამართლო პროცესში მ. კვიციარიძის აქტიურმა და ობიექტურმა მონაწილეობამ ხელი შეუწყო სახალხო სასამართლოს გამოეტანა სწორი განაჩენი. სასამართლო პროცესზე მისმა გამოსვლამ საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები აძლიერებენ მუშაობას, რათა იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული, ამოუდგენ მხარში, აიყვანონ ისინი თავდებში და იკისრონ მათი აღზრდა. ფაქტები ცხადყოფენ, რომ ასეთი ზრუნვა და მხარდაჭერა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს დამნაშავე პირების გამოსწორებაზე.

საკამომიქებლო ორგანოებმა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს საკონსერვო ქარხნის მუშა მ. ბაღდავაძე, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცენა მოქალაქე ბაღათურიას. საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა გაითვალისწინა, რომ მ. ბაღდავაძე სხვა დროს შემჩნეული არ ყოფილა ცუდ საქმიანობაში, რომ დანაშაული მას ჩადენილი ქონდა უეცარი აღფლავების ნიადაგზე და აღჭრა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე, რომლითაც ითხოვეს მ. ბაღდავაძის თავდებში აყვანა. სასამართლომ დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა, მ. ბაღდავაძე ამჟამად ცდილობს პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომით გამოისყიდოს ჩადენილი დანაშაული.

ყოველივე რაც ქუთაისის სახალხო სასამართლომ ჩაატარა მართლმსაჯულების განმტკიცებისათვის, მხოლოდ საქმის და-

საწყისია და სრულიადაც არაა შეწყვეტილი. საჭიროა მეტი მონდომება და ინიციატივა ახალი ამოცანების შესაბამისი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

პარტიის XXI ყრილობის მითითებათა საფუძველზე საგრძნობლად გაფართოვდა ამხანაგური სასამართლოების ფუნქციები და მნიშვნელობა. მათ უფლება მიენიჭათ განიხილონ არა მარტო საწარმოო ხასიათის, არამედ, აგრეთვე, თვითეული მუშაკის საყოფაცხოვრებო და ზნეობრივი ხასიათის საკითხებიც.

ამასთან დაკავშირებით სასამართლო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა გადაჭრით გააძლიერონ დახმარება ამხანაგური სასამართლოებისადმი.

აუცილებელია ამხანაგური სასამართლოების შემადგენლობაში არჩეულ პირებს ვასწავლოთ, განვუმარტოთ სხდომის მომზადებისა და ჩატარების, საქმის გაფორმების წესი.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანები აქვთ დაკისრებული ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან დიდი უფლებით. ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლო აქტიურად ეხმარება სახალხო რაზმეულებს მუშაობაში, დროულად ახდენს რეაგირებას მათ მიერ გამოვლინებულ დარღვევებზე. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა კიდევ მეტი დახმარება აღმოვუჩინოთ სახალხო რაზმეულებს, განვაზოგადოთ მათი მუშაობის გამოცდილება.

პარტიის მიერ დასახული ახალი ამოცანები გვავალებს, რომ ერთიდან არ გადავარდეთ მეორე უკიდურესობაში ე. ი. ხელი არ ავიდოთ იმათ დასჯაზე, ვინც მძიმე დანაშაული ჩაიდინა. საჭიროა შეურიგებელი და გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ გამოუსწორებელ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ, იმათ მიმართ, ვისაც არ სურს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში და მკაცრად დავსაჯოთ ისინი. ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია,

მშრომელთა კოლექტივი, საუბნო-სამეთვალყურეო კომიტეტი ივიწყებს ამ მეტად საყურადღებო მითითებას და სახალხო სასამართლოს წინაშე შუამდგომლობენ მათ გადაეცეთ აღსაზრდელად და გამოსასწორებლად ისეთი პიროვნებები, რომლებსაც ჩადენილი აქვთ სოციალურად საშიში დანაშაული. ასე მაგალითად, ვინმე ზ. ლოდელიანმა, რომელიც მძლოლად მუშაობდა ქ. ქუთაისის სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორაში, 1959 წლის 20 აგვისტოს დაარღვია მოძრაობის წესები, ავტომანქანა გადაადგომდინარე რიონში, რის შედეგად ერთ-ერთი მოქალაქე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. მიუხედავად ცუდი წარსულისა და ამ მძიმე დანაშაულისა, სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორამ ვ. ლოდელიანს გასული წლის 16 ოქტომბერს აღუძრა შუამდგომლობა და მოითხოვა მისი თავდებქვეშ გადაცემა. შუამდგომლობას ხელი მოაწერა კანტორის უფროსმა, პარტორგანიზაციის მდივანმა, ადგილკომის თავმჯდომარემ. სახალხო სასამართლომ განიხილა ვ. ლოდელიანის ბრალდების საქმე. სასამართლომ სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის შუამდგომლობა როგორც უსაფუძვლო, არ გაიზიარა და ვ. ლოდელიანს მიუსაჯა 6 წლით პატიმრობა. ამასთან, სასჯელის მოხდის შემდეგ, სამი წლის ვადით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება.

მოვიყვანთ მეორე მაგალითს: 1959 წლის 30 ოქტომბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ პატრიკეთის კოლმეურნეობის სატვირთო ავტომანქანის მძლოლი გ. გოდუაძე მოურიგდა შ. და ს. გვიანქვეს, რომ მათ გადაუტანდა ყურძენს სამტრედიის ქუთაისის ქარხანაში. მ. გოდუაძე გაიტაცა პირადი გამორჩენის სურვილმა და სავსებით არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ შესაკეთებელი იყო მანქანა, არ მუშაობდა მუხრუჭები, არ ქონდა სინათლეები, ამავე დროს მ. გოდუაძეს ჩამორთმეული ქონდა მართვის უფლება. მიუხედავად ამისა, მან მანც გამოიყვანა მანქანა, დატვირთა ყურძენით და წამოვიდა ქუთაისში. გზაზე მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად მანქანა დააჯახა მოქალაქე მოსეშვილს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. მძლოლი მ. გოდუაძე კი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა, იგი შემდეგ იქნა დაკავებული.

მიუხედავად ასეთი სერიოზული დანაშაულისა პატრიკეთის კოლმეურნეობის საერთო კრებამ მანც შესაძლებლად მიიჩნია სახალხო სასამართლოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა და ეთხოვა მ. გოდუაძის საქმის გადაცემა კოლმეურნეობისათვის მის მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიებების გასატარებლად. სასამართლომ აშკარად დაუსაბუთებლად ცნო კოლმეურნეობის შუამდგომლობა და გოდუაძეს 5 წლის ვადით პატიმრობა მიუსაჯა. ამასთან 3 წლით ჩამოართვა მანქანის მართვის უფლება.

აღნიშნული ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ შუამდგომლობათა აღძვრის საქმეს, რათა მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს არ მიეცეთ საშუალება თავი დააღწიონ კანონიერ სასჯელს.

შემდგომშიც მკაცრად უნდა დაისაჯონ გამოუსწორებელი ხულიგნები, ქურდები, სპეკულანტები და სხვა ბოროტმოქმედნი. ამ დღეებში სასამართლომ განიხილა გამოუსწორებელი ქურდ-რეციდივისტის ო. ტ. ძნელაძის საქმე. ო. ძნელაძე 32 წლისაა, მას არასოდეს არ უმუშავნია, ხოლო ქურდობისათვის უკვე 4-ჯერ არის გასამართლებული. უკანასკნელად იგი გასამართლებულ იქნა 1956 წელს, მიესაჯა 6 წლით პატიმრობა. პატიმრობიდან 1959 წლის 5 აგვისტოს ვადაზე ადრე იქნა გათავისუფლებული. ნაცვლად იმისა, რომ ო. ძნელაძეს სათანადო დასკვნები გაეკეთებინა წარსული-

დან, ხელი მოეკიდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის, მან კვლავ მიჰყო ხელი ქურდობას. 1959 წლის 16 ოქტომბერს ო. ძნელაძემ ტროლეიბუსში მოქ. ქ-ს ჯიბიდან ამოაცალა 300 მანეთი. იგი ადგილზე დააკავეს, მაგრამ თავდებში გაუშვეს. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი გამოუსწორებელი რეციდივისტის, როგორიც ო. ძნელაძეა, თავდებში გაშვება შეცდომა იყო. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ო. ძნელაძემ კვლავ ჩაიდინა ბოროტმოქმედება. 1959 წლის 5 დეკემბერს მოქალაქე ტ-ს გაუხსნა საფულე, რომელშიც იყო 1.800 მანეთი და შეეცადა იმის მოპარვას, მაგრამ იგი დაკავებულ იქნა შემთხვევის ადგილზე. გამოუსწორებელ ქურდს სასამართლომ 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ზოგიერთ შემთხვევაში არღვევენ სახელმძღვანელო მითითებებს და ერთპიროვნული მიმართვის სახით სასამართლოში გზავნიან შუამდგომლობებს დამნაშავე პირების საქმის კოლექტივზე გადაცემის შესახებ, ეს მაშინ, როცა მათ ასეთი უფლება არა აქვთ. არსებული წესის მიხედვით საკითხი განხილულ უნდა იქნას მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, მათვე უნდა დაადგინონ და გადაწყვიტონ შუამდგომლობის აღძვრის მიზანშეწონილობის საკითხი, რის შემდეგ უნდა გაფორმდეს ოქმი, რასაც ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე და მდივანი. სამწუხაროთ ამ წესს ყოველთვის როდი იცავენ.

1959 წლის 25 სექტემბერს არტელ «დამკვერელის» გამგეობის თავმჯდომარემ ე. გურეშიძემ სახალხო სასამართლოს გადმოუგზავნა შუამდგომლობა, რომლითაც მოითხოვდა, რომ სამკერვალო საამქროს ყოფილ გამგეს გ. შიშველაშვილს

შეფარდებოდა ისეთი სასჯელი, რაც საპატიმრობასთან არ იქნებოდა დაკავშირებული. სასამართლოში გამოგზავნილ შუამდგომლობას ხელს აწერდა მხოლოდ გურეშიძე. შუამდგომლობა, როგორც უსაფუძვლო, სასამართლომ არ მიიღო. ასევე არასწორად მოიქცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიური სამმართველოს მუშათა მმართველის განყოფილების უფროსი ქუთათელაძე და პარტორგანიზაციის მდივანი ზარიძე, რომლებმაც ერთპიროვნული ხელმოწერით გამოგზავნეს სახალხო სასამართლოში შუამდგომლობა ნ. ქარსელაძის მიმართ და მოითხოვეს აღნიშნულ პირს შეფარდებოდა ისეთი სასჯელი, რაც პატიმრობასთან არ იქნებოდა დაკავშირებული.

საზოგადოებრივი ბრალმდებლის ინსტიტუტი ჩვენში საკმაო ხანია რაც არსებობს, ხოლო 1958 წლის 25 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეორე სესიამ მიიღო კანონი სსრ კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ, რომლის მე-15 მუხლში განმარტებულია საზოგადოებრივი დამცველის ფუნქცია, რომელიც სასამართლოში შეუძლიათ განახორციელონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. საჭირო იქნება შემდგომში მეტი სერიოზულობით მოგვეკიდოთ საზოგადოებრივი ბრალმდებლების შერჩევის საქმეს.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ უმოკლეს დროში აღმოფხვრან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ მთელი საქმიანობის წარმართვა ახალი ამოცანების შესაბამისად.

სოციალისტური კანონიკების განმკვიცხვის აუსილახელი პირობა

სკკ XXI ყრილობამ სასამართლოს, პროკურატურის, რათა დამრღვევნი გადა-
ახალი დიდი ამოცანები მილიციის და საზოგადოებრივი ცემულ იქნენ საზოგადო-
დასახა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ებრძვ ორგანიზაციებისა
ბის როლის გაძლიერები- მუშაობისათვის. და მშრომელთა კოლექ-
სათვის დანაშაულობათა ტივების შუამდგომლობის
წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყრილობის მითითებიდან გამომდინარე, პრო-
კურატურის ორგანოები მოწოდებული არიან
მტკიცედ დაიცვან სოციალისტური კანონიერე-
ბა, უფრო სრულყოფილად გამოიყენონ დარწ-
მუნებისა და გამაფრთხილებელი მეთოდები სა-
ზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა და დამ-
ნაშაუვთა მიმართ.


ჩვენს ქვეყანაში სისხლის სამართლის რებრე-
სია არასოდეს არ ყოფილა დანაშაულთან ბრძო-
ლის მთავარი საშუალება. ამ საქმეში მეტად
მნიშვნელოვანია აღმზრდელობითი, გამაფრთხი-
ლებელი ზომები, რომელთა განხორციელება
ხელს უწყობს ადამიანებს ღრმად შეიგნონ თა-
ვიანთი საზოგადოებრივი მოვალეობა, შეასრუ-
ლონ სოციალისტური საერთო ცხოვრების წე-
სები.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი თა-
ვის 1959 წლის 20 ივლისის ბრძანებაში „პრო-
კურატურის ორგანოების პრაქტიკის შესახებ
სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემისა
და სისხლის სამართლის სასჯელის ზომების
სწორად შეფარდებაზე ზედამხედველობის გან-
ხორციელების დარგში“, პირდაპირ მიუთითებს,
რომ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება
უნდა სწარმოებდეს საზოგადოებრიობაზე დაყ-
რდნობით, მისი აქტიური მონაწილეობით დანა-
შაულის გახსნაში, დამნაშაუვთა მხილებისა და
დანაშაულის თავიდან აცილებაში. გამოძიების
მსვლელობაში დაწვრილებით უნდა იქნეს გა-
მორკვეული ყველა გარემოება, რაც დამნაშაუვ
პიროვნებას ახასიათებს, მის წარსულ საქმიანო-
ბას, დამოკიდებულებას სამუშაოსადმი, ოჯახურ
მდგომარეობას, მის ყოფაცხოვრებას, შესაძლუ-
ბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და აგ-
რეთვე მიზეზებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს
დანაშაულის ჩადენას. ბრძანება ითვალისწინებს,
ისეთ დანაშაულებრივ ქმედობაზე, რაც არ წარ-
მოადგენს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან
საშიშროებას, ფართოდ იქნეს გამოყენებული
საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი,

საფუძველზე კოლექტივების აღსაზრდელად.

ხაშურის რაიპროკურატურაში სერიოზული
ყურადღება ექცევა გამოძიების სრულყოფილად
ჩატარების საქმეს. გამოძიების დროს აცილებუ-
ლია უსაფუძველო დაპატიმრებების შემთხვევები.
მთლიანად ვარკვევთ ჩადენილი დანაშაულის თი-
თოეული მონაწილის როლს, აგრეთვე ყველა იმ
შემამსუბუქებელ, დამამძიმებელ გარემოებებს,
რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონის
მოთხოვნის შესაბამისი სასჯელის შეფარდების
დროს. ყოველივე ამის გამო ისევე, როგორც სა-
ერთოდ, ხაშურის რაიონშიც დანაშაულებრივი
მოქმედებანი მცირდება, მაგრამ სამწუხაროდ
რაიონში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთ დანაშა-
ულებრივ მოქმედებებს როგორცაა: გაფლანგვა-
მტაცებლობა, ხულიგნობა, მკვლელობა, გაუპა-
ტიურება, მოქალაქეთა პირადი საკუთრების და-
ტაცება, ავტოავარიები და სხვა.

ხაშურის პროკურატურისა და სასამართლო
ორგანოები ძირითადად სწორად წყვეტენ მათ
წარმოებაში მყოფ საქმეებს, მაგრამ ჩვენს საქ-
მიანობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვა-
ნებებს. მაგალითად, გასულ წელს პროკურატუ-
რას, დამთავრებულ საქმეებიდან დამატებით გა-
მოძიებაზე საქმეთა არახარისხვნად გამოძიების
გამო, დაუბრუნდა ოთხი საქმე. საქმეთა დამატე-
ბით გამოძიებაში დაბრუნების გამო დაირღვა
კანონით დაწესებული ორთვიანი საგამომძიებ-
ლო ვადა. ამის მიზეზი არის ისიც, რომ სუსტია
პროკურატურისა და მილიციის ერთობლივი მო-
ქმედება დანაშაულთა გახსნის საქმეში. ამით
იხსნება, რომ პროკურატურასა და მილიციაზე
გაუხსნელად ირიცხება გასული წლის ჩადენილი
ქონების დატაცების საქმეები. მაგალითად: სო-
ფელ ქვიშხეთის მალაზის გატეხვის ორი შემთ-
ხვევა, საიდანაც ბოროტმოქმედებმა დაიტაცეს
189.000 მანეთის საქონელი, რაიკავშირის საწ-
ყობის გატეხვის საქმე, საიდანაც დაიტაცეს
45.000 მანეთის ღირებული საქონელი, გომისა
და ოსიაურის მალაზიების გატეხვის საქმე, სა-
იდანაც დატაცებულია 71.000 მანეთის საქონე-
ლი. ავტოავარიის სამი გაუხსნელი შემთხვევა,



რომლის შედეგად სამი მოქალაქე გარდაიცვალა. მართალია, საქმის გასწავლისა და დამნაშავეის აღმოჩენის გარეშე გატარებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი, მაგრამ შედეგი ჯერ არ არის, დამნაშავე პირები დაუსჯელნი არიან.

ჩვენი მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ სრულყოფილ ზედამხედველობას ვერ ვუწევთ რაიმილიციას და სასამართლოს, რის გამოც ამ ორგანოებში ადგილი აქვს საბჭოთა კანონიერების დარღვევის შემთხვევებს. მაგალითად: მილიციის რაიონულ განყოფილებაში ზოგჯერ თვობით ქიანურდება მათ წარმოებაში მყოფი საქმეების დამთავრება. დავასახელებთ ზოგიერთ მაგალითს: 1958 წლის 7 დეკემბერს, ხაშურის საკოლმეურნეო ბაზარში მოქალაქე მეღვინე გაბრიელის-ძე გაბრაციაანმა და ფარნა ავეტის-ძე გაბრაციაანმა ჩაიდინეს ხულიგნობა, რის შესახებ შედგენილ იქნა აქტი და საქმე დაეწერა უბნის რწმუნებულ ბლიაძეს, რომელმაც საქმის დამთავრება „მოახერხა“ მხოლოდ 1959 წლის სექტემბერში ე. ი. 10 თვის შემდეგ, 1959 წლის 30 იანვარს დააკვეს მოქალაქე ივანე ილიას-ძე სუხიაშვილი, რომელსაც 31 საოჯახო ცოცხი აღმოაჩინდა. აღნიშნული მასალების „შესწავლას“ მილიციის გამოძიებელი განჯუღაშოვი ექვს თვეს მოუწდა.

საქმეთა განხილვის უსაფუძვლო ვაჭიანურების ფაქტებს ადგილი აქვს სახალხო სასამართლოში. მოსამართლე ივანისელმა 7-8 თვეს ვაჭიანურა მსხვილი დანაშაულის ჩამდენის აღუქსანდრე ხაბელაშვილის საქმის განხილვა. მანვე ვაჭიანურა აკაკი პარმენის-ძე გრიგალაშვილის და სხვათა საქმეების განხილვა.

სახალხო სასამართლოში ზოგჯერ ივიწყებენ მკაცრი პასუხისმგებლობის ვატარებას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისა და საშიში რეციდივისტებისათვის. მაგალითად სახალხო მოსამართლე ივანისელმა არასწორად შეუცვალა პატიმრობა თავდებობით და შეაჩერა საქმე თ. ხონელიძის მიმართ, რომელმაც ვასული წლის 28 ივნისს ავტომაქნანით მძიმედ დაზიანა მოქალაქე სტეფანაძე. სახალხო მოსამართლე ივანისელმა საქმის შეჩერებას საფუძვლად დაუდო ის, რომ დაზარალებული სტეფანაძე მძიმე მდგომარეობაში იყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო დროულად არ ავზავენის განაჩენებს შრომა-გასწორებითი სამუშაოების ხაშურის ინსპექციაში. წარმოება-დაწყებულულებებში კი სრულიად არ იგზავნება განაჩენის ასლები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ვასამართლებულ იქნენ და თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდათ.

სოციალისტური კანონიერების დარღვევის ცალკეული ფაქტები იმის შედეგითაა, რომ სა-


ზოგადობრივი ორგანიზაციები და მუშაკთა კოლექტივები ჯერ კიდევ ფართოდ არ მონაწილეობენ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სასამართლოს, მილიციის, იურიდიული კონსულტაციის მუშაკები მოსახლეობაში არადამაქმყოფილებლად ეწევიან სოციალისტური კანონიერების პროპაგანდას.

საბჭოთა კანონების ცხოვრებაში ვატარებისთვის საერთო ზედამხედველობის წესით სხვადასხვა საკითხებზე ხშირად ვატარებთ ორგანიზაციების შემოწმებებს. შემოწმების შედეგად ვასულ წელს დისციპლინარული სასჯელი დაედო 24 კაცს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე აღძრა ოთხი მიმართ. შეტანილ იქნა 15 პროტესტი უკანონო ვადაწყვეტილებაზე. ასევე, კანონის დარღვევებზე რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში შეტანილ იქნა 13 წარდგინება, რაც განხილულ იქნა და დაისახა ღონისძიებანი მუშაობის ვარდაქმნისათვის.

რაიონის კოლმეურნეობებში ხშირია უკანონო დადგენილებების ვამოტანის შემთხვევები. ასეთი დადგენილებანი ვამოიტანეს ქემფრის, წაღვლის სოფსაბჭომ, ნაცარგორის, მიწობის, ოსიაურის, ტკოცის კოლმეურნეობებმა. სოფელ ტკოცის კოლმეურნეობის ვამგეობამ ასეთი შინაარსის დადგენილება ვამოიტანა: „ვიწინადან ანიჩკა კანთელაშვილის ბიჭმა ვიორგი კანთელაშვილმა დაჭერილი ძროხა მოპარა მეველეს. ამისათვის დაეწეროს ანიჩკა კანთელაშვილს 50 მანეთი“ (?), სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობა კი უფრო შორს წავიდა და ასეთი დადგენილება ვამოიტანა: „მძღოლი ლერი კორკოტაძე დაჭარიმდეს ასი მანეთით, ვინაიდან მანქანა თვითნებურად წაიყვანა“, ამავე კოლმეურნეობის ვამგეობამ მიიღო ასეთი დადგენილება: „ორი ცალი ავტომაქნანის საბურავი შეძენილი იქნეს 2.700 მანეთად“. სინტერესოა რომელი ფასებით ინელმძღვანელა კოლმეურნეობის ვამგეობამ, როდესაც ვამოიტანა დადგენილება მოპარული საბურავების სპეკულანტურ ფასებში შესყიდვაზე.

სახელმწიფო ქონების დაცვა-ვაფლანგვას ხელს უწყობს რევიზიების დავიანგებით და უხარისხით ჩატარება, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ხაშურის საეპრო ორგანიზაციების სარევიზიო ჯგუფის მიერ, ასე ვამგალითად: გვგვიო ვათვალისწინებულები რევიზიები არ ჩატარებულა გომის, სურამის, ხაშურის სოფლის კოპერატივებში, საქვაპრობის ხაშურის ვანყოფილებაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს პატერიალურად პასუხსავე თანამდებობაზე სანდო, კეთილსინდისიერი პირების შერჩევის საქმეს, ვაგრამ ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკთა წყარუების შედე-



გად მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობაზე კვლავ მუშაობენ სახელგატეხილი ადამიანები, რომლებიც წინათ ნამყოფი იყვნენ სასამართლო პასუხისგებაში სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისა ან სავაჭრო ფასების დამახინჯებისათვის. ასე, მაგალითად: 1959 წლის იანვარში რაიკავშირის საატესტატო კომისიამ ნასამართლობის გამო ფერე გაბრიელის-ძე დაეარაშვილი არ დაამტკიცა სურამის სოფლის კოოპერატივის საწყობის გამგედ. ცოტა ხნის შემდეგ კი ეს პირი უკეთეს ადგილზე — სურამის კურორტექპრობის სამრეწველო საქონლის საწყობის გამგედ დანიშნეს. რაიკავშირმა სამსახურიდან გაათავისუფლა მოქ. ბითაძე ნასამართლობის გამო, ცოტა ხნის შემდეგ საქვაჭრობის ხაშურის განყოფილებას მმართველმა იგი დანიშნა ერთ-ერთ

თი დიდი მალაჩის ხელმძღვანელად ქალაქის ცენტრში.

ხაშურის რაიკავშირის სისტემაში ახლაც მუშაობენ ადრე სამართალში მყოფი პირები, რომლებიც განაგრძობენ სავაჭრო წესების დარღვევას. ესენი არიან: კრიხელი, კოყიაშვილი, ჯანაშვილი, ბინიაშვილი, ჯინჯიხაშვილი და სხვები.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლა უნდა წარმოებდეს საბჭოთა. სამეურნეო აპარატის ყველა რგოლში, კოლბერაიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

საბჭოთა სახელმწიფოს კანონმდებლობის განვითარების ახალი ეტაპი უდიდეს როლს შეასრულებს სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

მ. გვლახვილი

ხაშურის რაიონის პროკურორი

დავიწყეთ სასამართლოს კაცობა დაღვანილებათა გასაჩივრების ნუსხები

ბ. დვდარიანი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

სამოქალაქო საქმეთა განხილვის და გადაწყვეტის პროცესში, საქმის ფაქტიურ გარემოებათა სათანადო გამორკვევისა და ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, სასამართლოს გამოაქვს მთელი რიგი დადგენილებანი: საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება, მოწმეთა დაბარება, ექსპერტის დანიშვნა, საქმეზე დამამტკიცებელი საბუთების დართვა და სხვა. ამიტომ, ბუნებრივია, მიზანშეწონილი არ იქნებოდა კანონით დაშვებულიყო სასამართლოს ყოველი სახის დადგენილებათა დაუყოვნებლივ, აკასაციო საჩივრებისაგან დამოუკიდებლად გასაჩივრების უფლება, რაც გამოიწვევდა საქმის განხილვა-გადაწყვეტის გაჭიანურებას და შემდგომი სასამართლო ინსტანციის გადატვირთვას ამგვარი საქმეებით.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სასამართლოს საპროცესო კოდექსის 248 მუხლი ნათლად განმარტავს სასამართლოს ცალკეულ დადგენილებათა გასაჩივრების წესს. ამ მუხლის მიხედვით, სასამართლო დადგენილებანი, მათი გასაჩივრების წესის მიხედვით, სამ ძირითად კატეგორიად განიყოფება. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ის დადგენილებანი, რომლებიც საერთოდ არ გასაჩივრდება, რის შესახებაც პირდაპირაა მითითებული კანონში (საქ. სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 54 მუხლის მეორე ნაწილი და სხვა). მეორე კატეგორიას მიეკუთვნება ის დადგენილებანი, რომლებიც შეიძლება გასაჩივრებულ იქნან სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრისაგან და-



მოუკიდებლად, ცალკე, კერძო საჩივრის შეტანის გზით. ასეთი სახის კერძო საჩივრები შეიძლება შეტანილ იქნას მოსამართლის ერთპიროვნულ, ან სასამართლოს კოლეგიალურ დადგენილებებზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ამის შესახებ სპეციალურად მითითებულია კანონში (საქ. სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 35, 49, 95, 196, 317 და სხვა მუხლებით).

აღნიშნული შემთხვევების გარდა, ასეთი სახის კერძო საჩივრები შეიძლება შეტანილ იქნას სასამართლოს იმ დადგენილებებზედაც, რომლებითაც იზღუდება ან ისპობა საქმის მსვლელობის შემდგომი შესაძლებლობა, ან, რომლებიც გამოტანილია გადაწყვეტილების დადგენის შემდეგ. მაგალითად: სასამართლოს დადგენილება სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, საქმის წარმოებით მოსპობა მხარეთა შერიგების გამო (აგრეთვე საქ. სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 64, 85, 196 მუხლებით გათვალისწინებული დადგენილებანი და სხვა). მესამე კატეგორიას მიეკუთვნება ყველა დანარჩენი კერძო დადგენილებანი, რომლებიც შეეხება საქმის გარჩევისათვის მოსამზადებელ საკითხებს (დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება, მხარეების თუ მესამე პირის ჩაბმა და სხვა საკითხები). სასამართლოს აღნიშნული ხასიათის დადგენილებანი დამოუკიდებელი, კერძო საჩივრის შეტანით არ ვასაჩივრდება და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანისას მხარეს შეუძლია მიუთითოს კერძო დადგენილების უსწორობაზე, როგორც გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძველზე. მაგალითად საკასაციო საჩივარში გადაწყვეტილების ერთ-ერთ საფუძველად შეიძლება მითითებული იყოს სასამართლოს კერძო დადგენილების უსწორობაზე, რითაც უარი ეთქვა მხარის შუამდგომლობას ჩატარებულიყო ადგი-

ლობრივი დათვლიერება, რომ განიხილეს სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი აღმოჩნდა.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში უხეშად ირღვევა სასამართლოს დადგენილებათა გასაჩივრების კანონით დადგენილი წესი და მხარეთა მიერ კერძო საჩივრების შეტანით საჩივრდება სასამართლოს ისეთი კერძო დადგენილებანი, რაც დაკავშირებულია საქმის მომზადებასთან და საკასაციო საჩივრისაგან დამოუკიდებლად მასზე საჩივრის შეტანა კანონით არ არის დაშვებული, სასამართლოები კი ლებულობენ და მათ საქმეებთან ერთად გზავნიან ზემდგომ ინსტანციაში კერძო საჩივრის წესით განსახილველად. მაგალითად: ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 28 მარტის დადგენილებით ზ. ხელაშვილისა და ბ. ლლონტის მიერ საბინაო სამშენებლო ამხანაგობა „შრომის“ მიმართ ბინის ფართობის შესახებ აღძრული სარჩელის განხილვასთან დაკავშირებით, საქმე, დამატებითი დამამტკიცებელი საბუთების შეკრებისა და მოწმეთა გამოწვევის მიზნით, განსახილველად გადასდო სხვა დროისათვის.

კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ აღნიშნულ დადგენილებაზე ზ. ლ. ხელაშვილის და ბ. ა. ლლონტის კერძო საჩივრით საქმე გადაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიას, რომელმაც 1960 წლის 8 აპრილის დადგენილებით სავსებით კანონიერად საჩივარი დატოვა განუხილველი და საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს.

ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ ბინის ფართობის გამოყოფის შესახებ დ. ზაუტაშვილის მიერ ზ. ვ. გრძელიშვილის მიმართ აღძრული სარჩელის განხილვასთან დაკავშირებით იმის დასადგენად, სადაო ბინა აგებულია თუ არა ნებართვით, მისწერა ქალაქის საბჭოს ტეხნოლოგიის ბიუროს და 1960 წლის 25 თებერვლის დადგენილებით საქმე მოსასმენად გადადო სხვა დროისათვის.

ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ აღნიშნულ დადგენილებაზე დ. ზუტაშვილის კერძო საჩივრით საქმე განსახილველად გადაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიას, რომელმაც 1960 წლის 5 აპრილის დადგენილებით საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს კერძო საჩივრის განსახილველად.

კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ მიიღო ვ. ი. ხუროშვილის კერძო საჩივარი სახალხო სასამართლოს 1959 წლის 4 სექტემბრის დადგენილებაზე, რომლითაც სამოქალაქო საქმე ნ. გელაშვილის სარჩელისა გამო ვ. ხუროშვილის მიმართ ქონების გაყოფის შესახებ განსახილველად გადადებული იყო სხვა დროისათვის საექსპერტო დასკვნის წარდგენამდე და საქმე განსახილველად გადაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიას, რომელმაც 1959 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს კერძო საჩივრის განხილვის გარეშე.

მაგრამ ჯერ კიდევ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც უმაღლესი სასამართლო კოლეგია ნაცვლად იმისა, რომ ასეთი სახის კერძო საჩივრებს განუხილველად ტოვებდეს, იხილავს და დადგენილების გამოტანით მსჯელობს დადგენილების მართებულობაზე, კერძო საჩივრის მოტივების გათვალისწინებით.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის

რაიონის სახალხო სასამართლომ საქმეთა გოგოლაძის სარჩელისა გამო მისირიელების მიმართ სახლზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ 1959 წლის 23 მაისის დადგენილებით გადასხვა დროისათვის, სხდომაზე მოპასუხეთა უმრავლესობის გამოუცხადებლობის გამო.

სახალხო სასამართლომ აღნიშნულ დადგენილებაზე მისირიელების კერძო საჩივრის საქმე გადაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიას, რომელმაც იმსჯელა დადგენილების მართებულობაზე კერძო საჩივარში აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით და 1959 წლის 4 ივნისის დადგენილებით სახალხო სასამართლოს დადგენილება ძალაში დასტოვა.

ასეთი ფაქტები მრავალია, ეს კი, როგორც აღნიშნეთ, იწვევს საქმის განხილვა-გადაწყვეტის გაჭიანურებას და აღნიშნული კატეგორიის საქმეებით ზემდგომი ინსტანციის გადატვირთვას. მსგავსი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით სასამართლოებმა არ უნდა მიიღონ სახალხო სასამართლოების დადგენილებებზე მხარეთა მიერ შეტანილი კერძო საჩივრები, რითაც დავიკავთ სასამართლოს კერძო დადგენილებათა გასაჩივრების კანონით დადგენილ წესებს.

ა ღ ვ ო ქ ა ზ ი ს რ ე ე ლ ი ქ ა

საკასაციო ინსტანციის წოვიერთ ნაკლოვანებათა შესახებ

ცნობილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო საქმეს იხილავს დამამტკიცებელ მახალათა უშუალო შესწავლისა და შეფასების პირობებში. საკასაციო სასამართლოს წევრები კი საქმეს ეცნობიან კოლეგიის ერთი წევრის მიერ ვაკეთებული მოხსენების საშუალებით. ამდენად კოლეგიის წევრის მიერ ვაკეთებულ მოხსენებაზე, მის ხარისხზე მნიშვნელოვნად არის დამო-

კიდებული განაჩენის, საბოლოო ჯამში კი მსჯავრდებულის ან გამართლებული მოქალაქის ბედი.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ წოვიერთ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები არ აკეთებენ საქმისათვის საჭირო მოხსენებას, თუმცა იგი საქართველოს სსრ სსსკ 400 მუხლის თანახმად სავალდებულოა.

კოლეგიის წევრი-მომხსენებელი კოლეგიის შემადგენლობას საქმის შინაარსს კი არ აცნობს, არამედ განაჩენის მოკლე შინაარსს და მოსხენებას ამთავრებს იმით, თუ რას მოითხოვს საჩივრის ან პარატეტის მომტანს. ცხადია, განაჩენის მოკლე შინაარსის გადმოცემით სასამართლო კოლეგიის დანარჩენი ორი წევრი ვერ ერკვევა საქმის არსში, ვერ აფასებს დამამტკიცებელ მასალებსა და მათ ნაკლოვანებებს. სწორედ ვერ განსაზღვრავენ შეესაბამება თუ არა დანიშნული სასჯელი დამნაშავეისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას. უკანონო განაჩენებს ხშირად უცვლელად ტოვებენ. მოვიყვანთ დამახასიათებელ მაგალითს:

გასულ წელს საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა ბრალდებულების: ცოცია შვილის, წვერიაშვილის, ბინიაშვილის და კიკო ზაშვილის საქმე, რომელთაც ბრალი ედებადათ სსკ 19-142 მუხლით. აღნიშნული საქმე განიხილა საკასაციო სასამართლომ. ჩვენ არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რამდენად სწორი იყო საქმე არსებითად, აღვნიშნავთ მხოლოდ კანონის იმ უხეშ დარღვევებს, რომლის გამოც განაჩენი უნდა გაუქმებულიყო. ა). კანონით თუ სასამართლოში მიცემულს არ უნდა დამტკიცდეს, სასამართლო თავის მხრივ ვალდებულია უზარუნველყოს სამართალიში მიცემული უფლება დაცვაზე. საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლომ ბრალდებულებს ხელწერილი ჩამოართვა, რომლითაც გააფრთხილა, რომ თუ ისინი არ აიყვანენ დამტკიცებებს, სასამართლო მათ ასეთს არ დაუნიშნავდა და საქმე მაინც გაირჩევაო. (ს. ფ. 78) ამიტომ იყო, რომ სამართალიში მიცემულმა კიკო ზაშვილმა, რომელსაც არ შეეძლო ადვოკატის აყვანა, განაცხადა, რომ მას არ სურს დამტკიცდეს. ბ). როგორც საბრალდებო დასკვნის ისე განაჩენით დადგენილ იყო, რომ ბრალდებულებმა ერთმანეთს გადააბრალებს დანაშაულის ჩადენა. საქართველოს სსკ 238 მუხლის თანახმად ასეთ შემთხვევაში ორი ბრალდებულის დაცვა ერთ ადვოკატს არ შეუძლია. მიუხედავად ამისა სასამართლოში ორ ბრალდებულს ერთი ადვოკატი იცავდა. (ს. ფ. 112). გ). სამართალიში მიცემული წვერიაშვილი დანაშაულის ჩადენისა და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის 16 წლისაც კი არ იყო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლის თანახმად პასუხს არ აგებდა სპეკულაციისათვის. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, სასამართლოში ამ საქმის განხილვისას ადგილი ქონდა კანონის უხეშ დარღვევას. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მომხსენებელმა ერთი სიტყვაც არა თქვა აღნიშნულ უკანონობაზე და კასატორთა საჩივარი განაჩენის გაუქმების შესახებ უშედეგოდ იქნა და-


ტოვებული, წვერიაშვილს კი, ტყვედ წამოიყვანა საქმე წარმოებით უნდა მოსპობილიყო, სასჯელი შეუმცირეს 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით.

ასეთი განაჩენების უცვლელად დატოვებით საკასაციო ინსტანცია ვერავითარ დახმარებას ვერ გაუწევს ქვემოთ სასამართლოებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

საკასაციო ინსტანციაში დაპყვიადრებულ პრაქტიკის მიხედვით პროკურორი უფრო ხშირად უშუალოდ არ მონაწილეობს საქმის განხილვაში და იძლევა თავის წერილობით დასკვნას განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შესახებ. მომხსენებლები რატომღაც არ აქვეყნებენ პროკურორის დასკვნას და კმაყოფილებიან იმის განცხადებით, რომ საქმეშია პროკურორის დასკვნა. განაჩენის გაუქმების ან ძალაში დატოვების მოთხოვნით. პროკურორის დასკვნის შინაარსის არ ცოდნა ზღუდავს ბრალდებულთა დაცვის უფლებას, ვინაიდან ადვოკატებმა არ იციან რა პროკურორის დასკვნის შინაარსი, მათ არ ძალუშთ თავიანთი მოთხოვნა დაუპირისპირონ პროკურორის დასკვნას და ამტკიცოს მისი უსწორობა. პროცესის მონაწილეთაგან პროკურორის დასკვნის არ ცოდნა იგავა, რომ ბრალდებულმა არ იცოდნა საბრალდებულო დასკვნის შინაარსი. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს წევრები საქმეს გასაცნობად აძლევენ ადვოკატს, საქმიდან იღებენ პროკურორის დასკვნებს. რატომ ხდება ეს?

კიდევ უარესია, როცა საქმეს ერთვის პროკურორის დასკვნა და ამის შესახებ მომხსენებელი სრულიად არაფერს ამბობს. ამ ცოტა ხნის წინათ იხილეთოდა ვეფხიშვილის. მსუქნიშვილის და სხვათა საქმე. მიუხედავად ადვოკატის თხოვნისა ეთქვა მომხსენებელს პროკურორის მოთხოვნა, იგი ისე მოიქცა თითქოს საქმეში სულ არ იყო დასკვნა.

საქართველოს სსრ სსკ 409 მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლოს განჩინება უნდა ქვეყნდებოდეს ისევე, როგორც განაჩენი, მისი გამოტანის მომენტში. ჩვენი პრაქტიკის მიხედვით კი კოლეგიის თავმჯდომარე კმაყოფილებდა მხოლოდ იმის განცხადებით, რომ კოლეგიის დადგენილებით განაჩენი გაუქმდა ან განაჩენი დარჩა ძალაში. დადგენილებათა ასეთი სახით გამოქვეყნებით ვერც მსჯავრდადებულთა და ვერც ადვოკატი ვერ იგებს თუ რატომ იქნა უარყოფილი მათი მოთხოვნა. განჩინების გამოტანის შემდეგ ადვოკატს არ აძლევენ უფლებას გაეცნოს განჩინებას მანამდე სანამ საქმე არ დაბრუნდება განაჩენის დამდგენ სასამართლოში. თუ ადვოკატი თბილისის რომელიმე კონსულტაციის წევრია, საქმე კი საქართველოს რომელიმე შორეულ რაიონში უნდა გაიგზავნოს, მდგომარეობა რთულდება. სა-



კასაციო სასამართლოში განჩინებანი რომ იკითხებოდეს, შესაძლებელია, ადვოკატმა დასაბუთებული განჩინების მოსმენის შემდეგ დარწმუნდეს თავისი პოზიციის უსწორობაში. ამის გარდა, განჩინების გამოქვეყნებას, ისევე როგორც განჩინის გამოქვეყნებას აღმზრდელიობითი მნიშვნელობა აქვს.

ცნობილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ძალაში შედის მისი გამოცანიდან 5 დღეღამის ვახვლის შემდეგ, თუ იგი არ იქნა გასაჩივრებული. გასაჩივრების შემთხვევაში ძალაში შესულად არ ითვლება რამდენმე ხანაც არ უნდა გაიაროს საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვამდე. მისი ძალაში შესვლის საკითხი დამოკიდებულია კიდევ იმაზედ, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს საკასაციო სასამართლო.

ამიტომ არასწორია გამოთქმა, რომელსაც განჩინების გამოტანის დროს ხმარობს კოლეგიის

თავმჯდომარე (საჩივრის უშედეგოდ დატოვების შემთხვევაში) „განაჩენი დარჩა ძალაში“ ვინაიდან განაჩენი არ ყოფილა ძალაში და ამდენად არ შეიძლება მისი ძალაში დატოვება. საჩივრის უშედეგოდ დატოვების შემთხვევაში უფრო სწორი იქნება ვინაიდან ის გამოთქმა, რომელსაც ხმარობს საფუძვლების 45-ე მუხლი, კერძოდ, „საკასაციო წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლო იღებს ერთერთ გადაწყვეტილებას: უცვლელად ტოვებს განაჩენს, ხოლო საჩივარს ან პროტესტს არ აკმაყოფილებს“.

ასეთია ჩვენი შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება გააუმჯობესებდა ქვემდგომ სასამართლოთა მიმართ ხელმძღვანელობის საქმეს, რაც აუცილებელი პირობაა საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

მ. ნანაიშვილი.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

როსა კრიტიკულად დასკვნები პრ. კომისიის

სასამართლოების საქმიანობის რევიზიების ჩატარებას, რაც სისტემატურად ეწყობა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით, დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ამ ცოტა ხნის წინათ შესწავლილ იქნა ბოლნისისა და ყვარლის რაიონების სახალხო სასამართლოების მუშაობის პრაქტიკა. შემოწმებამ გამოავლინა აღნიშნული სახალხო სასამართლოების საქმიანობის მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

გასულ წელს ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობაში იშვიათი როლი იყო კანონის უხეში დარღვევები, მაგრამ გათვალისწინებულ იქნა, რომ სახალხო მოსამართლე ე. ალენიკოვი ახალი მუშაკი იყო, არ ქონდა მოსამართლედ მუშაობის საკმაო სტაჟი და პრაქტიკა და ამიტომ მამინ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მითითებით რათა უახლოეს ხანში გარდაეყმნა მუშაობა.

მოსალოდნელი იყო, რომ ის სერიოზული ჩავარდნები და შეცდომები, რაც ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს გააჩნდა, გამოსწორებულ იქნებოდა, მაგრამ სანწესმაროდ ეს ასე არ არის.

საკმარისია შეხვიდეთ სასამართლოს შენობაში, რომ თვალში გეცემათ მოუვლელი და დაუგეგვლი ოთახები. სასამართლოში არ იცავენ მთხოვნელთა მიღების საათებს, კანცელარიაში ქაოტური მდგომარეობაა, შემოსული განცხადებანი და საქმეები ერთმანეთზე ყრია. მოგვარებული არ არის არქივი.

სახალხო სასამართლოს არა აქვს კვარტალური გეგმები, რაც არეგდარეგვს ქმნის მუშაობაში, არა-
5. საბჭოთა სამართალი № 2.


დანაკმაყოფილებელია განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სტაბილობა. 1959 წელს გაუქმებულია გამოტანილი განაჩენების 13,7 პროცენტი და გადაწყვეტილებების 32,1 პროცენტი, ადგილი აქვს დამატებით გამოძიებაზე უსაფუძვლოდ დაბრუნებისა და საქმეთა უსაფუძვლოდ აცილების შემთხვევებს.

სახალხო სასამართლოში უხეშად ირღვევა საქმეთა განხილვისათვის კანონით დაწესებული ვადები. საქმეებს იხილავენ მოუმზადებლად, მხარეთა გამოწვევის გარეშე. მივიწყებულია სახალხო მსაჯულებთან მუშაობის საქმე. გასულ წელს მათთან არცერთი მეცადინეობა არ ჩატარებულა. სახალხო მოსამართლეს ე. ალენიკოვი არ შეუსწავლია და არ განუზოგადებია სასამართლო პრაქტიკა არცერთი კატეგორიის საქმეზე.

ბოლნისის სახალხო სასამართლოში საკმაოდ არ აფასებენ საზოგადოებრიობის ძალას სამართლის ცალკეულ დამრღვევთა მიმართ, არ იყენებენ უფლებას გადასცენ საზოგადოებრიობას განსახილველად იმ პირთა საქმეები, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიების შეფარდება აუცილებლობით არ არის გამოწვეული.

გასულ წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და კოლექტივებს აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცა მხოლოდ ორი კაცი.

რაიონში ცუდად არის დაყენებული საბჭოთა სამართლის პროპაგანდის საქმე. საწარმო-დაწესებულებებში, კოლმურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არცერთი ლექცია-საუბარი არ ჩატარებულა.



ლა საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე, თვითონ სახალხო მოსამართლე ვ. ალენიკოვი ნაკლებად ზრუნავს საკუთარი იდეური და თეორიული დონის ამაღლებასათვის, სწორედ ამიტომ, რომ სასამართლოს მიდევნები და აღმასრულებელი, ზაძაფენ რა მას, ვერ ერკვევიან ინსტრუქციებსა და საერთო კანონებში, რითაც სასამართლო ხელმძღვანელობს. სასამართლოს აღმასრულებელი ამხ. ფაშევი კი სრულიად ვერ უძღვება თავის მოვალეობას. სააღმსრულებლო წარმოებას ამთავრებს ვადების დიდი დარღვევით. თანხების ამოღება მეტად მცირეა.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლოში, სადაც დაცულია საქმეთა განხილვის ვადები, შედგენილია და მრავალფეროვანია კვარტალური საშუალო გეგმა. ერთგვარად გაუშვებენდა სახალხო სასამართლოს მიერ განხილული სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების და გადაწყვეტილებების კანონიერება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივნისის დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. რაიონში დამაკმაყოფილებლად და დაყენებული საბჭოთა სამართლის პროპაგანდის საქმე. იურიდიულ საკითხებზე ჩატარდა 12 ლექცია სახალხო მსაჯულებსათვის. პერიოდულად ეწყობა მეცადინეობა სახალხო მოსამართლე ს. აბულაშვილმა ამომჩიველების წინაშე რვაჯერ ჩატარა საანგარიშო მოხსენება და ა. შ.

მიუხედავად ამისა, ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლოს საქმიანობაში აღვლილ აქვს კანონის სერიოზული ხასიათის დარღვევებს და შეცდომებს.

აქ ვერ კიდევ არის პროკურატურისათვის ხელმეორედ გამოძიებაზე საქმეთა უსაფუძვლოდ დაბრუნების შემთხვევები. მაგალითად: 1959 წლის 30 მაისის სამსჯავრო სხდომის დადგენილებით გ. დ. ტუაძის ბრალდების საქმე დაუბრუნდა პროკურატურას დამატებითი გამოძიებისათვის, მაშინ, როდესაც საქმეში მოცემული იყო ყველა ის მასალები, რის შემოწმებაც სასამართლო მიუთითებდა გამოძიებას. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ყვარლის სახალხო სასამართლოს აღნიშნული დადგენილება გააუქმა, ასევე გაუქმებულ იქნა მ. ა. მეტრეველის, მ. გ. მალაზოვას და ა. ნ. ფილოშვილის საქმეებზე გამოტანილი დადგენილებები.

აღვლილ აქვს საქმეების უსაფუძვლოდ აცილების, განაჩენების და გადაწყვეტილებების გაუქმების შემთხვევები. მაგალითად გასულ წელს ზემდგომ ინსტანციაში საკასაციო წესით გაპროტესტებულ და გასაჩივრებულ იქნა განაჩენები 56 პირის მიმართ, მათგან გაუქმდა 10, რაც გამოტანილი განაჩენების 14.3 პროცენტს შეადგენს.

განაჩენები ძირითადად გაუქმებულია იმ მიზეზით, რომ ყვარლის სახალხო სასამართლო საქმის

განხილვისას ზოგჯერ უხეშად მოღვევს საპროკურორებს, განაჩენები გამოაქვთ არასრულყოფილად გამოძიებულ საქმეებზე. განაჩენების გამოტანისას ზოგჯერ კურორულ შემთხვევებსაც კი აქვს ადგილი.

სახალხო სასამართლომ 1959 წლის 27 აგვისტოს განაჩენით დამნაშავედ იცნო ს. ა. მოლაშვილს სსკ 19—144 მუხლის «ა» პუნქტის 1 ნაწილით და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც გაუნაწევრა სსკ 48 მუხლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ აღნიშნული განაჩენი გააუქმა, რადგან საქმის სამსჯავრო სხდომაზე განხილვა სახალხო სასამართლოში მიმდინარეობდა 1959 წლის 27 და 28 აგვისტოს. განაჩენი კი გამოტანილ იქნა სამსჯავრო სხდომის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე 27 აგვისტოს და სამსჯავრო სხდომა 28 აგვისტოსაც გრძელდებოდა და იმ დღეს დაკითხულ იქნა 7 მოწმე.


სახალხო სასამართლოს 1959 წლის განაჩენი ი. აღნიაშვილის მიმართ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ გაუქმებულ იქნა იმ მოტივით, რომ საბრალდებო დასკვნით და განაჩენით არ იყო დადგენილი რა რაოდენობის ხეტყის მასალა მოიპარა კუმბომეტრებში ი. აღნიაშვილმა.

სახალხო სასამართლოს მუშაობაში არის პროცესუალური ხასიათის დარღვევებიც. მაგალითად: ი. ი. ირემაშვილის ბრალდების საქმის განხილვისას სამსჯავრო ოქმში აღნიშნულია, რომ ბრალდებულს მიეცა საბოლოო სიტყვა, ამის შემდეგ აღნიშნულია, რომ მხარეთა კამათი დამთავრებულია. ვ. პაკაციოშვილის საქმეზე ოქმით დაკვითი სიტყვის შემდეგ მხარეთა კამათი დამთავრებულია და ამის შემდეგ საბოლოო სიტყვა მიეცა სამართალში მიცემულს. ანალოგიური დარღვევებია ვ. ოქრუაშვილის საქმეზე.

სახალხო მოსამართლე ს. აბულაშვილი ხშირად კერძო ბრალდების საქმეებს იღებს და ნიშნავს რეზოლუციით. ამ საქმეზე არ აფორმებს დადგენილებებს, ასევე რეზოლუციაში არ აჩვენებს, თუ რომელი მუხლით უნდა შედგეს საქმე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსთან არსებულმა ოპერატიულ მუშაკთა თათბირმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მ. ვეფხვაძის თავმჯდომარეობით ამ დღეებში მოისპინა ბოლნისის და ყვარლის რაიონების სახალხო სასამართლოების მუშაობის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ქაჯაია, რომელიც სიტყვით გამოვიდა თათბირზე, შეეხა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რაც გააჩნიათ ბოლნისისა



და ყვარლის რაიონების სახალხო სასამართლოებს მუშაობაში. ბოლნისის რაიონის სახალხო მოსამართლე ვ. ალენიკოვი სრულ უვაციობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს განაჩენების გამოტანისას, ზოგჯერ სჯის ისეთ პირებს, რომლებიც ამის ღირსნი არ არიან და ზოგიერთ შემთხვევებში შეღავათებს აგრეცელებს ისეთ პირებზე, რომლებიც აშკარად იმსახურებენ მკაცრ სასჯელს.

შემდეგ ს. ქაჯაიამ აღნიშნა, რომ ბოლნისისა და ყვარლის რაიონების სახალხო სასამართლოებში ნაკლებად ეხმარებიან ამხანაგურ სასამართლოებს, არ უწევენ კონტროლს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს თუ როგორ მუშაობენ ისინი მათზე აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემულ პირებთან.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა უ. კაპანაძემ და ი. გოგაშვილმა ილაპარაკეს ბოლნისისა და ყვარლის სახალხო სასამართლოების მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ აშხ. გ. ცეტიკიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობა. მან აღნიშნა, რომ ვ. ალენიკოვს არ გაუკეთებია სათანადო დასკვნები კრიტიკიდან. დღეისათვის ვ. ალენიკოვზე სისტემატურად შემოდის საჩივრები, მის მიერ კანონის უხეზად დარღვევების გამო.

სიტყვით გამოსულმა ბოლნისის რაიონის სახალხო მოსამართლემ ვ. ალენიკოვმა გაიზიარა ის კრიტიკული შენიშვნები, რაც მის მიმართ იყო გამოთქმული, მაგრამ თავის სიტყვაში შეეცადა ჩაეფარდებინა მის მუშაობაში გაეშვრებინა «ობიექტური» მიზეზებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თითქოს იგი ძალზე გადატვირთულია საზოგადოებრივი დავალებებით.

ყვარლის რაიონის სახალხო მოსამართლე ს. აბულაშვილმა ოპერატიულ თათბირს აღუთქვა, რომ მოკლე ხანში გამოსასწორებს ნაკლოვანებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. ვეფხვაძე გრცლად შეჩერდა ბოლნისისა და ყვარლის სახალხო სასამართლოების მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. როგორც მან აღნიშნა, წინა წლებთან შედარებით გაუარესებულია როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის ხარისხი.

საკასაციო წესით გადაწყვეტილებათა გაუქმება გამოწვეულია არსებითად უსწორო გადაწყვეტილებების გამოტანით და სამსჯავრო გამოძიების არასრულყოფილად ჩატარებით. ყურადღება არ ექცევა საპროცესო და მატერიალურ კანონთა მოთხოვნის ზუსტად დაცვას, რის გამოც მიღწეული არ არის განაჩენებისა და გადაწყვეტილებების სტაბილობა. სახალხო სასამართლოებს მკიდრო კავშირი არა აქვთ დამყარებული საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მშრომელთა კოლექტივებთან. ნაკლები ყურადღება ექცევა სამართლის პრობაგანდის საქმეს მოსახლეობაში.

აშხ. მ. ვეფხვაძემ ოპერატიული თათბირის წინაშე დააყენა საკითხი, რომ თუ ბოლნისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე აშხ. ვ. ალენიკოვი უახლოეს ხანში არ გარდაქმნის მუშაობას, დაიხვას საკითხი მისი ვადაზე ადრე სახალხო მოსამართლეობიდან გამოწვევის შესახებ.

სასამართლოებისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერება ერთ-ერთი წინაპირობაა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში, რაც ხელს უწყობს იმას, რომ უკუგდებულ იქნეს სასჯელის ღონისძიებათა დანაშაულისადმი ფორმალური მიდგომა, ხოლო სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი ყოველმხრივ უნდა უწყობდეს ხელს მსჯავრდადებული პირის გამოსწორებას და ხელახლა აღზრდას, მოსალოდნელი დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცილებას.

წ. მესხენგისერი



ნარკვევი

1

რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტიკის გივი ჯორდანიას კაბინეტის კარი მოხუცმა ქალმა შეაღო. მის სიმშაბითურ სახეს და კეთილ თვალებს მწუხარების ჩრდილი გადაფენოდა. შემოსულს მკერდზე უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი უბრწყინავდა.

— შეიძლება? — იკითხა მან.

— მობრძანდით, — ფეხზე აღგომით შეეგება პროკურორი შემოსულს და სავარძელი შესთავაზა.

ქალი სავარძელში ჩაჯდა. იგი ერთ წამს გაიჩინა. ფიქრობდა საიდან დაეწყო. შეკითხვამ გამოაფხიზლა.

— რაზე გარჩილხართ?

ქალმა დაბნეულად და ოდნავ მღელვარე ხმით დაიწყო.

— მე გახლავართ ანტონინა ლანგე, დაბა მარნეულის მცხოვრები, დამსახურებული მასწავლებელი, ასაკის გამო სკოლას თავი გავანებე და პენსიაზე ვაკედი. ჩვეულებისამებრ ყოველ დილით ადრე ვდგები, ვემზადები სკოლისაკენ წასასვლელად, მაგრამ მალე მახსენდება, რომ პენსიაზე ვარ გასული... ახლა ისღა მანუგეშებს, რომ ჩემი ერთადერთი ქალიშვილი, ჩემი თამარი, — აქ მოხუცი ქალი ოდნავ შეჩერდა, თვალებში შუქი ჩაუდგა, — ჩემს ზვას გაყვა, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის მარნეულის საშუალო სკოლაში, თუმცა, — მოხუცს ხმაში ისევ მღელვარება შეეპარა, — სკობს უშუალოდ საქმეზე გადავიდე... იგი ჩემს ქალიშვილ თამარს შეეხება.

— 1958 წლის საზაფხულო არდადეგები იყო. მარნეულის განათლების რაიგანყოფილებამ თამარი ერთი თვით მიავლინა გუდაუთში მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე, სადაც იგი 29 ივნისს უნდა გამგზავრებულიყო.

— მატარებლის ბილეთის შესაძენად მარნეულიდან თამარი თბილისში 28 ივნისს გამგზავრა და საღამოს უკანვე უნდა დაბრუნებულიყო,

ბარგი ჩაეღაგებინა, მომზადებულიყო და მეორე დილით თბილისიდან გამგზავრებოდა გუდაუთში. მაგრამ თამარი საღამოთი უკან დაბრუნებულია. მას უკან უკვე 6 თვე გავიდა. მოხუცმა მასწავლებელმა შეისევნა და გრაფიანიდან წყალი დაისხა.

— კი მაგრამ რატომ ამის შესახებ აქამდე არსად არ განაცხადეთ?


— საქმე იმაშია, რომ თამარისაგან ავეისტოსი და დეკემბერში სოხუმიდან, სოჭიდან და მისკოვიდან დეპეშები მივიღე. იგი მაცნობებდა, რომ კარგად არის, მკურნალობს და თანაც მწერდა — არაფერი მეჯავრა. უკანასკნელი დეპეშის მიღებიდან უკვე სამი თვე გავიდა. ნეტავ ხომ არაფერი უბედურებაა ჩემს თავს? დამეხმარეთ გავიგო ჩემი ქალიშვილის თამარ სელიმბეკოვას ამბავი... მოხუცმა მასწავლებელმა ცრემლით სავსე თვალები ევდრებით მიაპყრო ოთახში მყოფს.

— დამწვიდით დედი, თქვენი ქალიშვილის კვალს მივაგნებთ. ახლა კი განცხადება დაგვტოვეთ.

2

თამარ სელიმბეკოვას საქმის შესწავლას პროკურორ-კრიმინალისტიკა გ. ჯორდანიამ გულმოდგინეთ მოკიდა ხელი. მან ერთხელ კიდევ გულდასმით გადაიკითხა განცხადება და ღრმა ფიქრს მიეცა. — ეჭვი არ არის თამარ სელიმბეკოვას რაღაც შეემთხვა... ვნახოთ რას გვიჩვენებს ძიება.

გ. ჯორდანიამ შეადგინა ძიების გეგმა. პირველ რიგში დასადგენი იყო, გამოცხადდა თუ არა გუდაუთში მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე თამარ სელიმბეკოვა, ცხოვრობდა თუ არა იგი 1958-59 წლებში სოხუმი, სოჭამი და მოსკოვში. მას უნდა დაედგინა ავრეთვე თ. სელიმბეკოვას უცნაური გაუჩინარების პერიოდში რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხომ არ იყო ნაპოვნი უცნობი ქალის გვამი და რაც მთავ-



რია შეესწავლა და გაცნობოდა იმ წრესა და გარემოს, სადაც თამარ სელიმბეკოვას უხდებოდა ცხოვრება და მუშაობა.

სამოქმედო გეგმის შედგენის შემდეგ გ. ჟორდანიამ რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის პროკურატურებს დაუზავანა მიმართვები, რომლითაც ის თხოულობდა სასწრაფოდ ეცნობებინათ იმ საქმეების შესახებ, რაც აღძრული იყო უცნობი ქალის გვამის აღმოჩენასთან დაკავშირებით.

მალე გულაუთიდან მიღებულ იქნა ცნობა, რომ თ. სელიმბეკოვა მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე არ გამოცხადებულა. სოხუმიდან, სოჭიდან და მოსკოვიდან მოსულ ცნობებში აღნიშნული იყო, რომ ამ ქალაქებში თ. სელიმბეკოვას 1958-1959 წლებში არ უტყობოვია.

3

მასალების მიღების შემდეგ გ. ჟორდანიამ მარნეულში ჩაიდა.

იგი ორიოდ წუთს შეჩერდა თამარ სელიმბეკოვას სახლის პარამლის წინ. სიამოვნებით დააკვირდა გულმოდგინეთ დამუშავებულ პატარა ბაღის კვლებს და შემდეგ კარებზე დააკაკუნა.

ა. ლანგემ უცხად ვერ იცნო რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკი.

— გამარჯობათ დეიდა. ალბათ ვერ მიცანიტ. მე რესპუბლიკის პროკურატურიდან ვარ. თქვენი ქალიშვილის საქმეზე ჩამოვედი. შეიძლება თქვენთან?

— რა ამბავია შვილო ჩემს თავს, ჩქარა მითხარი.

— დამშვიდდით დეიდა. ჯერჯერობით არაფერი. მე მაინტერესებს გავეცნო თამარის ამხანაგებს, მის პირად ცხოვრებასა და ნიეთებს, ეგებ საქმისათვის რაიმე საჭირო ცნობებს წააგაწყდებოდა.

— ვაიმე შვილო თამარ, გული ცუდს მიგრძნობს. მობრძანდით შვილო, მობრძანდით. აი თამარის სამუშაო მაგინდა. ეს მისი ნიეთებია, სურათები, წერილები...

გ. ჟორდანიამ დიდხანს იჯდა თამარის მაგიდასთან, სინჯავდა და ათვალერებდა თამარის სურათებს. აგერ თამარი, ჯანლონით სავსე ასაღვაზრდა ქალი გადაღებული ამხანაგებთან ბორჯომში. იგი ერთმა სურათმა დააინტერესა. სურათზე გამოსახული იყო სიმპატიური გარეგნობის ასაღვაზრდა უცნობი ქალი. სურათს უკანა მხარეს წარწერა ქონდა. „სახსოვრად თამარს და მის მეუღლეს“... სურათი მოსკოვიდან იყო გამოგზავნილი.—რამდენადაც ვიცი, — გაიფიქრა გივიმ, — თამარს მეუღლე არ ყავდა. რაშია საქმე?—მან სურათი გვერდზე გადასდო.

შემდეგ წერილებს გადაავლო თვალი. თვითე-

ულ წერილს გულმოდგინეთ კითხულობდა, მისი ყურადღება სამკუთხედმა წერილმა შეიპყრო. იგი ორიოდ წინადადებისაგან შესდგებოდა: „შენ უარს ამბობ ჩემზე? მე მაინც ჩემსას გავიტან.“

ოდისეი“.

მეორე წერილში იგივე ოდისეი წერდა: „თამარ ნურაფრის ნუ გეშინია... ხვალ 8 საათზე ძველ ადგილზე გელოდები“.

გივიმ ორივე წერილი როგორც ძვირფასი ნივთი ფრთხილად გადადგა გვერდზე. — მამ ასე, — ფიქრობდა იგი, — ჩანს თამარის პირად ცხოვრებაში ვიღაც მამაკაცი ურევია. ვნახოთ, ექსპერტიზით უნდა დავადგინოთ ეს წერილი ნამდვილად ოდისეის მიერ არის დაწერილი? შემდეგ საქმე თავისთავად გვიჩვენებს როგორ მოვიქცეთ...

სკოლაში, სადაც თამარ სელიმბეკოვა მუშაობდა, სკოლის დირექციამ დაამხანაგებმა თამარი დაახასიათეს როგორც მოწინავე პედაგოგი, გულისხმიერი ამხანაგი.

— მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ უკანასკნელ ხანებში ოდისეი ურუშოვი (—ისევე ოდისეი, — გაივლო გულში გ. ჟორდანიამ) მოსვენებას არ აძლევდა. წინადადებას აძლევდა ცოლად წაყოლოდა მას. ოდისეი ეჭვიანობდა. თამარს არ შეეძლო მამაკაცს დალაპარაკებოდა. ოდისეი მთელ სცენებს უმართავდა, ზოგჯერ ფიზიკურ შეურაცხოვრებასაც კი აყენებდა.

ისევე ოდისეი. ფიქრობდა უკან დაბრუნებული გ. ჟორდანიამ. რა კაცია. ვინ არის იგი? მომიხდება გავეცნო მის პიროვნებას...

4

თამარ სელიმბეკოვას საქმე მოსვენებას არ აძლევდა გ. ჟორდანიას. ნეტავ რა მოუვიდა, რა დემართა? ცოცხალია თუ მკვდარი? ფიქრობდა იგი.

ერთ დღეს, როდესაც, ჩვეულებისამებრ, მიღებულ ფოსტას ათვალერებდა, მისი ყურადღება მიიპყრო მოზრდილმა პაკეტმა, რომელიც დუშეთის რაიპროკურატურიდან იყო გამოგზავნილი. პაკეტი აჩქარებულად გახსნა. საქმიდან ჩანდა, რომ 1958 წლის 1 ივლისს, სოფელ ანანურის მცხოვრებლებს მდინარე „პატარა ჯახის ხეივანთან“, სამხედრო გზიდან 450 მეტრის დაშორებით, უპოვნიათ უცნობი ქალის გვამი, რომელსაც მკვრივი და ბლაგვი საგნის დარტყმით თავის ქალა და ორი წინა კბილი ქონია ჩამტვრეული. მოკლულს ტანთ სცმია კრემის ფერი წითელყვავილებიანი შიფონის კაბა. საფიქრებელი იყო, რომ ადგილი ჰქონდა წინასწარგანზრახულ მკვლელობას. ის ფაქტი, რომ მოკლულს ხელზე ჰქონდა ოქროს საათი და ძვირფასი მძივი გულზე, გამოირიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო გაძარ-

ცვის მიზნით. მოკლულს არ აღმოაჩნდა პიროვნების დამდასტურებელი რაიმე საბუთი.

საქმეში არსებული მასალებით ჩანდა, რომ დუშეთის რაიბროკურატურა მოკლული უცნობი ქალის გვამის აღმოჩენის ფაქტს გულმოდგინეთ მოკიდებია. როგორც წესი, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და წარიმართა გამოძიება, მაგრამ ვერც მოკლულის და ვერც მკვლელის ვინაობა ვერ დადგინდა. რესპუბლიკის ყველა რაიონში გაგზავნილ შეკითხვებზე, ქალის მკვლელობის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ, დუშეთის რაიბროკურატურას და მილიციის განყოფილებას დადებითი პასუხი არ მიუღია, რის გამოც საქმე როგორც გაუხსნელი, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ წარმოებით მოისპო.

ამრიგად დაუდგენელი დარჩენილა ვინ იყო ახალგაზრდა მოკლული ქალი, რომლის დასახიჩრებული გვამი სოფელ ანანურის მახლობლად ხევში აღმოჩნდა.

გულისხმიერ დუშელებს მოკლული ქალის გვამი სასაფლაოზე დაუკრძალავთ.

მიწის ზედაპირიდან ოდნავ ამალღებულ უცნობი ქალის საფლავი მისა საფლავებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ მის თილი უბრალო საფლავის ქვაზე აღნიშნული არ იყო დაკრძალულის ვინაობა და წლოვანება.

5

აღმოჩენილ ცის ღურჯ გუმბათში კავკასიონის მწვერვალთა ყინულოვანი თაღები პირქუშად ამალღებულან. როცა მათ გარშემო ნისლი გადაიბერტყება, ისინი უფრო გარკვევით მოჩანან. მათი მომხიბლავი კალთების ძირში თავაწყვეტილი ზატყითა და ხმაურით მოშხუის შმაგი არაგვი, ხმაურიანი და დაუდგარი. მისი მუდამქაშს აქაფებული ზვირთები ზატყითა და ზრიალით ასკდება პიტალო კლდეებს.

კარგა ხანია დამე დილის რიყრაქში მიიწურა, საქართველოს სამხედრო გზაზე ვილისი მისრიალებს. მანქანამ დუშეთისაკენ აიღო გეზი. შიგ მკდომი გ. ჟორდანია ფიქრს შეეპყრო. იგი ფიქრობდა საიდუმლოებით მოცულ მკვლელობაზე. თვალწინ ედგა უცნობი მოკლული ქალის მუდარით სავსე სახე, რომელიც თითქოს ათხოვდა მისი მკვლელის მოძებნასა და დასჯას.

მალე ვილისი დუშეთის რაიბროკურატურის შენობის წინ გაჩერდა. გ. ჟორდანია მანქანიდან გადმოვიდა და პროკურორის კაბინეტში შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ დუშეთის რაიონის პროკურორი, გ. ჟორდანია და კოლმეურნე მ. ჩერქეზია, რომელიც პირველი წააწყდა მოკლული ქალის გვამს, შემთხვევის ადგილზე გაემართნენ.

შემთხვევის ადგილი პროფესიონალური გულმოდგინებით დაათვალიერა გ. ჟორდანია და დიდი ყურადღებით უსმენდა კოლმეურნეს.

— მდინარე „პატარა ჯახის ხევში“ დაიწყო მ. ჩერქეზიამ, — სამშენებლო ქვას ვაგროვებდა. საღამო ხანი იქნებოდა, როდესაც ლარივით სწორ საქართველოს სამხედრო გზაზე თვალმოკარი „პობედის“ მარკის ღია ცისფერ მანქანას, რომელიც გაუგონარი სისწრაფით მოროდა თბილისის მხრიდან. ორიოდ წუთის შემდეგ მოულოდნელად მანქანამ სამხედრო გზიდან მარტხინე გადმოუხვია და მდინარის გასწვრივ ტყისკენ გაემართა. მე ეს არ გამკვირვებია, რადგან განსაკუთრებით კვირა დღეს, ბუნების ამ თვალწარმატად ადგილას, დროს გასატარებლად და პურის საქმელად ხშირად მოდიან თბილისელი მოქალაქეები. ტყიდან მანქანა 5 წუთის შემდეგ ისევ დიდი სისწრაფით გამოვარდა და თბილისისაკენ აიღო გეზი.

— თქვენ ეს ჩვეულებრივ მოვლენად ჩათვლით? — შეეკითხა გ. ჟორდანია.

— ძალიან არ გამკვირვებია. ვიფიქრე ალბათ ადგილი ამოირჩია და უკან ვაბრუნდა.

— მესამე დღეს, — განაგრძო მან, — საღამო ხანი იყო. მზე თითქმის მწვერვალებს მიეფარა. კოლმეურნეთა ერთი ჯგუფი სამუშაოდან ბრუნდებოდა. მდინარე „პატარა ჯახის ხევისა“ დაწინაურებული კოლმეურნე ზეთისაგარი უცბად შედგა. მან თვალეზზე ხელი მიიჩრდილა და ხევეს ჩახედა.

— მათია, — გასძახა მან ტანმალე ახალგაზრდას, — შენს გაზრდას ერთი ჩაირბინე ხევში. ევონებ ვიდაც უნდა იწვევს. ბედშივე ალბათ მეთვარალია ან მზემ ხომ არ დაჰკრა.



ახალგაზრდამ ცქვიტად ჩაირბინა ხევში. წუთსაც არ გაუვლია, რომ მისმა ყვირილმა ყველანი ადგილზე გაგვაშეშა.

— აქეთ სახსნო, ჩქარა, ვილაც უღმერთოს დიაცო მოუტლავს. — მალე შემთხვევის ადგილზე თვალწინ წარმოგვიდგა საზარელი სურათი — კარგათ ჩაქმული ლამაზი გარეგნობის ქალი, რომელსაც თავზე სისხლი შეხმობოდა, უსულოთ ეგდო მიწაზე. — დაასრულა მან.

* * *

იმედე დღეს დღემთში ექიმ-ექსპერტის თანხლებით მოხდა უცნობი ქალის გვამის ეზუმიცია. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით ანტონინა ლანგეს სახლიდან წამოღებული ქსოვილის ნაქერი, რისგანაც შეკერილი კაბა თამარ სელიმბეკოვას ეცვა ტანზე სახლიდან უკანასკნელად წასვლის დროს და გვამთან აღმოჩენილი კაბა იდენტური აღმოჩნდნენ.

6

უი, თამარ სელიმბეკოვას საქმის მთელი ისტორია. ეჭვი არ არის, ანანურის მახლობლად მოკლული უცნობი ქალი თამარ სელიმბეკოვაა, ხოლო ვინ მოკლა იგი, აი რა უნდა დაადგინოთ. — მიეცა რესპუბლიკის პროკურორის დავალება რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს დავით ქორიძეს.

7

კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს. — ხშირად უყვარდა ამის თქმა სოფელ ოფრეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ოდისეი ურუმოვს. მარიფათიანი კაცი იყო ურუმოვი. კოლმეურნეობა მან თავის შემოსავლის წყაროდ გადააქცია. მსუბუქ მანქანებს სისტემატურად იცვლიდა. კიდევ ერთი ცუდი ზნე სწირდა მას. ლამაზ ქალს გულგრილად ვერ ჩაუვლიდა და მანამ არ მოეშვებოდა, სანამ თავის სურვილს არ აისრულებდა. არაერთი და ორი ქალი გახდა მისი ადვირაბსნილობის მსხვერპლი, ჯერ კიდევ მ. ა-ს ურუმოვმა ტკბილი დაპირებებით თვალი აუხვია და შეპირდა ცოლად შეგირთავო, თუმცა არ უმხელდა, რომ მას ცოლი და შვილები ჰყავდა. როცა მ. ა-ს ბავშვი შეეძინა, ქალი მიატოვა.

— საფხულის საღამო იყო. შეზარხოშებული ოდისეი თავის ბიძაშვილ ვ. ურუმოვთან მარნეულის ქუჩაში დასვირნობდა.

— ხედავ ბიკო, ციდან მოვლენილ ანგელოზს არ ჰგავს, — მიუთითა ოდისეიმ თავის ბიძაშვილს და თამარ სელიმბეკოვასაკენ გაახვდა, რომელიც თავის ამხანაგებთან ერთად მიდიოდა.

— კარგი ვინმეა. — გასცა პასუხი ვ. ურუმოვმა.

მოგმა, ააჰ, ეს ხომ ჩვენი სკოლის ახალგაზრდა მოკვლევია. სწორედ შენი გემოვნებისაა ადგილზე მოკვდეს ბიკი ოდისეი თუ სულ ცოტა ხანში მაგის თეთრი პერანგი ხელში არ გავაფრიალო. — ამოიგმინა ოდისეიმ და გულზე მჯილი ძალუმად დაიკრა.

მართლაც ოდისეი ჩვეული არ იყო გადაეთქვა თავისი სიტყვა. იგი არაფერს ზოგავდა, რომ თამარ სელიმბეკოვას დაახლოვებოდა. სადაც კი თამარი დაპირებდა წასვლას, სამსახურში, კინოში, სახლში, მივლინებაში, ექსკურსიაზე თუ სხვაგან, ოდისეი მანქანით იქ იყო და თამარს მთვარეულივით დასდევდა უკან.

ოდისეი მალე მართლაც დაუახლოვდა თამარ სელიმბეკოვას. მდიდრულმა საჩუქრებმა, მუჭარამ, მუღმივმა მეთვალყურეობამ, მზრუნველობამ თამარ სელიმბეკოვას ნებისყოფა გასტეხა და იგი დაუახლოვდა ოდისეის.

ო. ურუმოვმა მოინდომა მთლიანად დაუფლებოდა თამარს და წინადადება მისცა მას ცოლად გაყოლოდა.

— ყველაფერს მივატოვებ შენი გულისათვის თამარ, ცოლს, 5 შვილს, ოჯახს, ოღონდ ცოლად გამომიყვი.

— არის ოდეს. ნუთუ იმდენად გულქვა ხარ, რომ 5 მცირეწლოვან ბავშვს უბატრონოდ ტოვებ. რა პასუხს აძლევ მათ. — იყო თამარის მტკიცე პასუხი.

ერთხელ ღამის 12 საათზე ოდისეი და მისი ბიძაშვილი შექვიფიანებული მიადგნენ თამარ სელიმბეკოვას სახლს. ისინი იმუჭრებოდნენ, თუ კარებს არ გააღებდნენ შეუმტვრევდნენ. შემინებულმა დედაშვილმა მათ კარი გაუღეს.

— აგაშენებთ, ზღაპრულად მოვრთავ შენს ბინას, ხელის გულზე გატარებ თუ ცოლად გამომიყვიბი, თუ არა და იცოდეთ ჯერ თვალებს ამოგთხრი, მერე ღორივით ყელს გამოგჭირი და სახლში ამოგწვავთ. — თქვა ეს ურუმოვმა და კარები ისე მაგრად მიიჯახუნა, რომ სახლის მიწებმა წკრიალი დაიწყეს.

შეშინებულ დედაშვილს მთელი ღამე არ უძინიათ.

ოდისეი ურუმოვის დამოკიდებულება თამარ სელიმბეკოვასადმი მარნეულის რაიონში ბევრისათვის იყო ცნობილი. ზოგს ეშინოდა ო. ურუმოვის გადაკიდება, ზოგს ზედმეტად მიჩნდა მათ საქმეში ჩარევა, ოდისეი კი სარგებლობდა იმით, რომ თამარს არ გააჩნდა უნარი დამოუკიდებლად შეზრთოლებოდა მას. დაეუფლა რა თამარს, ოდისეი მას უფლებას არ აძლევდა მისი ნებართვის გარეშე სადმე წასულიყო. თამარს აკრძალული ჰქონდა სხვა მამაკაცთან დალაპარაკება და მისი შეხვედრაც კი.

ექვიანობის ნიადაგზე ოდისეის არაერთხელ

უცემია თამარი ქუჩაში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზედაც კი. 1957 წლის ნოემბერში თამარი 3 დღე არ გამოცხადებულა სკოლაში იმის გამო, რომ სახე დალიღავებული ჰქონდა ოდისეის ცემისაგან.

ო. ურუმოვი იქამდეც კი მივიდა, რომ 1958 წლის იანვარში თამარ სელიმბეკოვას საჩაროდ მიაყენა შეურაცხყოფა იმის გამო, რომ სკოლაში გამართულ ბანკეტზე იცეკვა სტუმრად ჩამოსულ სამხედრო ნაწილის ერთერთ ოფიცერთან.

ო. ურუმოვი გრძობდა, რომ თამარი საბოლოოდ მისი არ იქნებოდა, თავმოზერებულ თამარს აღარ სურდა ასეთი ცხოვრება, ცდილობდა თავი დაეღწია გამუდმებული დევნისაგან.

ოდისეი შურისძიებისათვის ემზადებოდა. — თამარის გულისათვის ვულაღტე ოჯახს, არ ვაკლებ არაფერს. იმის გამო, რომ დღენიადავ მაგას დაედევ, მუშაობა კოლმურნეობაში მთლიანად ჩამეშალა, კოლმურნეობის თავმჯდომარეობიდან გამათავისუფლეს და თანაც მლაღტობს?

აი, როგორი მასალები შეაგროვა გამოძიებულმა დავით ქორიძემ ოდისეი ურუმოვზე. გადამწყდა მისი პათიმრობაში აყვანა.

8

შუადლის 4 საათი იქნებოდა, როდესაც მარნეულის პროკურორის კაბინეტი წარმოსადგემა მამაკაცმა შემოაღო. მის ჰროლა თვალეზსა და პირქუსსახეს ოდნავი სიმკაცრე გადაჰკარავდა, ერთი შეხედვით შეატყობოდა, რომ თავისი ცხოვრება მას არც თუ ისე ცუდად გაუტარებია. იგი თავის თავში დარწმუნებულ კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— შეიძლება? — იკითხა მან. ნებართვას არ დაუცადა და იქვე მაგიდასთან ჩამოჯდა.—რაშია საქმე? თქვენ დაგიბარებიაართ. — თქვა მშვიდად, გიბიდან პაპიროსი ამოიღო, მაგიდიდან ასანთი აიღო, გაკრა და პირიდან პაპიროსის კვამლი ბოლქვად გამოუშვა.

— დიახ, ჩვენ დაგიბარეთ, — ოდნავ ირონიული კილო იგრძნობოდა პროკურორის ხმაში.— რესპუბლიკის პროკურატურიდან მოვლინებულ ამხანაგს თქვენთან რამდენიმე შეკითხვა აქვს.

რესპუბლიკის პროკურატურის ხსენებაზე ო. ურუმოვი უცბად მკვეთრად მოტრიალდა და გამჭოლი მზერა ესროლა დ. ქორიძეს, რომელიც იქვე ფანჯარასთან მშვიდად მიმჯდარიყო.

ოდისეიმ ხელმოკრედ გაკრა ასანთი და მოკიდებულ პაპიროსთან მიიტანა, მაგრამ, რომ შეატყო პაპიროსი ჩამქრალი არ იყო, აღმოდებული ასანთი იქვე უხერხულად დაავდო საფერფელზე.

— თქვენი გვარი და სახელი?—შეეკითხა დავით ქორიძე ურუმოვს და მაგიდასთან გადმოჯდა.

— ოდისეი ურუმოვი.
— მე თქვენთან რამდენიმე შეკითხვა მაქვს.
— გისმენთ. — მოჩვენებითი სიმშვიდე და ფართული ცნობისმოყვარეობა იმალებოდა ო. ურუმოვის ხმაში.

— ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ (ო. ურუმოვს ზედმეტი მღელვარებისაგან თვალის გუგები გაუფართოვდა), უკანასკნელ ხანებში თქვენ რამდენიმე მსუბუქი მანქანა შეიძინეთ და ისევე გაყიდეთ (ურუმოვმა თავისუფლად ამოისუნთქა, რაც ოთახში მყოფთ არ გამოაზარციათ).

— მართალია მსუბუქი მანქანა ორჯერ-სამჯერ გამოიცვალა, მაგრამ ამას არასოდეს ვაქეთებელი ანგარების მიზნით. რა არის აქ ცუდი, — უკვე შემტვეად უპასუხა ოდისეიმ კითხვანზე,— ნუთუ უფლება არა მაქვს დაძველებული მანქანა შევიცვალო ახლით.

— გეთანხმებით, რომ დაძველებული მანქანა შეიძლება გამოიცვალოს. მაგრამ არა პირადი სარგებლობისა და გამოჩენის მიზნით.

— ამას დამტკიცება უნდა.

— ნუ ლეღავთ. ჩვენ ყველაფერს დაგიმტკიცებთ. — ორზროვნად უპასუხა დავით ქორიძემ და განაგრძო.—იმაზე რაღას იტყვი, რომ თქვენ (აქ დავითმა ორიოდ წუთით პაუზა გააკეთა და ურუმოვს თვალეზში ჩახედა, მან შეატყო, რომ ოდისეის გაღაღაქებულ სახეს რაღაც უნაბის ფერი წინწყლები დაემჩნა, თითქოს მუწყუებიაო) რამდენიმე ადგოლას ავიშენებიათ ბინა, რა სასხრებით, საიდან?

— ეს კი აშკარად ცილისწამებაა.

— ვნახოთ. ახლა კი თბილისში წამოხვალთ, დაკითხვას იქ გავგარძელებთ.


— თუ შეიძლება სახლში გავეიღო' და მღე დაებრუნდები.

— არა, არ შეიძლება, ახლავე უნდა წამოხვიდეთ.

მანქანაში ოდისეი ოდნავ შეფიქრინებული ჩანდა და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა.

9

ჩთული ამოცანა იღვა დავით ქორიძის წინაშე. ბრალდებულს საშუალება ჰქონდა თავი დაეცვა და ამ მიზნით გრუ ჩვენებაც მიეცა ან სახსრებით უარი ეთქვა ჩვენების მიცემაზე. მას არ ევალებოდა დაემტკიცებია თავისი უდანაშაულობა, მტკიცების სიმძიმე გამოძიებელს აწვა. მისი ამოცანა იყო დაემტკიცებინა, რომ თამარ სელიმბეკოვა ო. ურუმოვმა მოკლა, დაედგინა ამ მკვლელობის ყველა დეტალი, რისთვისაც საჭირო იყო დიდი ნებისყოფა, შრომა, ოსტატობა, რათა ო. ურუმოვს თვითონ ეღიარებინა, რომ მან მოკლა თამარ სელიმბეკოვა და სოფელ ანანურის მახლობლად ჩაავდო ხევი. და აი, გა-



მომძიებელსა და ბრალდებულს შორის დაიწყო ფარული ვიდიო.

როდესაც დავით ქორიძესთან პირველ დაკითხვაზე შეიყვანეს, ო. ურუმოვს მცირე ხნის შემდეგ გამოძიებელი, თითქმის სხვათაშორის, შეეკითხა.

— თქვენს რაიონში უვზო-უკვლოდ დაიკარგა მასწავლებელი თამარ სელიმბეკოვა, ხომ არ იცნობდით მას?

— თამარ სელიმბეკოვა? — მხრები აიჩუჩა ოდისემ; — პო, გავიგია, შორიდან დამინახავს... — ხომა არ შეხვედრიხართ მას ოდესმე.

— არა. პო, თამარს ვიცნობდი როგორც მასწავლებელს და შეხვედრისას ზოგჯერ ვესალმებოდი კიდევ. თუმცა დღემდისაც კი არ ვიცოდი თუ მისი გვარი სელიმბეკოვა იყო.

— მასთან ოდესმე რაიმე ურთიერთობა ხომ არ გქონიათ.

— არა, არავითარი.

ო. ურუმოვის ჩვენება მშვიდად ჩაწერა გამოძიებელმა და ოდისეის დაკითხვის ოქმზე ხელი მოაწერინა.

პირველი დაკითხვა დამთავრდა. — მაშ ასე, გაიფიქრა გამოძიებელმა, — ურუმოვი ვერ უარყოფს, რომ თამარ სელიმბეკოვას იცნობდა. დღეისათვის ესეც კმარა.

10

მ. ურუმოვი საკანში ბორგავდა. — ნუთუ რაიმე ეჭვი აქვთ თამარ სელიმბეკოვას მკვლელობაზე? ან იქნებ შემთხვევით ახსენეს თამარის უვზო-უკვლოდ დაკარგვა? ცხადია არავითარი მტკიცება არ გააჩნიათ. ნეტავ თუ იპოვნეს მისი გვამი? გამოძიებელი აზრზედაც არ არის; ან მოწმეები ხომ არ ყავთ? ვნახოთ რა იქნება, — ფიქრობდა იგი.

მაგრამ ო. ურუმოვი მწარედ ტყუვდებოდა. ყველაფერი გამოძიებლის მიერ წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით მიდიოდა.

ერთხელ მორიგ დაკითხვაზე დ. ქორიძემ გაანახვილა ყურადღება ურუმოვის მიერ მანქანების ყიდვა-გაყიდვაზე. მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა.

— მაშ თქვენ მსუბუქ მანქანას მხოლოდ თქვენი პირადი სარგებლობისათვის იყენებდით?

— დიახ.

— ამხანაგები, მეგობრები, ან ნაცნობები თუ სხვებოდნენ თქვენს მანქანაში.

— რა თქმა უნდა. — ღიმილით უბასუხა ურუმოვმა.

— აი, ჩვენა გვაქვს მოწმეების ჩვენებები თუ ვინ დაუნახავთ თქვენს მანქანაში მჯდომი. — გამოძიებელმა დაასახელა რამოდენიმე გვარი და მათ შორის თამარ სელიმბეკოვაც. — ხომ ვერ უარყოფთ ამას?

— არა.

— თამარ სელიმბეკოვა რამდენჯერ იჯდა თქვენს მანქანაში.

— თამარ სელიმბეკოვა? — შეტოვდა ოდისეი, — ორჯერ თუ სამჯერ.

— აკი წინა ჩვენებაზე განაცხადეთ კარგათ არ ვიცნობდით.

— ვგონებ ერთხელ თვითონ მთხოვა მანქანით წამყვანა სადაც და მეც უარი ვეღარ უთხარი.

— მხოლოდ ერთხელ იჯდა თქვენს მანქანაში? აბა გაეცანით მოწმეთა ჩვენებებს და გამოძიებელმა ურუმოვს წაუკითხა მოწმეთა ჩვენებები, სადაც ნათქვამი იყო, რომ ო. ურუმოვი რამოდენიმეჯერ უნახავთ თბილისში, ერევანში და სხვაგან მანქანით თ. სელიმბეკოვასთან ერთად.

— აბა რას იტყვით, იყავით თუ არა თ. სელიმბეკოვასთან ერთად 1956 წლის ზაფხულში ერევანში. აი სურათი, სადაც ორთავე ხარ გადღეულებული, აგერ კიდევ მოსკოველ მოქალაქე ო. ე.-ს წერილი თამარისადმი და მისი ჩვენება, სადაც ნათქვამია, რომ თქვენ ხშირად აკითხავდით თამარს ბორჯომში. აბა რას იტყვით ურუმოვ, ხომ ვერ უარყოფთ, რომ თქვენ თამართან გქონდათ ურთიერთობა, შესთავაზეთ თუ არა ცოლობა მას და რაც მთავარია გვითხარი, სად გადაიხვეწა შენგან მოძულეებული თამარი.

გამოძიებელი შეკითხვებს, რომ აძლევდა ურუმოვს, ცდილობდა იმ დასკვნამდე მიეყვანა ბრალდებულის, რომ თითქმის გამოძიებამ არ იცოდა ცოცხალი იყო თუ მკვდარი თ. სელიმბეკოვა, რადგან თუ ურუმოვი არ უარყოფდა თამართან ურთიერთობას ბიება ვადავილდებოდა.


ამ შეკითხვის შემდეგ ურუმოვმა ამოისუნთქა. — მაშ ასე. მათ არ იციან ცოცხალია თუ მკვდარი თამარი... და მან უცებ შეცვალა სამოქმედო გეგმა.

— როგორ, თამარი დაიკარგა, რას ლაპარაკობთ, სიმართლეს გეტყვით. თამარს ვიცნობდი და კიდევ მომწონდა იგი როგორც მამაკაცი. მართალია მქონდა მასთან ურთიერთობა. პატიოსან სიტყვას გაძლევთ გამიშვით და მე ვიქნები პირველი, რომელიც მოგებნის და თქვენთან მოვიყვან მას. — ცდილობდა ურუმოვი გამოძიებლის შეცდომაში შეყვანას.

— 1958 წლის 28 ივნისს თქვენ ჩაიყვანეთ თამარი თბილისში?

— არა. მაგ დროს თამარი სრულიად არ მიუნახავს, კატეგორულად უარყო ო. ურუმოვმა.

— მაშ კარგი. — და გამოძიებელმა ურუმოვს პირისპირ წაუყენა თამარის ამხანაგები, რომლებმაც გაახსენეს ურუმოვს ის მომენტები



თუ სად და რა დროს ნახეს ოდისეი და თამარი თბილისში 1958 წლის 28 ივნისს.

ურუმოვი ჩიხში მოემწყვდა. მან ველარ უარყო ეს ფაქტი, მაგრამ მინც ნახა გამოსავალი და სთქვა: — მართალია თამარი მე წამოვიყვანე მარნეულიდან 1958 წლის 28 ივნისს, ჩამოვიყვანე კიდეც თბილისში, მაგრამ დღის 12 საათზე უკანვე გაებრუნდი. მას უკან თამარი აღარ მინახავს.

— სტყუით ბრალდებულ ოდისეი ურუმოვ, — მკაცრად მიმართა გამომძიებელმა, — მასწავლებელი თამარ სელიმბეკოვა თქვენ გაიტყუეთ დღეშეთისაკენ. სოფელ ანანურთან სამხედრო გზიდან გადაუხვიეთ მდინარე „პატარა ჯანის ხევიან“, გაიყვანეთ მანქანა ტყეში. გადმოვიყვანეთ მანქანიდან თამარი და რკინის ნაკერის თავში დარტყმით მოკალით და იქვე ხეეში ჩაადგეთ. — გამომძიებელმა ზარს ხელი დააკვირა და მორიგე მწელში მიხრილი ურუმოვი საკანში გაიყვანა.

11

შემდეგ დაკითხვაზე ურუმოვს ფსიქოლოგიური დარტმა ელოდა.

— აბა, რას იტყვით, აღიარებთ თუ არა თ. სელიმბეკოვას მკვლელობას.

— მე არაფერ არ მომიკლავს, თავი დამანებეთ, რა გინდათ ჩემგან.

— აი თქვენი წერილი თამარისადმი მიწერილი, ამასაც უარყოფთ? აი ერთი დოკუმენტიც — სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. წაიკითხეთ. მასში აღნიშნულია, რომ იმ მანქანით, რომლითაც თქვენ წამოვიყვანეთ თამარი თბილისში, მანქანის დეტალურად დათვალიერების შედეგად შიგ ადმოჩენილ იქნა ადამიანის სისხლის კვალი, როგორც ფიქრობთ საიდან გაჩნდა მანქანაში სისხლის წვეთები? ან იქნებ არც ამ ნივთებს იცნობთ. — და გამომძიებელმა ურუმოვს წინ დაუღალავა თამარის გასისხლიანებული ტანსაცმელი, ოქროს საათი, ყელსაბამი და სხვა ნივთები, გვამის აღმოჩენის დათვალერების ოქმი თან დართული სქემითა და ფოტოსურათებით.

ამის დანახვაზე ურუმოვს თვალები გადმოვარდნაზე გაუხდა.

— შემიბრალებთ, სული შემეხუთა, ვამიყვანეთ აქედან, დღეს ჩვენებას ვერ მოგცემთ. ყველაფერს გაამბობთ.

ო. ურუმოვის დანაშაულის მტკიცება თ. სელიმბეკოვას მკვლელობაზე თითქმის დამთავრებული იყო. რესპუბლიკის პროკურატურას აინტერესებდა რას იტყობდა თვითონ ურუმოვი.

ეს დღეც დადგა. ურუმოვმა მოითხოვა საპატიმროდან დაკითხვაზე გაყვანა. მან აჩვენა, რომ 1958 წლის 28 ივნისს თამარ სელიმბეკოვასთან ერთად თბილისში რესტორანში ყოფნის შემდეგ, თამარს შესთავაზა გაესეირნათ სამხედრო გზაზე. თამარი დათანხმდა. მას სურდა მოლაპარაკებოდა თამარს მათი ურთიერთობის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის, მაგრამ ურუმოვის განმარტებით სოფელ ანანურის მასლობლად თამარი თითქმის შემთხვევით გადმოვარდა მანქანიდან და თავის არეში მიიღო სასიკვდილო დაზიანება. მაშვე აჩვენა, იმისათვის, რომ თამარი ცოცხალი გონებოდათ, სოხუმიდან, სოჭიდან და მოსკოვიდან, თამარის სახელით, ა. ლანგეს — თამარის დედას — გამოუგზავნა დეპეშები.


ო. ურუმოვმა გამომძიებელს მოწმეთა თანდასწრებით აჩვენა შემთხვევის ადგილი, სადაც მან დაადგო თ. სელიმბეკოვას გვამი, რაც დამთხვა თ. სელიმბეკოვას გვამის ფაქტიურად აღმოჩენის ადგილს.

* * *

თავზე ხელადებული კაცის მკვლელის ურუმოვის მხილებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორ-კრიმინალისტმა გივი ჟორდანიამ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა დავით ქორიძემ, რომლებმაც გამოამჯარავეს ამ გარეწარის საზიზღრობა, მისი ზნედაცემული პირუტყვული „მორალი“. მათი ოპერატიული და ენერგიული მუშაობა რომ არა, ხომ შეიძლებოდა თ. სელიმბეკოვას მკვლელობის ფაქტი არ გამომქადენებულყო და საზიზღარ კაცის მკვლელს ო. ურუმოვს გაუწითლებლად ეცქირა მზისათვის.

შუბლგარეცხილმა, ორფეხმა ცხოველმა ო. ურუმოვმა მრისხანე სასჯელი მიიღო.

ასეთია ახალგაზრდა მასწავლებელ თ. ხელიმბეკოვას საიდუმლოებით მოცული მკვლელობის გახსნის ისტორია.



პარტიული კომიტეტები იხილავენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხებს

თ ბ ი ლ ი ს ი

პარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომმა ჩაატარა რაიონული თათბირი, რომელშიც განიხილა საზოგადოებრიობის როლი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში და სოციალისტური წესრიგის დაცვა.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი თ. ბელტიხინი. სიტყვებით გამოვიდნენ რაიონის პიონერთა სახლის დირექტორი ე. ლაჭვითაძე, რაიონის პროკურორი ი. ჩადუნელი, ქალაქის მილიციის ვარსამსახურის უფროსი ა. პირმისაშვილი, 74-ე საშუალო სკოლის დირექტორი მ. ბავშინიანი, კიროვის რაიონის კომკავშირის რაიკომის მდივანი ვ. ბატიაშვილი.

მოხსენებელმა და კავთში გამოსულმა აზნაგებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად ამაღლდა საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებაში. გაიზარდა და აქტიურ ძალად გადაიქცა რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი რაზმეულები. თუ გასულ წელს მოქმედებდა მხოლოდ 12 რაზმეული და აერთიანებდა ას რაზმელს, ამჟამად მათი რიცხვი 42-ა და აერთიანებს 1.600 კაცს.

დანაშაულობათა შემცირების მიზნით რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ყოფილ პატიმრებს, იღებს ქედით ღონისძიებებს მათი აღზრდისა და გამოსწორებისათვის. 170 ყოფილი პატიმრიდან სამუშაოზე გაიგზავნა 111.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიუხედავად მუშაობის გაუმჯობესებისა, რაიონის ტერიტორიაზე ჭერ კიდევ აქვს ადგილი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებს, ქუჩებში ჩხუბის შემთხვევებს, ხულიგნურ ტყვეებს, ქურდობას, დატაცებას და სხვა.

ზოგიერთი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში იჩენენ ლიბერალობას, უფრო მეტიც, ზოგიერთ ხელს უწყობენ დანაშაულის მიჩქმალვას, რითაც საწარმოებში შეკედლებული ზოგიერთი დამნაშავე ახერხებს პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევას. პიმდინარე წლის ორ თებერვალს „თბილჩანგანის“ ავტომძღვალმა გ.

ნიკურაძემ სასწრაფო დახმარების ავტომანქანით გაიტანა მოქალაქე მაკაროვა, რომელიც გარდაიცვალა. დაწესებულების ხელმძღვანელობამ იმის მაგიერ, რომ მძღოლის მკაცრი დასჯა მოეთხოვა, რაიონის პროკურატურას თხოვა დამნაშავე კოლექტივისათვის გადაეცათ და ამხანაგურ სასამართლოზე ზოლოდ რჩევა-დარიგებით დაკმაყოფილებულიყვნენ.

წესრიგის დარღვევისა და ხულიგნობის ერთერთ მიზეზს მიზეზს ლოთობა წარმოადგენს. დანაშაულობათა თითქმის 98 პროცენტი ჩადენილია სიმთვრალის დროს. თათბირის მონაწილეებმა მოითხოვეს, მთელი სისასტიკით გაჩაღდეს ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელობის, ამხანაგური სასამართლოების აქტიურ მოქმედებას, კოლექტივების ერთსულოვან მხარდაჭერას.

საკვამო ყურადღება არ ექცევა საზოგადოების თავშესაყარ ადგილებს (საკოლმეურნეო მოედანი, რესტორნები, სასადილოები, მტკერის სანაპირო და სხვა). განსაკუთრებით აღინიშნა სანაპიროზე არსებული არანორმალური მდგომარეობა, სადაც ადგილი აქვს ხულიგნობას.

რაიკომს უხასლოეს მომავალში განზრახული აქვს სანაპიროზე მოაწყოს პავილიონი, სხვადასხვა გასართობები, გამოყოს მილიციის მოწინავე მუშაკები და რაზმეულების ძლიერი ჯგუფები, რაც ხელს შეუწყობს საღამომობით ხალხის პასუხის მიზიდვას. მათ კულტურულად დასვენებასა და გართობას.

წესრიგის დამრღვევთა და დამნაშავეთა მეტნაწილს შეადგენს ახალგაზრდობა. ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი და მშობელთა ერთი ნაწილი ჯეროვან ყურადღებას არ იჩენენ მოწვევლებისადმი. კიდევ მეტი, ზოგიერთი მასწავლებელი-აღმზრდელი თვითონ არღვევს წესრიგს. მაგალითად: 73-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. პეროვესკიაი ხშირად შეურაცხყოფას აყენებს თავისი ეზოს მცხოვრებლებს. მიმართავს მათ უშეკერი სიტყვებით.

თათბირმა მოითხოვა რაიონის პროკურატურის, სახალხო სასამართლოს, მილიციის მუშა-



კებისაგან, წარმოება-დაწესებულებათა და სასწავლებელთა ხელმძღვანელობისაგან კიდევ უფრო აქტიურად წარმართონ ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო ახსნა-განმარტებითი საუბრების მოწყობას, ლექციებს, რაიონულ სატირულ ვაზეთ „ქინკარში“ დამნაშავე-

თა ფოტოსურათებისა და მათი გამოქვეყნებას, ამხანაგური სასამართლოების როლის ამაღლებას.

დასასრულს თათბირმა მიიღო ღონისძიება რაიონის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა და დანაშაულობათა აღმოსაფხვრელად.

ქუთაისი

საქართველოს კმ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ამასწინათ განიხილა ამხანაგური სასამართლოების მუშაობის საკითხი. უკანასკნელ ხანებში ქუთაისის საწარმო-დაწესებულებათა ამხანაგურმა სასამართლოებმა მნიშვნელოვანად გაააქტიურეს საქმიანობა, ამაღლდა მათი როლი საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, გაფართოვდა მათი მოქმედების სფერო. ისინი სულ უფრო ხშირად განიხილავენ საკითხებს, რაც ენება შრომის დისციპლინის დარღვევას, მოქალაქეთა ღირსებისადმი პატივისცემის გრძნობის განვითარებას, სამართლის დარღვევის თავიდან აცილებას, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი საქციელის გამოვლენების აღკვეთას. კარგად მუშაობენ ლიტოპონის ქარხნის, აბრეშუმის კომბინატის, საავტომობილო და მინისტარას ქარხნების, სამკერვალო ფაბრიკისა და რიგ სხვა საწარმო-დაწესებულებათა ამხანაგური სასამართლოები.

ამასთან ერთად ბიუროზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებში, პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლებას. არის შემთხვევები, როცა ცალკეულ მუშაკებს დირექციის მიერ დადებული აქვთ დისციპლინარული სასჯელები იმ შემთხვევაში, როცა მათი საქმე კოლექტივის ამხანაგური სასამართლოების მსჯელობის საგანს წარმოად-

გენდა. მაგალითად ავეჯის ფაბრიკაში (დირექტორი შ. ბერიძე, პარტიულროს მდივანი გ. კასრაძე) ჯერ კიდევ 1958 წლის ნოემბერში აირჩიეს ამხანაგური სასამართლო. დღემდე ამხანაგურ სასამართლოს გარჩეული აქვს მხოლოდ ორი საქმე და ისიც უხარისხოთ. შემოწმებით გამოიჩვენა, რომ ფაბრიკაში ხშირად აქვს ადგილი შრომის დისციპლინის დარღვევასა და სხვა შემთხვევებს.

მაუღის ფაბრიკაში (დირექტორი ა. იმედაძე) ამხანაგურ სასამართლოს მიმდინარე წელს განხილულ აქვს წერილმანი ქურდობის მხოლოდ 6 საქმე, მაშინ, როცა ადგილი ქონდა 21 ასეთ შემთხვევას. ფაბრიკაში ხშირია სამუშაო დღეების უსაფუძვლოდ გაცდენის შემთხვევები. მაგალითად, 1960 წლის 1-იანვრიდან ერთი და მეტი სამუშაო დღე უმისჯვოდ გაცდინა 49 მუშა-მოსამსახურემ, მაგრამ არცერთი შემთხვევა ამხანაგურ სასამართლოს მსჯელობის საგნად არ გაუხსნია.

ბიუროზე აღინიშნა, რომ ამკამად მოსახლეობაში არცერთი სახის ამხანაგური სასამართლო არ არის შექმნილი. საქალაქო საბჭოს აღმასკომს სათანადო ზომები არ მიუღია სახლთმშობრთველობებთან და უბნის კომიტეტებთან ამხანაგური სასამართლოების ჩამოსაყალიბებლად.


ამხანაგურ სასამართლოებს მუშაობის უკეთეს წარმართვაში ნაკლებ დახმარებას უწევენ სახალხო სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები.

განხილულ საკითხზე ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებანი.

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

1960 წლის 17 მარტს შედგა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის II პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში კომკავშირული ორგანიზაციების როლის ამაღლების შესახებ“.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სკოლების, უმაღლესი სასწავლებელთა დირექტორების, მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკების, სახალხო რაზმულეების, მსუბუქი კავალერიის შტაბების, ამხანაგური სასამართლოების აქტივისტების, პირველადი



კომკავშირული ორგანიზაციების, მდივნების დიდმა ჯგუფმა.

მომხსენებელმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. ბაღურაშვილმა ილაპარაკა პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შემდეგ მონარდი თაობის კომუნისტური აღზრდის მთელი საქმიანობის არსებით გაუმჯობესებაზე, იმ სასახლო საქმეებზე, რომლებსაც აღწევენ საქართველოს ქაბუკები და ქალიშვილები შრომის, სწავლის, საზოგადოებრივი მუშაობის ფრონტზე.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეპოქაში მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონამუშების წინააღმდეგ შეუწელებული ბრძოლა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებზე დაყრდნობით, რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ამ დარგში მკეთრად გარდაქმნეს მუშაობა. მიმდინარე წლის პირველი ინვერსიათვის კომკავშირის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტებთან შექმნილი იყო 898 „მსუბუქი კავალერიის“ რაზმი და შტაბი, 15 ათასზე მეტი ახალგაზრდა გაერთიანებულია საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა სახალხო რაზმებლებში. გასულ წელს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს 500 რეიდი, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

კომკავშირის თბილისის კომიტეტმა ქალაქის ბილიციის სამმართველოსთან ერთად მოაწყო საინიშუო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების ერთთავიური. რეიდში მონაწილეობა მიიღო 64 ჯგუფმა. აღკვეთილ იქნა წესრიგის დარღვევის მრავალი შემთხვევა, გამოვლინდა წვრილმანი ხულიგნობის, ქტჩაში მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტები.

კომკავშირული ორგანიზაციები წარმატებით ეყნებენ ფოტოსტენდებს, სატირულ გაზეთებს, ფურცლებს — „ელვა“, დღის სინათლეზე გამოპყავთ ხულიგნები, უსაქმურები, ლოთები, ყველა ვინც არღვევს კომუნისტური ზნეობის ნორმებს.

საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა შორის, სამწუხაროდ, სტუდენტებსაც ვხვდებით. აი ერთი მაგალითი: თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის სტუდენტმა დ. კილასონიამ გამარცხა ორი მოქალაქე. დანაშაულის ფაქტები იშვიათი როდია მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ცხოვრებდანაც.

მომხსენებელი დწვრილებით შეჩერდა კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე მდგომ ამოცანებზე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლაში.

კამათში პირველი გამოდის კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ჩიკვაძე, იგი აღნიშნავს, რომ საინიშუო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების გადამწყვეტი წინაპირობაა ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა.

შეეხო რა რაზმეულების საქმიანობას, მან აღნიშნა, რომ ზოგჯერ რაზმეულები თვალს არიდებენ მათ წინაშე მომხდარ უწესრიგობას, ან თვითონ იტყვიან ცუდად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ი. ლარიბაშვილს მოპყავს ახალგაზრდობის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა ტიპური მაგალითები და შემდეგ აღნიშნავს, რომ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლა მარტო ბორტომოქმედთა სამართალში მიცემით არ შეიძლება ამოიწუროს, საჭიროა ისეთი ვითარება შეიქმნას, როცა შეუძლებელი იქნება დანაშაულის ჩადენა, საჭიროა ამაღლდეს კომუნისტური სიფხიზლე, ახალგაზრდობა დაირაზმოს ისე, რომ ვერავინ შეძლოს ზარალი მიყენოს ხალხის დოვლათს. მოსახლეობას.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. სანუბლიძე შეეხო კომკავშირული რეიდების მოწყობის საკითხს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, აგრეთვე სახალხო რაზმეულების საქმიანობას.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ გ. ბიწაძემ ილაპარაკა დამნაშავეთა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი საზოგადოებრიობის როლის ამაღლებასზე. პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის პროკურატურისა და კომკავშირული ორგანიზაციების ერთობლივი თანამშრომლობის აუცილებლობასზე. — საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, — ამბობს გ. ბიწაძე, — დამნაშავეთა გამოსწორების ისეთი ფორმის ეფექტურობას, როგორც არის მშრომელთა კოლექტივების შეამდგომლობის საფუძველზე სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტა. ზმორად ის პირები, რომლებიც მშრომელთა კოლექტივებს, მათი შეამდგომლობის თანახმად, აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცათ, ღირსეულად ამართლებენ კოლექტივის ნდობას და აღარ სჩადიან დანაშაულს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კომკავშირის აფხაზეთის რაიონული კომიტეტის მდივანმა ა. სიჭინავამ, თბილისის აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკის მოწინავე მუშამ ლ. რამიშვილმა, ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ხუციშვილმა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ბურჭულაძემ,

კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ნ. ზადიშვილმა, კომკავშირის გურჯაანის რაიკომის მდივანმა ნ. გურგენიძემ, კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ნ. ჭითანავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ჭახრაკიამ, საკავშირო ალკცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ი. ვერხენკომ.

პლენუმზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დუმბაძემ.

— თანამედროვე პერიოდში, როცა საბჭოთა ხალხი შეუდგა კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას, — თქვა ამხ. ფ. დუმბაძემ, — ახალი ადამიანის ჩამოყალიბება კომუნისტური ნიშნებით, ჩვევებითა და მორალით, კაპიტალიზმის გადმონაშთების ლიკვიდაცია ადამიანთა შეგნებაში ერთერთი მთავარი პრაქტიკული ამოცანაა.

— პარტია გვასწავლის, რომ მთავარი, ყველაზე ქმედითი საშუალება საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში არის მასში საზოგადოებრიობის, მთელი ხალხის აქტიური მონაწილეობა. პარტიის XXI ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა ფართოდ მოვიზიდოთ ყველა მოქალაქე სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში, საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობისათვის, ბევრი ფუნქცია, რომლებსაც სახელმ-

წიფო ორგანოები ასრულებენ, თანდათანობით გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში.

შემდეგ ამხ. ფ. დუმბაძე ამბობს, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა აამაღლონ ახალგაზრდობაში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე. პირველყოფლის საჭიროა, გაუმჯობესდეს მოზარდი თაობის შრომითი აღზრდა, საჭიროა ახალგაზრდა ადამიანებს ვაჩვენოთ შემოქმედებითი შრომის სილამაზე, საჭიროა მტკიცედ გამოვიდეთ უქნარებისა და მუქთახორების წინააღმდეგ, ახალგაზრდა ადამიანთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებას შეიძლება მივაღწიოთ თითოეულ ადამიანთან ყოველდღიური, ბეჯითი და მოთმინებითი მუშაობით. საჭიროა, რომ ახალგაზრდა ადამიანის არცერთი, თუნდაც უმნიშვნელო დანაშაული არ დარჩეს კოლექტივის უყურადღებოდ.

დასასრულს ამხ. ფ. დუმბაძემ რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაცია დარაზმავს მთელ თავის ძალებს და წარმატებით გადაჭრის მის წინაშე პასუხსაგებ ამოცანას: გამოირიცხოს ცალკეულ პირთა დანაშაულობის შესაძლებლობა, რაც ზიანს აყენებს საზოგადოებას. ლენინურ კომკავშირს შეუძლია და კიდევაც ყოველდღე უნდა ესმარებოდეს პარტიას აღზარდოს ერთგული შვილები — ახალი, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები.

განხილულ საკითხზე საქართველოს ალკცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო სათანადო რეზოლუცია,

მონოპოკონია საბჭოთა მემკვიდრეობის სამართლის შესახებ

ქართულ იურიდიულ ლიტერატურას სამოქალაქო სამართლის საკითხებზე კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომი შეემატა — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სიმონ ჯაფარიძის მონოგრაფიის სახით „საბჭოთა მემკვიდრეობის სამართალი“, რომელიც ამასწინათ გამოსცა „საბჭოთა საქართველო“.

ნაშრომის პირველ თავში მარქსისტული პოზიციებიდან განხილულია ბურჟუაზიული ქვეყნების მემკვიდრეობის სამართლის არსი და ხასიათი: ამავე დროს, ბურჟუაზიული სამართლისაგან პრინციპულად განსხვავებული საბჭოთა მემკვიდრეობის სამართლის ბუნება.

მომდევნო თავში ავტორი თანმიმდევრულად იხილავს რსდსრ და საქართველოს სსრ იმ აქტების შინაარსს, რითაც საწარმოო საშუალებები

აღიარებულ იქნა საბჭოთა სახელმწიფოს საკუთრებად. კერძო პირთა და მათ ვაერთიანებათა გამგებლობა — განკარგულებიდან ამოირიცხა: მიწა, მიწის წილი, წყალი, ტყეები, მრეწველობის ყველა მნიშვნელოვანი საწარმოები, რკინიგზები და სავაჭრო ფლოტო. ბანკები და კომუნალური საწარმოები. რის შედეგადაც მოიხსნა მემკვიდრეებზე ექსპლუატატორული მიზნებით ქონების გადაცემის შესაძლებლობა.

1918 წლიდან 1945 წლამდე გამოცემული საკანონმდებლო აქტების ანალიზით ავტორი ნათელპყობს, რომ სახალხო მეურნეობიდან კაპიტალისტური ელემენტების განდევნასთან დაკავშირებით, თანდათანობით ფართოვდება მშრო-

მოკლედ გზავს წიგნებზე


„ლენინური წინასწარხედვა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში“ საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, ფასი 2 მან.

ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავის დღეებში მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო რ. ჯინჯოლიას აღნიშნული ბროშურა.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერულ წინასწარხედვას, მან საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ-ახალი მოვლენების სპეციფიკური კანონის აღმოჩენის საფუძველზე ახალი გენიალური წინასწარხედვა მოგვცა. ავტორი ვერცხლად განიხილავს თუ როგორ განავითარა ლენინმა მარქსიზმი, ყველა მისი შემადგენელი ნაწილით, როგორ დაამუშავა წინასწარხედვის პრობლემასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, როგორ დააკონკრეტა და გაამდიდრა ისინი ახალ-ახალი სახელმძღვანელო დებულებებით.


დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშობა ლენინური წინასწარხედვის გენიალური დანდსტრება, მობრუნების პუნქტი იყო არა მარტო ჩვენი ხალხების ცხოვრებაში, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც.

საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის, როგორც კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გარდამავალ პერიოდში საზოგადოებრივი პოლიტიკური ორგანიზაციის საუკეთესო ფორმის აღმოჩენა ვ. ი. ლენინს ეკუთვნის. ბროშურაში ავტორი დამაჯერებლად განმარტავს, რომ საბჭოთა სახელმწიფო, რომლის მოკლესაქმიანობას წარმართავდა ბოლშევიკური პარტია, ჩვენს



ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევისათვის ბრძოლაში მტკიცედ გაყვა ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას და წარმატებით ააშენა სოციალიზმი.

ი. გვათუა



მელთა პირადი და ქონებრივი უფლებები, რაც კერძოდ, გამოიხატა მემკვიდრეობის წესით გადასაცემი ქონების ზღვრულ ღირებულების ოდენობის გაუქმებაში, შვილად აყვანილი პირის და მისი შთამომავლობის მემკვიდრეთა წრეში შეყვანაში, ქონების ანდერძით გადაცემის უფლების გაფართოებაში, შემნახველ საღაროში შეტანილ ანაბარზე, გარკვეულ შემთხვევაში, მემკვიდრეობის სამართლის ნორმების შეფარდებაში და სხვა.

ავტორი დაწერილებით ჩერდება და განმარტავს საემკვიდრეოს დამტოვებლის, მემკვიდრის, სამკვიდრო ქონების, უფლებამონაცვლების სახეთა ცნებებს. აღნიშნავს ბურჟუაზიული ქვეყნების და საბჭოთა მემკვიდრეობის სამართალს შორის არსებულ განსხვავებებს, მემკვიდრეობის უფლების წარმოშობის საფუძვლებს და სხვა.


ს. ჭავჭავაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მემკვიდრეობის უფლების ობიექტად შეიძლება იყოს ყოველგვარი ქონება, რაც „ყოველთვის შეიძლება გადაიქცეს სხვისი შრომის ექსპლოატაციის იარაღად“, საბჭოთა რესპუბლიკებში მემკვიდრეობის უფლების ობიექტებად შეიძლება იყოს შრომითი მიეურნეობა, შრომითი

შემოსავლის დანაშოგი, საცხოვრებელი სახლი, საოჯახო მოწყობილობა და საყოფაცხოვრებო საგნები, პირადი მოხმარებისა და კეთილყოფის საგნები, კანონით განსაზღვრული ვადებით ავტორისა და გამომგონებლის ქონებრივი და ზოგი არაქონებრივი უფლებები, სხვადასხვა ამხანაგობებში მონაწილეობის უფლება, კომპოზიციულ ორგანიზაციებში შენატანი პაი, საბინაო სამშენებლო ამხანაგობებში შენატანი პაი, და აგრეთვე იმ მემკვიდრეთათვის, რომელნიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ, ბინის სარკველობის უფლებაც აქვს. განმარტებულია, რომ გარდაცვალებულის დანარჩენი ქონებრივი უფლებები, დაკავშირებულნი მის პიროვნებასთან და სიცოცხლესთან, მემკვიდრეობის უფლების ობიექტთა რიცხვში არ შედიან.

შემდეგ ავტორი ეხება მემკვიდრეობის ვახსნის დროს და ადვილს. მემკვიდრეთა წრეებს, კანონით მემკვიდრეთა წრეში შემაჯავლი პირებს: — შეილებს და მათი პირდაპირი დაღმავალი შთამომავლობის, შვილად აყვანილების და მათი შთამომავლობის, გარდაცვალებულის მემკვიდრის, გარდაცვალებულის მშობლების, გარდაცვალებულის დებისა და ძმების და გარდაცვალებულის კმაყოფაზე მყოფ პირთა უფლებრივ უდგომარეობას, ავტორი ცალ-ცალკე იძლე

◆ მოკლედ ახალ წიგნებზე ◆

გ. ჟვანია, „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიები“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 131 გვ. ფასი 5 მან. და 60 კაპ.



წინასიტყვაობაში დახასიათებულია ეროვნულ უმცირესობათა პრობლემის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობაში და განსაზღვრულია „ეროვნული უმცირესობის“ ცნების სამართლებრივი შინაარსი სოციალისტური და ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი პრაქტიკის საფუძველზე. წიგნის პირველ ორ თავში ავტორი განიხილავს XVII—XVIII საუკუნეების იმ საერთაშორისო აქტებს, რომლებიც შეიცავდნენ რელიგიის თავისუფლების პრინციპს და მისგან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულებებს, აგრეთვე „უმცირესობათა დაცვის“ ინსტიტუტის განვითარებას ე. წ. აღმოსავლეთის საკი-

თხთან დაკავშირებით. ბოლო თავი შეიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ანალიზს, ეროვნულ უმცირესობათა საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის თვალსაზრისით. წიგნის დანართებში მოცემულია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ დადებულ შეთანხმებათა იმ მუხლის ტექსტი, რომელშია ჩამოყალიბებული იყო ერთა ლიგის გარანტიები და ამ შეთანხმებათა მუხლობრივ შედარებითი ცხრილი. საერთაშორისო სამართლის საბჭოთა ლიტერატურაში არაა სპეციალური გამოკვლევები ეროვნულ უმცირესობათა პრობლემაზე თუ მხედველობაში არ მივიღებთ 30 წლის წინათ

გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიას. ამგვარად გ. ჟვანიას მონოგრაფია ამ ხარვეზის შესების პირველი ცდაა.

გ. ტყეშელაძე

კრიტიკული
ბიბლიოგრაფია

ეს მათ დახასიათებას, რის შემდეგ განმარტავს კანონით მემკვიდრეთა გამოწვევის წესს, ვრცლად ჩერდება ანდერძით მემკვიდრეობის საკითხების შესახებ, განსაზღვრავს. ანდერძის ცნებას, ანდერძის ფორმასა და შინაარსს, ანდერძით მემკვიდრეთა წრეს.

სარეცენზიო წიგნში საინტერესოდ და სრულყოფილად არის დამუშავებული ის ადგილები, სადაც ავტორი ეხება მემკვიდრეობის უფლების მიღებისა და გაფორმების წესებს, უფლებრივ შედეგებს, განიხილავს ბეითალაზნი ქონების ცნებას და ქონების ბეითალაზნი გამოცხადების წესებს.

წიგნის უკანასკნელი თავი მიძღვნილი აქვს სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მემკვიდრეობის სამართლის მიმოხილვასა და დახასიათებას. ავტორს სრულყოფილად აქვს გამოყენებული გარქისა და ენგელის ნაწარმოებების ის ადგილები, რომლებიც მემკვიდრეობის სამართლის საკითხებს შეეხება, აქვე გამოყენებულია საბჭოთა სოციალისტთა შრომები მემკვიდრეობის სამართალზე და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა მემკვიდრეობის სამართლის საკითხებზე.

განხილული საკითხები ავტორის ავტორის მით განმარტებულია საბჭოთა კანონმდებლობის პრინციპების შესაბამისად.

წიგნი დაწერილია გამართული ქართული ენით და კარგი საჩუქარია იურიდიული დარგის პრაქტიკოსი მუშაკებისათვის.

ამასთან ერთად, ავტორს ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი საკითხების განმარტებაში. სარეცენზიო წიგნის 29 გვერდზე ავტორი წერს: „უარყოფილი იქნა წარმომადგელობის უფლების საფუძველზე მემკვიდრეობის სამემკვიდრეოდ გამოწვევა“; სინამდვილეში იმ პერიოდში, რომლის შესახებაც 28-29 გვერდებზეა ლაპარაკი, წარმომადგენლობის უფლება უარყოფილი კი არ იყო, არამედ საჭირო არ იყო, რადგანაც ყველა პირდაპირი დაღმავალი შთამომავლები სამემკვიდრეოდ იწვეოდნენ ერთდროულად და თანასწორი უფლებებით:

31 — გვერდზე: კანონით მემკვიდრეთა ჩამოთვლისას, შვილების, მეუღლის, მშობლების, დებისა და ძმების შემდეგ სწერია „და აგრეთვე სხვა შრომის უნარმოკლებული პირები“.

ჩვენის აზრით, ასეთი რედაქციისას სიტყვა „სხვა“-მ შეიძლება მკითხველს აფიქრებინოს,

მოკლედ ახალ წიგნებზე

ან. გელოვანი. დაუსჯელი დამნაშავენი. გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 98 გვ. ფასი 1 მან.

იმპერიალიზმის ეპოქაში, რომლის ყველაზე უფრო ღრმა ეკონომიური საფუძველი არის მონოპოლია, დამნაშავეობა გვევლინება ახალი ფორმით — ორგანიზებული დამნაშავეობის სახით.


წიგნში დიდი დამაჯერებლობითაა განხილული ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ სისტემაში დამკვიდრებული ორგანიზებული დამნაშავეობის დამახასიათებელი თვისებები, მისი სახეობების მიხედვით, როგორცაა: თეთრ-საყელიანთა დამნაშავეობა, განგსტერობა, რეკეტო, გემბლინგი და ბუტლეგერობა.

მკითხველი ინტერესით ეცნობა წიგნში თავმოყრილ მასალებს განგსტერთა გაერთიან-

ების შესახებ, რომლებიც მოწოდებულნი არიან შეასრულონ ამერიკის რეაქციის დამკვრელი ძალის როლიც მუშათა მოძრაობის ჩახშობისა და პროგრესულ იდეებისათვის მებრძოლ ორგანიზაციებისა და მოღვაწეების განადგურების საქმეში.

წიგნში კარგადაა ნაჩვენები ორგანიზებული დამნაშავეობის როლი იმ თვალსაზრისით, რომელსაც ის უწევს, როგორც ლეგალურ, ანუ ეგრეთწოდებულ „დიდ“ ბიზნესს, ისე სახელმწიფოებრივ და ბურჟუაზიულ პოლიტიკურ პარტიების აპარატს.

ანდრო გელოვანის წიგნს „დაუსჯელი დამნაშავენი“ რომელშიც მთელი სიმკვეთრით არის გაიშვლებული კაპიტა-



ლისტური ცხოვრების წესი, მისი დანაშაულებრივი ბუნება, ინტერესით გაეცნობა ქართველი მკითხველი.

ო. კოლუაშვილი

რომ დანარჩენი პირებიც სამეკვიდრეოდ იწვე-
ვიან, უკეთუ ისინიც შრომისუნარმოკლებულნი
არიან.

1945 წლის 14 მარტის ბრძანებულებაში და
საქართველოს სსრ საოქალაქო სამართლის კო-
დექსის 418 მუხლში კი სიტყვები: „სხვა შრო-
მისუნარმოკლებულნი“ სწერია „შრომისუნარ-
მოკლებული მშობლების“ შემდეგ, და ამგვარი
განმარტება არავითარ გაუფებრობას არ იწვევს.

წიგნის შესაშვ თავში, სადაც ლაპარაკია კანო-
ნით მემკვიდრეთა უფლებრივი მდგომარეობის
დახასიათებაზე, გარდაცვალებულის კმაყოფაზე
მყოფი პირები მოთავსებულნი არიან ბოლოში,
მესაე რიგის მემკვიდრეთა შემდეგ.

თუმცა სამეკვიდრეოდ გამოწვევის წესს-

განმარტებაში მემკვიდრეთა ამ ჩვეულ-ვერსა-
ლი ადგილი უკავია პირველი რიგის მემკვიდრე-
თა რიგებში, მაგრამ მინც უკეთესი იქნებოდა
მემკვიდრეთა ცალკე ჩგუფების უფლებრივი
მდგომარეობის დახასიათება მოცუანილი ყოფი-
ლიყო კანონით გათვალისწინებული რიგების
თანმიღვერობით, ე. ი. გარდაცვალების კმა-
ყოფაზე მყოფ პირთა უფლებრივი მდგომარეო-
ბის დახასიათება მოთავსებული ყოფილიყო
შრომისუნარიანი მშობლების მდგომარეობის
დახასიათების შემდეგ.

აღნიშნული შენიშვნები არ ამცირებენ სარე-
ცენზიო წიგნის ღირსებას.

ბ. თარხნიშვილი

სხვა რიგის უფლებრივი მემკვიდრეობა

უფროდ „საბჭოთა სამართლის“ 1960 წლის
პირველ ნომერში მოთავსებული იყო წერილი
„ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა ახა-
ლი ამოცანების დონეზე“, რომელშიც გაკრიტი-
კებული იყო თბილისის კამოს სახელობის სას-
წავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების ქარხნის ამ-
ხანაგური სასამართლოს საქმიანობა, აგრეთვე
კიროვის რაიონის პროკურატურისა და სასამარ-
თლოს ორგანოები, რომლებიც ნაკლებად ეხმა-
რებიან ამხანაგურ სასამართლოებს მუშაობაში.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა
საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კი-
როვის რაიონულ კომიტეტს.

როგორც პარტიის კიროვის რაიონის პირვე-
ლი მდივანი აშ. თ. ბელტიხინი გვატყობინებს
წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით
დადასტურდა. ამხანაგური სასამართლოების მუ-
შაობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა
მთელი რიგი ღონისძიებანი. ა/წ 5 აპრილს მოწ-
ვეულ იქნა რაიონული აქტივის კრება. სადაც
განხილულ იქნა — „საზოგადოებრიობის როლი
დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“. 15 აპ-
რილს პარტიის რაიონის ბიურომ მოისმინა სა-

კითხი „საზოგადოებრიობის როლის გაძლიერე-
ბის შესახებ, საზოგადოებრივი წესრიგისა და
დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში“. პროკუ-
რატურისა და სასამართლო ორგანოებს დაევა-
ლათ ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა-
ში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება.

მწლის 4 აპრილს ჩატარდა რაიონის ამხანა-
გური სასამართლოების წევრთა ორდღიანი სე-
მინარი, სადაც მოწვეულ იყვნენ რაიონის სა-
წარმოთა და დაწესებულებათა ამხანაგური სასა-
მართლოების თავმჯდომარეები, მომსხენებლები,
და მდივნები.

ამხანაგური სასამართლოები შექმნილია
სახლმმართველობებთანაც.

საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმის მიზნით
დამნაშავეობასთან ბრძოლაში ეწყობა ლექციე-
ბი, მოხსენებები.

რაიონში უკვე იგრძნობა ამხანაგური სასა-
მართლოების საქმიანობის გაუმჯობესება. ამ მი-
მართულებით მუშაობის უკეთ წარმართვისათ-
ვის კვლავაც გატარებულ იქნება ქმედითი ღო-
ნისძიებები.

1. შეიძლება თუ არა ჩუქების წესით მიღებული საცხოვრებელი სახლიდან მოზინადრეების გამოსახლება?

მართოდენ ის ფაქტი, რომ ჩუქების ან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საცხოვრებელი სახლი პირადი საკუთრების უფლებით გადაეცემა მოქალაქეს, არ წარმოადგენს კანონიერ საფუძველს იმისათვის, რომ მოცემული სახლიდან გამოსახლებულ იქნას ის მოზინადრეები, რომლებიც ბინაში ჩასახლდნენ სახლის გაჩუქების ან გაყიდვის მომენტამდე.

თუ საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების დადების მომენტიდან შეიცვალა სახლის მესაკუთრის საბინაო ან ოჯახური პირობები და საქმის ფაქტურით გარემოებათა მიხედვით ბინის ფართობი, აუცილებელია სახლის მესაკუთრისა და მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის იმ წევრებისათვის, რომლებსაც არა აქვთ საცხოვრებელი ფართობი ან აქვთ აშკარა არასაკმარისი ფართობი, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება მოზინადრის გამოსახლების და თავისუფალი საცხოვრებელი ფართობის სახლის პირადი მესაკუთრის სარგებლობაში გადაცემის შესახებ (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 12 დეკემბრის № 46(23) უდადგენილების 10 მუხლი). ამასთან, მოზინადრის გამოსახლება არ შეიძლება, ისეთ შემთხვევაში როდესაც სახლის მესაკუთრე უბინაოდ აღმოჩნდა იმის გამო, რომ ბინა, რომელშიც იგი ცხოვრობდა გაყიდა ან სხვა პირს მიაქირავა.

2. საცხოვრებელი ბინის ძირითადი დამქირავებლის სხვა ქალაქში ან რაიონში მუდმივი სამუშაოზე გადასვლა წარმოადგენს თუ არა საფუძველს მისი ოჯახის წევრების ბინიდან გამოსახლებისათვის?

საცხოვრებელი ბინით დამოუკიდებელი სარგებლობის უფლება აქვს იმ პირს, რომელმაც ბინა მიიღო საბინაო სამმართველოს განკარგულების (ორდერის) საფუძველზე, აგრეთვე ამ პირის ოჯახის იმ წევრებს და კმაყოფაზე მყოფ პირებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წ. 12 დეკემბრის № 46(23) უდადგენილების 1 მუხლი).


ამიტომ ის გარემოება, რომ ბინის ძირითადმა დამქირავებელმა ე. ი. იმ პირმა რომელმაც ბინა მიიღო საბინაო სამმართველოს განკარგულების მიხედვით დაჰკარგა უფლება ბინაზე, იმის გამო, რომ მუდმივ სამუშაოდ გადავიდა სხვა ქალაქში ან რაიონში, არ გამოიწვევს ბინიდან მისი ოჯახის წევრებისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირების გამოსახლებას.

3. თუ სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულს ქონების კონფისკაციასთან ერთად დაკისრებული აქვს სახელმწიფო ან საზოგადო ქონების მტაცებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, ამ შემთხვევაში განაჩენის რომელი ნაწილი უნდა იქნეს აღსრულებული პირველ რიგში?

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1953 წლის 29 სექტემბრის № 7 დადგენილების მე-18 მუხლის თანახმად იმ განაჩენის აღსრულებისას, რომლითაც მსჯავრდებულს ქონების კონფისკაციასთან ერთად დაკისრებული აქვს სახელმწიფო ან საზოგადო ქონების მტაცებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, — პირველ რიგში გადახდებიან უნდა იქნეს თანხები ზიანის ანაზღაურებისათვის, ხოლო დანარჩენ ქონებაზე შეიძლება კონფისკაციის მიტევა, თუ ეს ქონება კანონით შეიძლება კონფისკირებულ იქნეს.

4. შეიძლება თუ არა საერთო სასარჩელო წესით აღძრას სარჩელი იმ ქონებაზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ, რომელიც სასამართლოს განაჩენით კონფისკაციას ექვემდებარება?

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, მხოლოდ დანაშაულისა და მისი ჩამდენი პირის დადგენის ნაწილში არის სავალდებულო სამოქალაქო საქმის წარჩევი სასამართლოსათვის. ამის გამო დინტერესებულ პირს შეუძლია საერთო სასარჩელო წესით აღძრას სარჩელი სასამართლოში იმ ქონებაზე პირადი საკუთრების უფლების ცნობის შესახებ, რომელიც სასამართლოს განაჩენით კონფისკაციას ექვემდებარება.



5. საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევა კონფისკაციის წესით არა მობინადრეების გამოსახლებას?

სასამართლოს განაჩენის საფუძველზე საცხოვრებელი სახლის კონფისკაცია არ გამოიწვევს მსჯავრდებულის ოჯახის წევრების და სხვა პირების ბინიდან გამოსახლებას. მათი გამოსახლება შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საერთო საფუძველების მიხედვით (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1953 წლის 29 სექტემბრის № 7 დადგენილების 10 მუხლი).

6. შესაძლებელია თუ არა გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაში საქმის მორიგებით დამთავრება?

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა ან მოპასუხესთან მორიგება მოსარჩლეს ყოველთვის შეუძლია რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს საქმე.

კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად გადაწყვეტილების აღსრულების სტადიაში მოსარჩელეს შეუძლია მოპასუხესთან მორიგების შესახებ განუცხადოს სასამართლო აღმასრულებელს. სასამართლო აღმასრულებელი მორიგების პირობებს ჩამოაყალიბებს წერილობით და დასამტკიცებლად წარუდგენს იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო რაიონში სწარმოებს გადაწყვეტილების აღსრულებას. მორიგების პირობებს სასამართლო განიხილავს და სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით. თუ სასამართლო დაამტკიცებს მორიგების პირობებს, საქმე ჩაითვლება დამთავრებულად და გადაწყვეტილების აღსრულება შეწყდება.



1955 წლიდან ვცხოვრობ „თბილგვირაბ-მშენის“ ბინებში. ჩემი ბინა შედგება ორი ოთახისაგან, რომელთა ფართობი 22 კვადრატული მეტრი. ავადმყოფობის გამო ვარ პენსიონერი.

1959 წელს ვავთხოვდი ან. მურჯინელზე, რომელიც მუშაობს „თბილგვირაბმშენში“ და ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში. ოფიციალური ქორწინების ცნობის წარდგენის მიუხედავად „თბილგვირაბმშენის“ საბინაო-კომუნალური განყოფილება უარს ამბობს ჩაწერას ბინაში ჩემი ქმარი, უარს უთხრებს ჩაწერაზე აგრეთვე დედასაც, თ. მშვიდლობაძეს, რომელიც ოთხი წელია

მუშაობს ამავე ორგანიზაციაში, და იმის გამო, რომ თბილისში არა აქვს ბინა ცხოვრობს მცხეთაში.

როდესაც მივმართე, „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს საბინაო-კომუნალურ განყოფილებას თხოვნით, ჩაეწერათ ჩემთან დედა და ქმარი, მიპასუხეს, ჯერ ერთი ოთახი დავგიცალებთ და შემდეგ ჩაეწერთ.

გთხოვთ მიპასუხოთ, კანონიერად იქცევიან „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს საბინაო-კომუნალური განყოფილების მუშაკები?

მესამე ჭკუფის ინვალიდი ი. მშვიდლობაძე.

რედაქციისგან: „საბჭოთა სამართლის“ რედაქცია ამავე შეკითხვით მიმართავს „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს ხელმძღვანელობას და მოელოს, რომ ი. მშვიდლობაძის კანონიერი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება. საჭიროა მოქალაქე ი. მშვიდლობაძის მიმართ გამოჩენილი უკანონო მოქმედებათა მიზეზით დაინტერესდეს აგრეთვე ქ. თბილისის პროკურატურა.

სამოქალაქო სასამართლოს საქმეებზე

შრომის უნარმოკლებულ მეუღლეს უფლება აქვს მოსთხოვოს თავისი შენახვა მეორე მეუღლეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეუღლენი ფაქტიურად ერთად აღარ ცხოვრობენ, მაგრამ სასამართლო წესით განქორწინებული არ არიან.

ა. ს. სელუტინამ აღძრა სასამართლოში სარჩელი მ. პ. სელუტინის მიმართ შვილის საზრდოდ ალიმენტის დაკისრებისა და შრომისუუნარობის გამო თვით მოსარჩელის სასარგებლოდ სარჩოს გადახდვინების შესახებ.

ქ. ფოთის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა ა. ს. სელუტინას სარჩელი და დააკისრა მოპასუხეს ბავშვის შესანახად ალიმენტი, ხოლო სარჩოს დაკისრებაზე მას უარი უთხრა.

გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით დატოვა ძალაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის პროტესტი — გააუქმა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, დადგენილება და საქმე დაუბრუნა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ უარი უთხრა სელუტინას სარჩელზე იმ მოტივით, რომ მხარეებს ცოლ-ქმრული ურთიერთობა შეწყვეტილი აქვთ ჯერ კიდევ

1947 წელს და ამ დროიდან ერთად აღარ ცხოვრობენ.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის სწორი, რადგან საქმეში არის ქორწინების მოწმობა, რომლიდანაც ჩანს, რომ მხარეები იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში 1930 წლიდან.

საქმიდან არ ჩანს, რომ მხარეები განქორწინებული არიან. მოსარჩელე შრომის უნარს მოკლებულია და არის მესამე ჯგუფის ინვალიდი, როგორც მისი განცხადებიდან ჩანს, ის არსად არ მუშაობს, თავის კმაყოფაზე ყავს ბავშვი და საპიროვნებ მატერიალურ დახმარებას.

საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 22 მუხლის თანახმად შრომისუუნარო მკვლელობაზე მეუღლეს უფლება აქვს მოსთხოვოს თავისი შენახვა მეორე მეუღლეს თუ სასამართლო ცნობს, რომ ამ უკანასკნელს შეუძლია მეუღლისათვის დახმარების აღმოჩენა.

სასამართლოს მოტივი, რომ მხარეებმა ფაქტიურად შეწყვიტეს ცოლ-ქმრული ურთიერთობა 1947 წელს და მას შემდეგ ერთად აღარ ცხოვრობენ, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სარჩელის უარყოფას, რამდენადაც ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან.

უფროსი ოსტატების და ოსტატების შრომითი დავა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება

ი. დ. გეგელაშვილმა სასამართლოში აღძრა სარჩელი „თბილწყალსადენის“ სამმართველოს მიმართ სამუშაოზე აღდგენის შესახებ.


ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი. დ. გეგელაშვილს სარჩელზე უარი უთხრა.

გადაწყვეტილება ძალაშია დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს

პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი — გააუქმა როგორც სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, ისე უმაღლეს სასამართლოს კოლეგიის დადგენილება და საქმე, როგორც სასამართლოს არა ექვემდებარე, მოსპო წარმოებით შემდეგ გარემოებათა გამო:

ი. დ. გეგელაშვილი მუშაობდა „თბილწყალსადენის“ სამმართველოში ქსელის ოსტატად და განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან 1959 წლის 8 ივლისის ბრძანებით № 102, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბ-



კოთა კონტროლის კომისიის 1959 წლის 20 მარტის დასკვნის საფუძველზე.

თანხმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი დავის გან-

ხილვის წესის დებულების პარაგრაფების მე-3 მუხლისა, უფროსი ოსტატების და ოსტატების სამუშაოზე აღდგენის დავის განხილვისას სასამართლოს არ ექვემდებარება და გადაჭრილი უნდა იქნეს ქვემდებარეობის წესით ზედგომ ორგანოში.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საქმეების განხილვის დროს სასამართლომ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება — კრატიკულად შეაფასოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებები და ისე გამოიტანოს დადგენილება ფაქტის დადასტურების ან უარყოფის შესახებ.

ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 5 თებერვლის დადგენილებით დაკმაყოფილა ა. მელიქოვას მოთხოვნა და დაუდასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ განმცხადებელი იყო აწ გარდაცვლილ ს. მელიქოვის ფაქტიური მეუღლე.

როგორც საქმეზე დართულ 1957 წელს განხილულ მეორე საქმიდან ჩანს, ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ 1957 წლის 29 ოქტომბრის დადგენილებით, იმავე ა. მელიქოვას თხოვნით, დაადასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ ა. მელიქოვა იყო ს. თ. მელიქოვის ძმის ტ. მელიქოვის ფაქტიური მეუღლე.

ამრიგად ერთმა და იგივე სახალხო სასამართლომ ორჯერ განიხილა ა. ი. მელიქოვას მოთხოვნა და დაუდასტურა მას, რომ ის იყო ორვე ძმის ტერნიკ და სიმონ მელიქოვების ფაქტიური მეუღლე. აღნიშნული გარემოება ასტიკ მელიქოვას დასჭირდა იმისათვის, რომ დაუფლებოდა მისი მამლის სიმონ მელიქოვის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 28 მაისის დადგენილებით გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და ა. ი. მელიქოვას უარი უთხრა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადასტურებაზე.

ნდობის დაკარგვის მოტივით ისეთი მუშაკების დათხოვნა, რომლებიც ემსახურებიან ფულად და სასაქონლო ფასეულობას, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნდობის დაკარგვა სათანადოდ დასაბუთებული იქნება

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ უარი უთხრა ს. ვ. ტუხაშვილს-სარჩელში „თბილქსოვილტანსაცმელფეხსაცმელ ვაჭრობის“ № 14 მაღაზიაში უფროს გამყიდველად აღდგენის შესახებ.

გადაწყვეტილება გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წ. 23 იანვრის დადგენილებით და საქმე დაუბრუნა სახალხო სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის.

ს. ვ. ტუხაშვილი განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან ნდობის დაკარგვის მოტივით. ნდობის დაკარგვა დასაბუთებული იყო იმით, რომ ტუხაშვილმა, რომელიც თვეში იღებდა ხელფასს 769 მანეთის რაოდენობით, შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა „პობედა“. აღნიშნულის გამო ადმინისტრაციას შეეპარა ეჭვი ტუხაშვილის კეთილსინდისიერ მუშაობაში და აღარ ენდობა მას. ადმინისტრაციის ეს მოსაზრება სახალხო სასამართლომაც გაიზიარა.

სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვის

დროს გამოირკვა, რომ ადმინისტრაციის ეჭვები ტუხაშვილის არაკეთილსინდისიერ მუშაობის შესახებ და მის მიმართ გამოთქმული უნდობლობა უსაფუძვლო იყო. ტუხაშვილი მუშაობდა „თბილქსოვილტანსაცმელფეხსაცმელ ვაჭრობის“ სისტემაში 1955 წლიდან ჯერ უმცროს და შემდეგ უფროს გამყიდველად და სავაჭრო წესების დარღვევას მისი მხრივ ადგილი არ ქონია. მიღებული აქვს მაღლობები. მისი განცხადებით ავტომანქანა შეიძინა სიმამრის სახსრებით, რომელიც არის კოლმეურნე და გააჩნია ამის მატერიალური შესაძლებლობა. ტუხაშვილის ეს განცხადება არაფრით უარყოფილი არ არის. იმავე რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ტუხაშვილი აღადგინა სამუშაოზე. გადაწყვეტილება დატოვებულია ძალაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 14 მარტის დადგენილებით.

სისხლის სამართლის საქმეებზე

უკეთუ გამოიციხულია ბანდისათვის დამასხიათებელი ერთ-ერთი ნიშანი, დანაშაული არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ბანდიტიზმი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1954 წლის 15 ივნისის განაჩენით დ. ცხოვრებაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ 5817 მუხლით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეორე მუხლის მეორე ნაწილით „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ და მიესაჯა ერთობლიობის პრინციპით 15 წლით პატიმრობა სასჯელის შრომა-გასწორებითი კოლონიაში მოხდით.

ცხოვრებაშვილს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1954 წლის 7 იანვარს ღამით, ქ. თბილისში, გახოებით დაუდგენელ ორ ბოროტმოქმედთან ერთად მოახდინა შეიარაღებული თავდასხმა მოქალაქე თოროზოვზე, რომელსაც სიკვდილის ჭეშმარიტ ქვეშ წაართვეს 257 მანეთი.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის

პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1960 წლის 11 იანვრის დადგენილებით ცხოვრებაშვილს მოესხნა სსკ 5817 მუხლი და ბრალდების ამ ნაწილში ის გამართლებულ იქნა.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილი არ არის, რომ ხსენებული ბოროტმოქმედი წარმოადგენენ მყარ ორგანიზებულ ბანდას ძარცვების ან სხვა დანაშაულის მოსახდენად.

მართალია, აღნიშნული ჯგუფი იყო ცეცხლ-მსროლელი იარაღით შეიარაღებული, მაგრამ არ წარმოადგენდა წინასწარ ორგანიზებულ ბანდას, მათი დანაშაული შემოიფარგლებოდა მხოლოდ მოქალაქე თოროზოვზე თავდასხმით, რის შემდეგ დაიშალა.

ასეთ პირობებში მათი დანაშაულის დაკვალიფიცირება სსკ 5817 მუხლით უსწორო იყო.

დანაშაულებრივი გზით ნაპოვნი ნივთების დაფარვა, რაც წინასწარ არ ყოფილა შეპირებული, არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილობა.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1957 წლის 13 მარტის განაჩენით ბ. ა. ბაიდუკი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეოთხე მუხლით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ და მიესაჯა ათი წლით პატიმრობა სასჯელის შრომა-გასწორებითი კოლონიაში მოხდით.

აღნიშნული განაჩენი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1957 წლის 8 მარტის დადგენილებით დატოვებულ იქნა ძალაში იმ ცვლილებით, რომ ბაიდუკის დანაშაული დაკვალიფიცირებულ იქნა იმავე ბრძანებულების სსკ 17 მუხლით.

ბაიდუკს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1957 წლის 15 იანვარს ამ საქმეზე მსჯავრდადებულ ტრასვეიჩისა და სტუკალოვის მიერ გაქურდულ იქნა ქუთაისის რაიკავშირის მაღაზია, სიონაძე დაიტაცეს 81.495 მანეთის მატერიალური ფსკეულობა (სათები და ფული) რაც მიიტანეს და გადაამალეს ბაიდუკის ბინაში, რის გასამრჯელოდ ბაიდუკს მისცეს 500 მანეთი.

აღნიშნული განაჩენისა და კოლეგიის დადგე-

ნილების უსწორობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე პროტესტით შევიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა ბაიდუკის დანაშაულის გადაკვალიფიცირება სსკ 80 მუხლზე.

ნაქურდალი საქონლის გადამალვაში ბაიდუკი ბოროტმოქმედებთან წინასწარ არ ყოფილა შეთანხმებული, მისი დანაშაული გამოიხატა იმით, რომ მან, გაიგო რა რომ ტრასვეიჩისა და სტუკალოვის მიერ გაქურდული იყო მაღაზია, გადაამალა დატაცებული საათების ნაწილი, რაშიდაც გასამრჯელოდ მიიღო 500 მანეთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა თავისი 1960 წლის 14 მარტის დადგენილებით გაიზიარა პროტესტის მოთხოვნა, ბაიდუკის დანაშაული გადაკვალიფიცირა სსკ 80 მუხლზე და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 1 ნოემბრის ბრძანებულებისა „ამინისტრის შესახებ“ განაწესებულ იქნა და, ვინაიდან სასჯელის დარჩენილი დრო ბაიდუკს უკვე მოხდილი ქონდა პატიმრობიდან გაათავისუფლა.

ქობიზა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანატმა და პარტიულმა ორგანიზაციამ მ. წ. 15 აპრილს მოაწყეს სამეცნიერო სესია მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისადმი.
შესავალი სიტყვით გამო-

ვიდა ფაკულტეტის პარტიურის მდივანი აშხ. დ. ცინცაძე.
მოხსენებები წაიკითხეს:
დოც. ბ. ფურცხვანიძემ — „ვ. ი. ლენინი სოციალისტური მართლმსაჯულების შესახებ“.
დოც. ე. ნეიძემ — „ვ. ი. ლენინი შრომის დისციპლინის შესახებ“.

დოც. გ. ერემოვმა — „ვ. ი. ლენინი კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლისა და პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმათა შესახებ“.
დოც. ს. ჯორბენაძემ — „ლენინური საკონკრეტო პოლიტიკა და მისი ისტორიული მნიშვნელობა“.

* * *

ეურნალ „საბჭოთა სამართლის“ გავრცელების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ პროკურორის ბრძანებით მადლობა გამოცხადათ: ქობულეთის რაიონის ყოფილ პროკურორს, ამჟამად საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის თანა-

შემწეს ს. ნანიტაშვილს, ლავოდეხის რაიონის პროკურორს ა. ვაიტაძეს, ლანჩხუთის რაიონის პროკურორს მ. კეკელიას, ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორს ი. ჩაღუნელს და ამავე რაიონის პროკურორის თანაშემწეს კ. კანდილაკს, ქ.

ქუთაისის პროკურორს ა. ქუციანიძეს, ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურორს შ. გუმბარიძეს და ამავე რაიონის პროკურორის თანაშემწეს ე. დოლიძეს, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორს შ. კიკაბიძეს.

* * *

ამასწინათ ქალაქ თბილისის პროკურატურამ №2 „თბილ-მრეწვევაჭრობის“ ცენტრალურ ატელიეში მოაწყო კითხვა-პასუხის საღამო, რომელიც მიეძღვნა სისხლის სამართლის საკითხებს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ქ. თბილისის პროკურორის მოადგილემ ვ. ხმალაძემ,

რომელიც დამსწრეთ ესაუბრა თუ როგორ ხორციელდება ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანებში გატარებული ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

საუბრის შემდეგ შემოსულ

კითხვებზე პასუხები გაცეს ქ. თბილისის პროკურორის მოადგილემ ვ. ხმალაძემ, თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა დ. ფოჩიანმა, ოქტომბრის რაიონის პროკურორის თანაშემწემ ვ. დოლიძემ. კითხვა-პასუხის საღამოზე შემოვიდა 40-მდე შეკითხვა.

სარედაქციო კოლეგია:

მ. დომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურაძე
გ. ინწკირველი, ო. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე),
თ. წერეთელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ №32. ტელეფონი—3-88-05

უამოსული წერილები ავტორებს უკან არ უბრუნდება

გადაეცა წარმოებას 8/IV-60; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/V-60 წ;
ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობითი ფორმათა რაოდენობა 7,5.
ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 5,5.

შეკვ. № 592.

ტირაჟი 3.300

შე 02333.

საქ. კპ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат „Коммунисти“ Издательства ЦК КП Грузии
г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფანდი 5 826.

6 / 35



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда и Прокуратуры Грузинской ССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР